619
1964

# დროშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№7 ივლისი 1964





# მეგობრობის ვიზიტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისის ბოლოს და ივლისის პირველ რიცხვებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი მეგობრული ვიზიტით ესტუმრა დანიას, შვეციასა და ნორვეგიას. ამ სტუმრობამ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების მხურვალე მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყოფნამ სკანდინავიის ქვეყნებში, მისმა გამოსვლებმა კიდევ ერთხელ ცხადჰყვეს საბჭოთა ხალხის ურყევი მისწრაფება მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სიტყვას წარმოთქვამს დალუმის (დანია) სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გამართულ საუზმეზე.



გეტებორგი (შვეცია). ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გემის „კარლ ლინეის“ წყალში ჩაშვების გამო გამართულ საზეიმო ცერემონიალზე.

ფოტო — ვ. ეგოროვისა (საკდესის სპეციალური კორესპონდენტი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (156) ივლისი, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი





აზერბაიჯანელ მეწავთობეთა თვითმოქმედი წრის კონცერტი, მიძღვნილი რუსეთთან აზერბაიჯანის შეერთების 150 წლისთავისადმი.

ფოტო ნ. იგნატიევის.

# ნიზამისა და ვაგიფის მიწაზე

ჩვენი მეგზური

ნიზამმა და ვაგიფმა ამ მიწას ძმობისა და მეგობრობის შუქი და მადლი სამუდამოდ დაანათლეს.

უკვე ერთი კვირაა აზერბაიჯანის მიწაზე დავდივართ... პირველად ჩამოვედით, და მაინც, დახეთ, რამდენი ნაცნობი გვყოლია აქ, რამდენი მეგობარი, გულითადი მოძმე და მოყვარული!

ბაქოს გავცდით და კიროვის რაიონის ნავთობის სარეწისაკენ მივემგზავრებით. ჩვენი მანქანა სწრაფად მიჰყვება გზატკეცილს, მაგრამ მოსახვევთან ვჩერდებით. აღარ ვიცით საით წავიდეთ.

ქუჩის კუთხეში სწრაფი ნაბიჯით მომავალი მილიციელი გამოჩნდა. მან ჯერ მანქანის ნომერს დახედა და შემდეგ ჩვენ დაგვიწყო ყურება.

— „კიროვნავთობის" სამმართველოს გზა გვინდა! — ცოტა არ იყოს შეცბუნებული ხმით შევეძრახეთ მას.

მილიციელი მხედრულად გასწორდა წელში და ხელაწეულმა ქართულად დასჭექა:

— სალამი და გამარჯვება ქართველ ბიჭებს!..

მილიციის ლეიტენანტმა ჯახანდარ ასლანოვმა თავი „საქართველოს ღვიძლ შვილად" გაგვაცნო. სხვანაირად როგორ იქნება: ჯახანდარი მარნეულში დაიბადა, საქართველოში აიდგა ფეხი და დავაჟკაცდა. მტკვრის წყალი დაულევია ჯახანდარს, თბილისსა და მარნეულში ვინ მოთვლის რამდენი მოკეთე და ქართველი ყონაღი ჰყავს.

— პატივი ეცით ჩემს ოჯახს, ბიჭებო, ჭერი და ფუძე დამილოცეთ... ჩვენებური ლულაქაბაბი და ფანტია ფლავი უნდა გაგასინჯოთ...

დიდხანს, ძალიან დიდხანს ვარწმუნებთ სტუმართმოყვარე ვაჟკაცს, რომ საშუალება არა გვაქვს მისი თხოვნა შევასრულოთ.

— სამმართველოში გველოდებიან... გვითხარი, ჯახანდარ, საით უნდა წავიდეთ და ჩვენ თვითონ გავუდგებით გზას...

მაგრამ ჯახანდარი რაღა აზერბაიჯანელი იქნება თუ შუა გზაზე მიატოვებს მეგობრებს? დღეს დასვენების დღე აქვს, ჰოდა, ჩაგვიჯდება მანქანაში, სამმართველოს კარებამდე მიგვიყვანს და მერე ალალი გულით დაგვილოცავს გზას...

— გამიხარდა თქვენი დანახვა, ასე მგონია, ისევ მარნეულში ვარ-მეთქი...

ალბათ საქართველოსადმი ამ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამო იყო, რომ ჯახანდარს თავისი ქალიშვილისათვის ქართული სახელი — ირმა დაურქმევია.

გზაზე შემთხვევით გაცნობილმა სტუმართმოყვარე აზერბაიჯანელმა ბოლომდე პირნათლად შეასრულა კეთილი მეგზურის მოვალეობა. ჯახანდარი მხნე და ენერგიული ნაბიჯით აგვიძღვა კიბეზე, მოსაცდელ ოთახთან მაგრად, მაგრად ჩამოგვართვა ხელი, მისამართი დაგვიტოვა და სიტყვა ჩამოგვართვა, რომ უკან დაბრუნებისას აუცილებლად ვეწვეოდით მის ოჯახს.

სამმართველოში მრავალი საინტერესო რამ ვნახეთ და მოვისმინეთ.

ძმა ძმისთვის...

აზერბაიჯანში წელს იანვრის პირველ ნახევრამდე კარგი ამინდები იდგა. ჩვიდმეტი რიცხვიდან მოულოდნელად აცივდა. თოვლმა დაფარა ჩახლართული ბილიკები და საავტომობილო გზები.

კიროვის რაიონის ნავთობის სარეწის მესამე უბნის უფროსი ალი ყული ხანქიშიევი კოშკურების შემოწმებიდან ბრუნდებოდა. ის-ის იყო კანტორასთან უნდა მისულიყო, რომ მოულოდნელად თოვლში ადამიანის ფიგურა შენიშნა.

ალი ყული რამდენიმე წამი გაოცებული შესცქეროდა დაბალ-დაბალ, მხრებზე ნაბადმოგდებულ კაცს, რომელიც ორივე ხელით დაყრდნობოდა თავმოკაუჭებულ კომბალს და ლასლასით მოიწევდა წელამდე შემომდგარ თოვლში.

— ეჰეი, რომელი ხარ! — შემაღლებული ხმით შეეხმიანა ალი ყული უცნობს.

— მწყემსი ვარ, ძმობილო... მწყემსი!..

უბნის უფროსი სწრაფად შეუდგა წელში სიცივისაგან გათოშილ და ძალაგამოლეულ უცნობს, ორთავე ხელი ბეჭებზე შემოხვია და გაკვალულ გზაზე გადაიყვანა.

კანტორაში მისვლის შემდეგ მწყემსმა არც დასვენება მოისურვა და სამედიცინო დახმარებაზეც უარი თქვა.

— დრო აღარ ითმენს, ძმებო, დრო... ახლა ყოველი წუთიც ძვირფასია...

მწყემსი კარგად ლაპარაკობდა აზერბაიჯანულად, მაგრამ კილოზე ეტყობოდა, რომ სხვა ეროვნებისა უნდა ყოფილიყო.

— ქართველი ვარ... სახელად გაგა მქვიან... მიშველეთ, ძმებო, თორემ ერთიანად მეღუპება თოვლში ჩამარხული ხუთასი სული ცხვარი...

მწყემსი შეჩერდა, ხარბად შესვა მიწოდებული წყალი და ისევ შეშფოთებული ხმით განაგრძო:

— აქეთ მოვლალავდით ცხვარს... დიდთოვლობამ ტრიალ მინდვრებზე მოგვისწრო... თავჩობანი და ცხვარი ღვთის ანაბარა დავყარე და თქვენკენ წამოვედი დახმარების სათხოვნელად...

ხუთიოდე წუთის შემდეგ მთელ უბანს ელვასავით მოედო საგანგაშო ცნობა:

— ქართველ მწყემსებს ცხვარი ეღუპებათ, ვისაც კი შეუძლია, ყველანი გამოდით საშველად!

„კიროვნავთობის" სამმართველოსა და პარტიის რაიონულ კომიტეტში ტელეფონების ზარის წკრიალი გაისმა. თოვლით დაფარულ მინდორზე მალე გრუხუნით დაიძრა ბულდოზერი, რომელსაც ბარებითა და წერაქვებით შეიარაღებული მენავთობეები მისდევდნენ.

...ნათელ კაბინეტში, მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ვსხედვართ და ყურადღებით ვუსმენთ რაიკომის განყოფილების გამგეს იური ბაბაიანს, რომელიც დაწვრილებით გვიყვება რამდენიმე თვის წინათ მომხდარ ამბავს.

— ჯერ კიდევ შორიდანვე შევნიშნეთ, რომ ქართველი მწყემსების დასახმარებლად ჩვენზე ადრე სხვები მისულიყვნენ, — წყნარი ხმით განაგრძობს ბაბაიანი,— როგორც შემდეგ გავიგეთ, მახლობელი სოფლის ბინაგადის თავკაცებისათვის ტელეფონით უცნობებიათ მომხდარი ამბავი და ლამის იყო მთელი სოფელი დაძრულა ქართველი მწყემსების დასახმარებლად.

რამდენიმე საათი გრძელდებოდა ადამიანთა მძიმე და გააფთრებული ბრძოლა ცხვრის გადასარჩენად. როგორც იტყვიან, სულზე მივუსწარით დასაღუპად განწირულ პირუტყვს. ამ ბრძოლის წამმართავი და ორგანიზატორი მაინც ალი ყული ხანქიშიევი იყო, რომელიც ციბრუტივით დატრიალებდა და ყიჟინით ამხნევებდა ბიჭებს...

— იქნებ გახსოვთ, საქართველოს რომელ რაიონიდან იყვნენ მწყემსები?

იური ბაბაიანი რამდენიმე ხანს ჩაფიქრებული იყურება სივრცეში და შემდეგ გვპასუხობს:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ბაქო, ცენტრი.




კიროვაბადი. ნიზამის აკლდამა.



ფ. ალექფეროვი და ი. გოზალიშვილი.

— ზუსტად აღარ მახსოვს... ამის შესახებ ხანქიშიევს შეგიძლიათ ჰკითხოთ... „კიროვნავთობის“ სარეწის დათვალიერების დროს აუცილებლად ეწვიეთ მესამე უბანს. უკმაყოფილოები როდი დარჩებით. ხანქიშიევის უბანი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა და საპატიოდ ატარებს კომუნისტური შრომის უბნის სახელს.

### სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავს

მესამე უბნის უფროსი ალი ყული ხანქიშიევი ენაწყლიანი ადამიანი გამოდგა. იგი მანქანით დაგვატარებს უბანზე და სიამაყით გვესაუბრება მთელი კოლექტივის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე.

მოსაყოლი და საამაყო კი ბევრი რამ აქვს ხანქიშიევს. მესამე უბანმა უკვე რამდენიმე წელია რაც კომუნისტური შრომის უბნის სახელწოდება მოიპოვა და ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

ხანქიშიევი განსაკუთრებული სიამაყით გვესაუბრება ახლად დადგმულ კომპრესორულ კოშკურებზე, რომლებსაც ოთხი ტუმბო აქვთ დამონტაჟებული. საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამზადებული ეს რთული და საიმედო მოწყობილობა შეუფერხებლად მუშაობს და თითქმის ოთხჯერ მეტი ნავთობი ამოაქვს დედამიწის გულიდან.

ყველგან, სადაც კი მივედით, თვალნათლად ვნახეთ როგორი მონდომებით, როგორი თავდადებით მუშაობენ სახელგანთქმული ბაქოელი მენავთობეები; ჩვენ ვნახეთ ფოლადის საბჯენებზე შემდგარ კოშკურებთან ერთმანეთის მხარდამხარ ძმურად ამომდგარი აზერბაიჯანელი რახმად აზიმოვი და რუსი ვიქტორ აკიმოვი, ქართველი გალინა ცეცხლაძე და ლეკი მაზან გაზანოვი, უკრაინელი ანა ფედიუკი და სომეხი გაბრიელ გაბრიელიანი, ებრაელი სიმონ კოგანი და თათარი ხაქიბ ზაქიროვი...

— აი ეს ადამიანები თავიანთი მოუღლელი მარჯვენით აძლევენ ჩვენს სამშობლოს იმ სიმდიდრეს, რომელსაც „შავი ოქრო“ ჰქვია, — გვეუბნება ალი ყული ხანქიშიევი,—ალბათ გეცოდინებათ, რომ საბჭოთა კავშირის ნავთობის მოპოვების ათ პროცენტს ბაქო იძლევა, რაც შეეხება ხარისხს, ჩვენს ნავთობს ბადალი არ ჰყავს არსად...

კანტორას ვუახლოვდებოდით, როდესაც ჩვენმა მასპინძელმა შოფერს მოულოდნელად დაამუხრუჭებინა მანქანა.

— ის თეთრი შენობა ცხენების თავლა გახლავთ. ამ თავლაში დავაბინავეთ ჩვენს მიერ გადარჩენილი ცხვარი. გაიგეს თუ არა აზერბაიჯანელმა მწყემსებმა ქართველი მეგობრების გასაჭირი, მაშინვე დაფაცურდნენ და დავარდნილი ცხვრისათვის მანქანებით გამოგზავნეს საკვები.

— დიდხანს დარჩნენ აქ ქართველი მწყემსები?

— რამდენიმე დღე იცხოვრეს ჩვენთან, მოსულიერდნენ და მერე თავიანთ გზას დაადგნენ.

— ხომ არ გახსოვთ, რომელ რაიონიდან იყვნენ მწყემსები?

— სახლში უბის ბლოკნოტში მაქვს ჩაწერილი... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ვინ იყვნენ და საიდან იყვნენ? მთავარი ისაა, რომ ჩვენი ძმები იყვნენ, უჭირდათ და ხელი გავუმართეთ...

### ლაგოდეხელი მენავთობე

მწყემსებზე ლაპარაკი რომ მოვათავეთ, ხანქიშიევმა ახლა ქართველი მენავთობე ივანე გოზალიშვილი ახსენა.

ჩვენ მის სანახავად წავედით.

...ნავთობის გადატუმბვის საამქროს უფროსის ფიკრატ ალექფეროვის კაბინეტში საშუალო ტანის ქერათმიანი ახალგაზრდა შემოვიდა.

— გაიცანით, ჩვენი უბნის მოწინავე მენავთობე ივანე გოზალიშვილი გახლავთ!..

ჯერ ერთი წელი არც კი შესრულებულა, რაც ივანემ მუშაობა დაიწყო და უკვე მოწინავე მენავთობის სახელი დაიმკვიდრა. შრომისმოყვარე ახალგაზრდა ჯერ იყო და, უბნებიდან მიღებული ნავთობის გადატუმბვაზე მუშაობდა, გეგმებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებდა; მერე უფროსებს შეუჩნდა ივანე, მოსვენება აღარ მისცა: გინდათ თუ არა, ადექით და მწყობრიდან გამოსული ჭაბურღილები ჩამაბარეთო.

ნავთობის გადატუმბვის უბანზე მართლაც იდგა რამდენიმე მოძველებული კოშკურა, რომლებზეც თითქოს ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ხელმადლიანმა მენავთობემ ეს კოშკურები განაახლა დაააღორძინა. ივანე გოზალიშვილი ახლა ციბრუტივით დასტრიალებს სამუშაოს და ყოველდღიურად თხუთმეტ ტონა ნავთობს აძლევს სამშობლოს.

— მალე შევეთვისე აქაურობას, — გვეუბნება ივანე, — ძმებივით მხარში ვუდგევართ ერთი-მეორეს.

— ჩვენი ივანე მალე მამა გახდება... ბავშვსაც ახალ ბინაში შეიყვანს. ახლახან დავამთავრეთ სახლის მშენებლობა! — სიტყვას ურთავს ალექფეროვი.

— ბავშვი წამოიჩიტება თუ არა, მაშინვე ლაგოდეხში წავიყვან, დედაჩემ მარიამს კალთაში ჩავუგორებ და ვეტყვი — ნახე, როგორი ბაქოელი ქართველია-მეთქი. ძმობილებიც უნდა წავიყვანო თან, ნახონ ჩვენი ლაგოდეხი და ალაზნის ველი...

— კარგია, კარგი! — ხელებს იფშვნიტავს ფიკრატი— უკან რომ წამოხვალ, არ დაგავიწყდეთ, კახური ნუნუაც გამოაყოლეთ ხელს.

— ხელს გამოვაყოლოთ რომელია, დედაჩემს საგანგებოდ აქვს შემონახული პირმოუხდელი ქვევრი!.. ღიმილით ამთავრებს სიტყვას ივანე.

• • •

ბაქოს ოდესღაც ქართა ქალაქს ეძახდნენ, ჩვენ გვინდა იგი მზისა და სიხარულის ქალაქად მოვიხსენიოთ.

მივყვებით ლარივით გაჭიმულ პროსპექტებს და სიამაყის გრძნობით გვევსება გული.

კაცს განსაკუთრებით თვალსა სტაცებს დიდებული ძეგლები ბაქოს ქუჩებსა და მოედნებზე; შესცქერი ამ ძეგლებს — წარსულის დიდოსტატებს რომ განასახიერებენ და ფიქრში ცოცხლდება მათი უკვდავი სტრიქონები ხალხთა ძმობაზე, თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე.

ამას შესტრფოდნენ ნიზამიც და ფიზულიც, ვიდადიც და ვაგიფიც, მირზა ფათალი ახუნდოვიც და მირზა შაფი ვაზეხიც.

მათმა დიდმა ოცნებებმა ფრთა შეისხა აღორძინებული აზერბაიჯანის მიწაზე, რომელსაც დიდი ლენინის მზე დაჰნათის.

ა. კუხრაშვილი, ო. დემეტრაშვილი.



ნ. ხერხეულიძე

# სოციალისტური გარდაქმნებით

## რაზე ოცნებობდა ტახარ ჰომრი

მთებში კოცონები ენთო.

კოცონებს სახეგარუჯული, შეიარაღებული ადამიანები შემოსხდომოდნენ. ისინი მეომრები იყვნენ, თავისუფლების არმიის ჯარისკაცები და კოცონებთან არცთუ ისე ხშირად უხდებოდათ ჯდომა. ახლა კი ისხდნენ და სულგანაბულნი, თვალებანთებულნი უსმენდნენ თავიანთ ამხანაგს. ტახარ ჰომრი, იფრელი გლეხის შვილი, ეს-ეს არის დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც იგი, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად მოგზაურობდა; მან საოცარი ამბები ჩამოიტანა ამ უზარმაზარი ქვეყნის შესახებ.

თითქმის ყოველ თავისუფალ ღამეს ჰყვებოდა ტახარი და სათქმელი მაინც არ ელეოდა. ამხანაგები გატაცებით უსმენდნენ მას და იმ წუთებში დავიწყებას ეძლეოდა შიმშილი, სიცივე...

ტახარი მოუთხრობდა მათ თავისუფალი ხალხის ცხოვრებაზე, ხალხისა, რომელმაც პირველად ისტორიაში დაამხო კაპიტალიზმი და მომავლის ნათელი, ფართო გზა გაუხსნა კაცობრიობას, მათ შორის ამ გაწამებული, გაპარტახებული, მაგრამ გაუტეხავი ქვეყნის შვილებსაც.

— შენ უეჭველად უნდა ინახულო საბჭოთა კავშირი, — მოუბრუნდა ტახარ ჰომრი გვერდით მჯდომ მეგობარს ანრი ალეგს, — შენ ჟურნალისტი ხარ და ჩემზე უკეთ მოუთხრობ ჩვენს ხალხს იმ დიდი ქვეყნის შესახებ. იმათი გზა — სასახელოა და ჩვენც ისე უნდა მოვაწყოთ ცხოვრება, როგორც იმათ მოაწყეს.

მან სიგარეტს მოუკიდა, ამოიოხრა და თამბაქოს კვამლს დაფიქრებით ამოატანა:

— განა ტყუილად ვეწამეთ ამდენი? ჩვენც ხომ ხალხი ვართ...

ერთი თვის შემდეგ ტახარ ჰომრი ბრძოლაში დაეცა. ხოლო კიდევ ერთი თვის შემდეგ თავისუფლების ნანატრი დროშა ამაყად აფრიალდა ალჟირის მიწაზე. ალჟირმა გაიმარჯვა. ანრი ალეგმა შეასრულა დაღუპული მეგობრის თხოვნა. იგი ეწვია საბჭოთა კავშირს და მიღებული შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებულმა დაწერა ბრწყინვალე სტატია:

„მე ვნახე ალჟირის მომავალი!“

## მუსიო ფურნო და კომიტეტები

მაგრამ როგორ ჩაეყარა საფუძველი ხვალინდელ დღეს? შვიდი წლის თავგანწირულმა ბრძოლამ თავისი გაიტანა. იბრძოდნენ მუშები, გლეხები, უმიწაწყლონი, უმუშევარნი, სტუდენტები, ინტელიგენტები... ფრანგ კოლონიზატორთა ბატონობას ბოლო მოეღო, მაგრამ ალჟირიც ნანგრევებსა და ნახანძრალებში იწვა, რვა ათასზე მეტი სოფელი და ქალაქი მიწასთან იყო გასწორებული. არ იყვნენ ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები, ათიდან რვა ალჟირელმა ანბანიც არ იცოდა.

და სწორედ ამ დროს წამოყო თავი ეროვნულმა ბურჟუაზიამ. სანამ ხალხი უცხოელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ იბრძოდა, ბურჟუაზიაც მხარში edga მას. მაგრამ როცა დამპყრობლები განდევნეს და ალჟირელები თავიანთი თავის პატრონი გახდნენ, ბურჟუაზიამ გადაწყვიტა სათავეში მოქცეოდა მათ და ქვეყანა „ეროვნული კაპიტალიზმის“ გზით წაეყვანა.

„არა, ისინი სამ თვესაც ვერ გაძლებენ უჩვენოდ, — გესლიანად წერდა მაშინ ალჟირიდან კისრისტეხით გამოქცეული ერთ-ერთი ვაჟბატონი — ჟან ფურნო, რომელსაც ორანის პროვინციაში „უპატრონოდ“ მიტოვებული ვილა და ვეებერთელა მამულები დარჩა, — ისინი დაჭამენ ერთმანეთს. მერე კი სამათხოვროდ ისევ ჩვენსკენ გამოიშვერენ ხელს“.

მაგრამ მუსიო ფურნოს სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. ალჟირელმა ხალხმა სულ სხვა გზით სიარული მოისურვა. მან მშვენივრად იცოდა, თუ რა მოუტანა მას კაპიტალიზმმა, უცხოური იყო იგი თუ შინაური, ამ ათეული და ასეული წლების მანძილზე, და გადაჭრით გაილაშქრა ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ახალი გზაც და მიზანიც თვითონ ხალხმავე გამონახა.

არავინ იცის სად დაიწყო პირველად ეს ისტორიული ექსპერიმენტი, იქნებ იმავე მუსიო ფურნოს ყოფილ ფერმებში, სადაც ახალგაზრდა გლეხის აჰმედ ალ ბაჰარის თაოსნობით შეიკრიბნენ ფერმის მუშები, რომლებმაც გადაწყვიტეს დაპატრონებოდნენ ფრანგი კოლონიზატორის მიტოვებულ მეურნეობას და კოლექტიურად წარემართათ იგი. თავიანთი წარმომადგენლებისაგან მათ შექმნეს თვითმმართველობის კომიტეტი, რომელიც განაგებდა მეურნეობის ყველა საქმეს.

ეს იყო 1962 წლის გაზაფხულზე.

თვითმმართველობის ასეთი კომიტეტები შეიქმნა მთელს ალჟირში მესაკუთრე-ევროპელების მიერ მიტოვებულ სასოფლო-სამეურნეო ფერმებსა და სამრეწველო საწარმოებში.

ეს იყო სოციალიზმის ახალი გზა და ალჟირელი ხალხი გადაჭრით დაადგა ამ გზას.

ალჟირის რესპუბლიკის ახლანდელმა ხელმძღვანელებმა და ნაციონალური განთავისუფლების ფრონტის პარტიამ, რომლებსაც არა ერთი ბრძოლის გადატანა უხდებოდათ რეაქციასთან, ეს სახალხო ინიციატივა სისტემად გადააქციეს. ამით მოგებულ იქნა გადამწყვეტი ბრძოლა შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

მუსიო ფურნოსა და მისი ავანჩავანების იმედები წყალმა წაიღო.

## ასე იწყება მომავალი

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა აჰმედ ბენ ბელამ განაცხადა:

„სოციალიზმის ამ ახალი ფორმის პირობებში, რომელიც დაიბადა მასების შემოქმედებითი ინიციატივით, მეურნეობას განაგებს უშუალოდ ხალხი. სახელმწიფო და პარტია კი თავის მთავარ ამოცანად ისახავენ სხვადასხვა სამეურნეო ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის ჩარჩოებში, ზრუნავენ სოციალისტური სექტორის დაცვისა და გაფართოებისათვის იმავე დემოკრატიული პროცედურის შესაბამისად, რომელმაც უზრუნველჰყო მისი ჩასახვა“.

კოლონიალურმა მონობამ სიდუხჭირისა და უვიცობის მეტი არაფერი მოუტანა ალჟირელ ხალხს. ხოციალიზმის აშენებისათვის კი მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტები არის საჭირო, და აი, კაბილიაში, თიზი-უზუდან ოცდაათი კილომეტრის დაშორებით „ფრანგული ალჟირის“ ერთ-ერთი დედაბოძის, სენატორ პატერნოს ყოფილ ვილაში მოეწყო „სანიტარული განათლების პრაქტიკის“ კურსები, სადაც ალჟირელი ჭაბუკები და ქალიშვილები პირველად ქვეყნის ისტორიაში ეუფლებიან თანამედროვე მედიცინის მიღწევებს. ეს იყო დასაწყისი. ახლა სხვადასხვა სპეციალობის ასეთი კურსები თითქმის მთელს ალჟირშია მოწყობილი. გარდა ამისა, ახალგაზრდა ალჟირელები სასწავლებლად მიდიან სოციალისტურ ქვეყნებში, დიდ საბჭოთა კავშირში, რათა იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება თავიანთ ხალხს მოახმარონ.

ალჟირის მთავრობამ განახორციელა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი რეფორმები, ევროპელი კოლონიზატორების ლატიფუნდიები და ადგილობრივი მემამულეების მიწების უდიდესი ნაწილი ფელახებს გადაეცა, განხორციელდა უდიდეს საწარმოთა ნაციონალიზაცია, მათ შორის უცხო კომპანიების საწარმოთა ნაციონალიზაცია.

ყოველივე ამის გაკეთება ამ მოკლე ხანში ალჟირელმა ხალხმა შესძლო საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უანგარო, ძმური დახმარებით. ალჟირში იგზავნება ავტომანქანები, ტრაქტორები, ჩარხები, ელექტრომოწყობილობანი, სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და მრავალი სხვა, რათა თავისუფალი ალჟირელი ხალხი თავისი ნათელი მომავლის გზას მიჰყვებოდეს ბუმბერაზული ნაბიჯებით.

„თავისუფალი ალჟირის მშენებლობაში, — მიმართა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ ბენ ბელას, — თქვენს ხალხს შეუძლია მუდამ საბჭოთა ხალხის ყოველმხრივი ძმური დახმარების იმედი ჰქონდეს“.

ალჟირს აქვს ამის იმედი.



დიმიტრი ვაშალომიძე

# სასახელო სარბიელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორატორი რჩევას იძლევა

ქარდანახში ვის უნდა ჰკითხო, რომ სოფლის მოამაგეთა და ყველაზე საყვარელ ადამიანთა შორის გიორგი ხელაშვილის გვარი არ ახსენოს! უყვართ კარდანახელებს თავიანთი ექიმი—გიორგის სახლის კარი, ზამთარ-ზაფხულ, დღისით და ღამით, ღიაა მათთვის; წლების მანძილზე მეზობელი სოფლებიდანაც გადმოდიოდნენ მასთან და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ექიმს ოდესმე გაეცრუებინოს მათი იმედი, არად ჩაეგდოს მათი თხოვნა, ზოგჯერ თავის ფეხით მიჰქონდა ავადმყოფთან მალამო. შინ თუ გარეთ, ჭირში თუ ლხინში გიორგის არ ავიწყდებოდა, რომ ექიმი იყო.

გიორგის გულის დიდ სითბოზე ყველაზე ნათლად კიდევ ერთი რამ მეტყველებს: მას კაცისათვის დახმარების ხელი გაუწვდია მაშინაც კი, როცა მას ეჭვიც არა ჰქონია—ავად ვარო.

ერთხელ, ერთ ოჯახში სუფრაზე მიიწვიეს გიორგი. გახურებული ლხინი იყო; ჭარმაგ თამადას, ძია გიგოს მკლავის სიგრძე ყანწი ეჭირა და ოქროპირად ქცეულიყო. გიორგიმ გახედა თამადას და უცებ მის დაღდაღა ლოყაზე რაღაც პატარა ლაქა შეამჩნია. სუფრიდან რომ აიშალნენ, მოხუცი განზე გაიხმო, გასინჯა, მერე წერილი დაწერა, კონვერტში ჩადო, მისამართი დააწერა და უთხრა: ეს თბილისში აუცილებლად შენი ხელით უნდა წაიღოო. ძია გიგო ხათრს როგორ გაუტეხავდა ასეთ კარგ კაცს—წამოვიდა თბილისში; აქ უთხრეს, ეს ლაქა ახლა პატარაა, მაგრამ გაიზრდება და შეგაწუხებს, სჯობია მოიშოროო; ლაქა ამოუწვეს და განკურნებულს შინისკენ გზა დაულოცეს. როცა მოხუცმა გაიგო, თურმე კანის კიბო მჭირდა და ის მომირჩინესო, ნაგვიანევმა შიშმა კინაღამ გული გაუხეთქა. მერე კი სულ გიორგისა და მისი თბილისელი მეგობრების ლოცვაში იყო.

— რა ღვთისნიერი ხალხი ყოფილა, კაცოუ! აბა თუ გამაგებინეს რამე!

ხელაშვილს რომ შეხვდა, მოხუცმა ხუმრობით უთხრა:

— კაცო, შენ ლხინში დროს სატარებლად დადიხარ, თუ ხალხის გასასინჯად! მაი, დედასა, ვერ ვყოფილვარ კარგი თამადა, თორემ მაშინ კიბოზე ფიქრის თავი აღარ გექნებოდა...

კარდანახის საავადმყოფო ახლა მთელ კახეთშია განთქმული—ფიზიოთერაპიული კაბინეტიც აქვს, კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიაც, რენტგენიც... ყველაფერი ეს იქაურმა ექიმებმა—თვითონ გიორგიმ, სანდრო მახოშვილმა, ივანე ხიმშიაშვილმა, ნინო ბასილაშვილმა, ქეთევან საყვარელიძემ, გიორგი მიჩიტაშვილმა მოაწყეს და აამოქმედეს.

წელიწადზე მეტია გიორგი გურჯაანში გადაიყვანეს, რაიონის მთავარი ექიმის თანამდებობაზე.

წელს თბილისში ჩვენი რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა ყრილობა ჩატარდა. გიორგი ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა, ილაპარაკა მგზნებარედ, მოურიდებლად, ბევრ საჭირბოროტო საკითხს შეეხო იგი და ბევრ თავის კოლეგასაც მოუოხა ამით გული.

სხდომის დასასრულს გიორგის აზრის გასაზიარებლად ნაცნობ-უცნობები შემოეხვივნენ.

—თქვენ ნამდვილი ორატორი ყოფილხართ!—უთხრა მას რესპუბლიკის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის უფროსმა არჩილ ჩიქოვანმა.

—მე კი სწორედ თქვენი ნახვა მინდოდა,—გაიღიმა ხელაშვილმა და მოსაუბრეს მკლავი გამოსდო, გაიმარტოხელა,—საქმე რაშია იცით? ჩვენთან, რაიონში გვაქვს სასწრაფო დახმარების პუნქტი. ამ პუნქტს ემსახურება ოთხი ექიმი, ხუთი ექთანი და ოთხი შოფერი...

— კარგად გქონიათ საქმე!—გაიცინა ჩიქოვანმა.

—უფრო კარგად გვინდა რომ გვქონდეს,—უპასუხა გიორგიმ,—კარგი იქნებოდა თუ რესპუბლიკის სასწრაფო დახმარების სადგური შეფობას აიღებდა ჩვენს პუნქტზე. არ დაგიმალავთ და ამას თავისი მიზანიც აქვს, ამ პუნქტის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას სარაიონთაშორისო სასწრაფო სამედიცინო დახმარების კვანძი.

—საკმაოდ მაცდუნებელი აზრია,—ჩაილაპარაკა ჩიქოვანმა,—არა, ნამდვილად კარგი აზრია!

—აბა, წარმოიდგინეთ,—ფრთები შეესხა გიორგის,—გურჯაანი კახეთის გულია, არა მარტო ფიგურალური გაგებით, არამედ გეოგრაფიულადაც. კახეთის დანარჩენი რაიონები თითქმის თანაბარი მანძილით არის მისგან დაშორებული, ამიტომ უფრო ხელმისაწვდომიც არიან აქედან. კვანძი აღჭურვილი იქნება იმ უახლესი სამედიცინო აპარატურით, რაც რაიონის სასწრაფო დახმარების პუნქტებს არა აქვთ, და ცხადია, მოსახლეობისადმი მისი მომსახურებაც უფრო სწრაფი და ეფექტიანი იქნება, ვიდრე თბილისიდან გამოძახებული სასწრაფო დახმარებისა. სამინისტროში უნდა დავაყენოთ ეს საკითხი.

გიორგი საქმის კაცია, უსათუოდ მიადგება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ამ საკითხის თაობაზე და ვიმედოვნებთ, რომ სამინისტროს მუშაკებიც საქმიანად მოეკიდებიან ხელაშვილის ამ მეტად საინტერესო წინადადებას.

მაგრამ რაიონის მთავარი ექიმის დღე მარტო ამ ამბებით როდი იწურება. იგი რაისაბჭოს დეპუტატიც გახლავთ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეც. ხალხი ბევრი მოდის მასთან, როგორც დეპუტატთან, როგორც ექიმთან. დღის დანარჩენი ნაწილიც კონსულტაციებში, ავადმყოფთა მიღებაში ილევა და მხოლოდ ღამით, როცა ყველა ძილს აძლევს თავს, შესაძლებლობა ეძლევა გვიანობამდე იჯდეს და გატაცებით იმუშაოს თავის საკანდიდატო თემაზე—„ნაღვლის ბუშტის ლაბიოზური ანთების მკურნალობის საკითხებისათვის“, რომელიც ამ წლის დამლევისთვის უნდა დაამთავროს.

როცა გურჯაანის ფართო, მოასფალტებულ შარას დავადექით, გიორგიმ მანქანა გააჩერა და მხარმარჯვნივ ამართულ ბექობზე გვანიშნა.

—ჩვენ ახლა კურორტ ახტალის ტერიტორიაზე ვართ,—გვითხრა მან,—ის ბექობიც ახტალის ტერიტორიაში შედის. გზის აქეთ კი ტალახია, აი იქ, დაბლობში. ჩემი, როგორც ექიმის, ოცნება ის არის, რომ ამ ბექობზე სანატორიუმის ახალი კორპუსი წამოიჭიმოს და იგი საბაგირო გზით დაუკავშირდეს სააბაზანოებს. ამით სამ კურდღელს ვკლავთ,—გაიცინა გიორგიმ,—ჯერ ერთი, დამსვენებელთა რიცხვი გაიზრდება, მეორე, გზა სააბაზანოებამდე თითქმის კილომეტრზე უფრო მეტით შემცირდება და მესამეც ის, რომ ამ შემცირებით გაიზრდება ტალახით მკურნალობის ეფექტიანობაც. თუმცა კარგი იქნება, თუ თქვენი თვალით ნახავთ ყველაფერს.

## ახტალის შუქ-ჩრდილები

ახტალის ტალახი მართლაც რომ კაცის საშველად გაუჩენია ბუნებას. თავისი სამკურნალო თვისებებით იგი არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ თითქმის მთელს მსოფლიოშიც ერთადერთია. იგი უებარი წამალია კიდურებისა და საერთოდ სამოძრაო ორგანოების, პერიფერიული ნერვიული სისტემის დაავადებების (რადიკულიტი, ბავშვთა დამბლა ანუ პოლიომელიტი და სხვ.), გინეკოლოგიური დაავადებების, რევმატიზმისა და კანის დაავადებების წინააღმდეგ; ამიტომ არის, რომ ახტალისკენ სამკურნალოდ მოეშურებიან ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან. მარტო შარშან 1.117 ავადმყოფიდან სრულებით განიკურნა 332 კაცი, საგრძნობლად გამოჯანმრთელდა 732 კაცი. ტალახის დებეტი საკმაოდ დიდია, იგი დღეღამეში საშუალოდ 20-25 კუბომეტრს უდრის. ყოველივე ეს ახტალისკენ იზიდავს უამრავ ავადმყოფს, რომელთა სამკურნალოდ ტალახი საკმარისზე ბევრად მეტია, მით უმეტეს, რომ, როგორც ახლა დამტკიცდა, ნახმარი ტალახის სამკურნალო თვისებები არა თუ იკარგება, არამედ უკეთესიც ხდება, რაც მის განმეორებით გამოყენების ვრცელ პერსპექტივას იძლევა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ სანატორიუმის ორი კორპუსი, რომელიც სულ მხოლოდ 150 კაცს იტევს, და ბავშვთა ახალი სანატორიუმი, რომელიც 60-70 ბავშვზეა გათვალისწინებული—არ ჰყოფნით კურორტზე სამკურნალოდ მოსულ ადამიანებს. ავადმყოფთა დიდი ნაწილი გურჯაანში ქირაობს ბინას. ხოლო იმის გამო, რომ ეს ბინა საკმაოდ დაშორებულია აბაზანებს და ავადმყოფს მათი მიღების შემდეგ კარგა დიდი მანძილის გავლა უხდება, მკურნალობის ეფექტიც საგრძნობლად მცირდება.

—უკვე გათვალისწინებულია კიდევ ერთი სამსართულიანი კორპუსის აგება,—გვითხრა სანატორიუმის მთავარმა ექიმმა გიორგი ზაგრაშვილმა,—ამას გარდა, გათვალისწინებულია სამსართულიანივე სასადილო-კლუბის აშენება. ძველი სააბაზანო, რომელიც თითო ჯერზე ორმოც კაცს ატარებს, შეიცვლება ახალი საბაზანოთი, რომელიც ერთდროულად ოთხმოც ავადმყოფს მოემსახურება. ეს იქნება მთელი სამკურნალო კომბინატი, სადაც მკურნალობა მოეწყობა ფიზიკური მეთოდებით, ელექტროპროცედურებით, მასაჟებით და ა. შ.

უნდა გაფართოვდეს ბავშვთა სანატორიუმიც. რაც აშენდა, კარგია, მაგრამ საჭიროა კიდევ ერთი ახალი კორპუსის აგება. ახტალა ხომ თითქმის ერთადერთი ადგილია, სადაც შესაძლებელია პოლიომელიტით დაავადებული ათ წლამდე ასაკის ბავშვების ეფექტიანი მკურნალობა. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

—არც აბაზანებამდე ტალახის მიზიდვის საკითხია მოგვარებული,—შენიშნა ხელაშვილმა,—ეზიდებიან ვედროებით, მაშინ როცა სულ ადვილია სპეციალური კონტეინერის მოწყობა. არადა, წარმოიდგინეთ, დღეში რამდენი ვედრო ტალახი უნდა მიზიდოს მუშამ ავადმყოფებამდე...

როცა კურორტის ტერიტორიას გავცდით და მანქანა ისევ გურჯაანის გზაზე გამოვიდა, გიორგიმ დაფიქრებით ჩაილაპარაკა:

—ადამიანი მზესუმზირასავით მისდევს მზეს, მზეა მისი სიცოცხლე და სიხალისე. ამ ტალახშიც მზის უამრავი ენერგიაა დაგროვილი და ცოდვაა ასეთ უნიკალურ ადგილს ნაკლები ყურადღება ექცეოდეს.

ნამდვილად ცოდვაა!





ვინც ამ სათაურს წაიკითხავს, მაშინვე ჩვენი დაუვიწყარი გალაკტიონის სტრიქონები გაახსენდება:

მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,
ახლა იქ მყუდრო ნავსადგურია,
წყალში შთასული არის მითები
და მეელისძველი დიოსკურია.
ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში
თითქო სხვა მესმის იდუმალება,
ილუზია, ჩვენება! მასში
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.
თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,
მათში წყალქვეშა გუგუნებს ზარა
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.

# ქალაქი წყალქვეშ

ეს მხოლოდ პოეტური ფანტაზია როდია: სოხუმის ყურეში, ოდესღაც მართლაც იფურჩქნებოდა და ჰყვაოდა ეს ქალაქი, რომელიც ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო დიოსკურიას სახელით.

ახლა ეს ქალაქი, უფრო სწორად, ის, რაც მისგან დარჩა, ზღვის ფსკერზე დაძირულა და ხავსითა და ნიჟარებით შემოსილი კვლავ მტკიცედ ინახავს თავისი წარსულის საიდუმლოებას. სალამოობით, როცა სოხუმის ბდღვიალა ელნათურები აციმციმდებიან ხოლმე შავი ზღვის მთვლემარე ტალღებზე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს წყალქვეშა ქალაქიც გაცოცხლდაო.

უკვე კარგა ხანია მეცნიერები გულდასმით სწავლობენ ზღვის ამ ყურედან ამოღებულ სხვადასხვა ნივთებს (თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და ოქროს სამკაულები, ფულები). მათ შორის ყველაზე საინტერესოა დიოსკურიაში მოჭრილი ბრინჯაოს ფულის ნიმუშები, რომლებზედაც იმდროინდელი ქუდებია ამოკვეთილი.

ერთხელ სოხუმის ყურეში ორმა დამსვენებელმა ცურვის დროს, ნაპირიდან დაახლოებით რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით, ზღვის ფსკერზე სამ-ოთხი მეტრის სიღრმეზე საკმაოდ მოზრდილი ოთხკუთხედი ქვა შეამჩნია; მათ ცნობისმოყვარეობამ წასძლიათ, ფსკერზე ჩაეშვნენ, ქვა ხელით მოსინჯეს, ლამი მოაშორეს და როცა დარწმუნდნენ, უბრალო ქვის ნატეხი არ იყო, ეს ამბავი მაშინვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის განყოფილების თანამშრომლებს შეატყობინეს. მალე ზღვის ფსკერიდან ამოღებულ იქნა ანტიკური პერიოდის სტელა (საფლავის ქვა), რომელზეც ამოკვეთილია ადამიანის სამი ფიგურა — მომაკვდავი დედა, რომელსაც პატარა ბავშვი მწუხარე თვალებით შესცქერის, და გვერდით მდგომი მსახური ქალი მხარზე დადგმული განძეულის ყუთით. მრავალი საუკუნის განმავლობაში ზღვას და დროს ბევრი რამ წაუხდენიათ ამ სკულპტურულ კომპოზიციაში, მაგრამ ქანდაკება მაინც მომხიბვლელია. ის ახლაც ცოცხლობს და მეტყველებს, რომ დიდოსტატის საჭრეთლით არის გამოკვეთილი.

1968 წლის ივლისის ბოლოს გავემგზავრეთ დიოსკურიას გადასაღებად.

ჩვენს ქრონიკალურ-დოკუმენტურ და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიას წყალქვეშა გადაღებისათვის არც კინოაპარატურა აქვს და არც გადაღების გამოცდილება; ამიტომ ჩვენ ამ საქმისათვის მოსკოვის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიიდან მოვიწვიეთ კინოოპერატორი ანატოლ პოპოვი. მასთან ერთად სოხუმში ჩამოვიდნენ სათანადო კინოაპარატურით აღჭურვილი მისი ასისტენტები.

აღნიშნული კინოფილმისათვის კონსულტანტებად ჩვენმა სტუდიამ მოიწვია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. აფაქიძე და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ლ. შერვაშიძე და მიხ. დრაპში. ჩვენი სტუდიიდან ოპერატორად მუშაობდა ახალგაზრდა კინოოპერატორი ტ. ელიაშვილი, მხატვრად ქ. ლებანიძე.

წყალქვეშა დაზვერვას პირველად ათი დღე მოვანდომეთ, შევისწავლეთ ქალაქის განლაგება. ამ წყალქვეშა დაზვერვაში ხელი შეგვიწყო ლევან შერვაშიძის მიერ შედგენილმა რუკამ, რომლის საფუძველზე ჩვენმა მხატვარმა ქ. ლებანიძემ გააკეთა ქალაქ დიოსკურიას დაახლოებითი მაკეტი, შემდეგ კი კომბინირებული გადაღებით გადავიღეთ ქალაქ დიოსკურიას მიდამოები.

მიუხედავად იმისა, რომ ამინდი კარგი იდგა, წყალქვეშა ხედვითობა სოხუმის ყურეში ბუნდოვანი იყო, რამაც საგრძნობლად შეგვიშალა ხელი; სოხუმის ყურედან ნახევარი კილომეტრის დაშორებით კი ყველაფერი კარგად ჩანდა. ჩვენც გადავწყვიტეთ იქ ჩაგვეტარებინა გადაღებები. ადრე ნაპოვნი ექსპონატები ზღვის ფსკერზე ჩავიტანეთ და ისე გადავიღეთ. ზღვით დაფარულ გალავანსა და ციხის ნანგრევებს სქელი ხავსი ჰქონდა მოდებული, ქვების წყობა არ ჩანდა; ამიტომ მყვინთავების ერთი ჯგუფი გამოვყავით, რომლებმაც გალავანი და ციხის კედლები 5-6 მეტრის სიგანეზე გაასუფთავეს ხავსისა და ლოკოკინებისაგან. მხოლოდ ამის შემდეგ შევძელით მათი გადაღება.

ინჟინერი ბორისენკო წყალქვეშ დაფაზე ხაზავდა კედლების განლაგებას, ქვათა წყობას და ა. შ.

გადამღებმა ჯგუფმა კედლებთან ახლოს, ზღვის ფსკერზე, თიხის ჭურჭლის ნატეხები და ორი თუ სამი ბრინჯაოს ნივთი იპოვნა: გადავიღეთ წყალქვეშა ფაუნა: მედუზები, დელფინები, რომლებიც დიდი ცნობისმოყვარეობით დაგვტრიალებდნენ თავს.

თავდაპირველად ოთხიდან ათამდე მეტრის სიღრმეზე ვმუშაობდით, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩავედით კიდევ უფრო ღრმად, დაახლოებით ოცი მეტრის სიღრმეზე. აქ მზე ნაკლებად ანათებდა და იძულებული ვიყავით კინოკამერასთან ერთად გამანათებელი აპარატურაც ჩაგვეტანა თან.

აქაც აღმოჩნდა ნანგრევები, ვიწრო გასავლელები და საკმაოდ დიდი თაღი.

ასეთი სახის კინოექსპედიცია, რომელიც აწარმოებდა ჩაძირული ქალაქის გადაღებას, თუ არ ვცდებით, პირველია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც.

აეხადა თუ არა ფარდა სოხუმის ყურის საიდუმლოებას? რასაკვირველია, არა. დიოსკურიის ტრაგედიის გამოსარკვევად საჭიროა კიდევ ბევრი მეცნიერული მუშაობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

საბოლოო სიტყვა ჩვენს სწავლულებს ეკუთვნით.

ირაკლი კანდელაკი
კინორეჟისორი



ანტიკური პერიოდის სტელა.

# გული ისევ მხნეა

მოხუცი ქალი საბურთალოზე, მესამე კვარტალში ცხოვრობს. ახლა იგი პენსიაზეა და მყუდრო ცხოვრებას ეწევა. გული კი მაინც არ უსვენებს, ისევ საქმისაკენ მიუწევს, ხან პატარებს დასტრიალებს თავს, ხან თავისი უბნის შემკობასა და კეთილმოწყობაზე ზრუნავს.

და როცა მარტო დარჩება ხოლმე, ფიქრებში გაიღვიძებენ წარსულის ამბები.

...სამოქალაქო ომის ქარიშხლიანი დღეები... გააფთრებული ბრძოლები... იერიშზე გადასული საბჭოთა არმიის მამაცი ჯარისკაცები სოფელს სოფელზე ანთავისუფლებენ... ბატალიონი ბრძანებას უცდის... და აი, დივიზიის შტაბიდან გამოგზავნილი წითელარმიელიც მოვიდა, მეთაურს პაკეტი გადასცა; ბრძანებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ პაკეტის მომტანი წითელარმიელი ანა ჯონსონი ამიერიდან ამ ბატალიონშივე ჩაირიცხებოდა.

ბატალიონის მეთაურმა ნიკოლოზ პუხოვმა ქაღალდი ჩაიკითხა და წითელარმიელს გაოცებით შეხედა:

— ანა ჯონსონი? რაო, ინგლისელი ხარ?

— არა, ამხანაგო მეთაურო, ქართველი გახლავართ...

— ამნაირი ქართველი ჯერ არ მინახავს... რატომ გაქვს ასეთი გვარი?

— ეგ ჩემი ფსევდონიმია, ამხანაგო მეთაურო... გვარად კი ბეგაშვილი ვარ...

მეთაურმა გაიღიმა, ანამ ყველაფერი უამბო თავისი წარსულიდან — ფაბრიკაში მუშაობა, გაფიცვებში მონაწილეობა, არალეგალური წიგნები, პროკლამაციები... ახალგაზრდა ქალიშვილი ბოლშევიკებს უმეგობრდება, და აი, .ასე ბუნებრივად მიდის მისი გზა საბჭოთა არმიის რიგებისაკენ.

ამ ბატალიონში ანამ კვლავ ისახელა თავი. იგი მეტყვიამფრქვევეთა ოცეულში ჩარიცხეს. ამრიგად, ანა არა მარტო სეხნია, არამედ ღვიძლი დაი არის იმ მეტყვიამფრქვევე ანიასი, რომელსაც ახლა, შესანიშნავი ფილმის „ჩაპაევის“ წყალობით, მთელი მსოფლიო იცნობს. ჩვენი ანაც იმ ანიასავით საოცარი ბიოგრაფიის ადამიანია.

სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე ანა ბეგაშვილი ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის რიგებში იბრძოდა, იმ არმიის რიგებში იბრძოდა, რომელმაც ძმური დახმარების ხელი გაუწოდა ამიერკავკასიის მშრომელებს, როცა ისინი იარაღით ხელში აღდგნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ანა მოსკოვში მიდის სასწავლებლად... ინსტიტუტი, წიგნები, ფორმულები, ნახაზები, და ბოლოს, ინჟინრის დიპლომი, შემდეგ ხანგრძლივი შრომა რკინიგზის სამმართველოში.

ახლა პენსიაზეა ანა, მაგრამ გული მაინც საქმისაკენ მიუწევს, გული არ ბერდება, ის ისევ მხნეა და დაუღლელი.

გ. ხიჩუაშვილი



ანა ბეგაშვილი.




# ფურცლები ჩვენი თეატრის მატიანის

ერემია ქარელიშვილი

„დღეები ახლო წარსულისა", ასე დაასათაურა თავისი მოგონებების პირველი წიგნი საქართველოს სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ და თავიდანვე მკითხველში ცხოველი ინტერესი აღძრა. წიგნის პირველი ფურცლებიდანვე გრძნობთ იმ მშფოთვარე დღეების სიმძაფრეს, რომელშიც იბადებოდა, ფრთებს ისხამდა და ვაჟკაცდებოდა ქართული საბჭოთა თეატრი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე განვლილი წლები ქართული თეატრისათვის მეტად მძიმე წლები იყო. ამ ხნის მანძილზე აქტიორული ხელოვნება დაქვეითდა, რეჟისურა დაუძლურდა. ცალკეულ ნიჭიერ რეჟისორებს ძალა არ ჰყოფნიდათ შექმნილ კრიზისულ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა ეპოვათ, აწმყოზე მათ ხელი ჩაქნეული ჰქონდათ და შორეული იმედებით ცხოვრობდნენ...

და აი, 1922 წელს კოტე მარჯანიშვილი რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდა და ახალი თეატრიც დაიბადა. დაბადებისა და დავაჟკაცების ის გზა, რომელიც ახალი ეპოქის კანონზომიერმა პირმშომ — ქართულმა საბჭოთა თეატრმა გაიარა, განსაკუთრებით რთული და ძნელი იყო. ახალი იდეებით შეიარაღებულ დიდ ხელოვანს კრიტიკულად უნდა გადაეფასებინა რაც სამშობლოში დახვდა, უნდა დაეძლია თეატრის მოღვაწეთა ერთ ნაწილში გაბატონებული რუტინა და ბევრი რამ თავიდან დაეწყო.

აი ამ საინტერესო დღეებზე გვესაუბრება დოდო ანთაძე თავის მოგონებებში. მაგრამ გვესაუბრება ფაქტების არა მშრალი და უბრალო მოყოლით, არამედ საგნის დიდი ცოდნით, სიყვარულითა და გატაცებით. წიგნში ვერც ერთ გვერდს ვერ იპოვით, რომ გულშემატკივარი შემოქმედის მღელვარებით არ იყოს აღბეჭდილი. დოდო ანთაძე ქართულ საბჭოთა თეატრს სათავეებიდან მოსდევს, სხვა გამოჩენილ რეჟისორებთან და მსახიობებთან ერთად იგი გვერდში ედგა კოტე მარჯანიშვილს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი თეატრის მშენებლობაში.

ორმოცდახუთი წლის მანძილზე დოდო ანთაძეს ბევრი რამ უნახავს და განუცდია, მრავალი რამის უშუალო მონაწილე და მოწმე ყოფილა, და ამიტომ მის მოგონებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრის ისტორიის შესწავლისათვის.

დ. ანთაძის მოგონებების მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ ავტორს თავიდანვე დღიურები უწარმოებია და ბევრ რამეს ზედმიწევნით ზუსტად აღადგენს, სინამდვილეს აცოცხლებს და იმ ხანის თეატრალურ ატმოსფეროში შევყავართ.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა პერიოდის თეატრალურ ცხოვრებაზე მრავალი მოგონება დაიწერა და გამოვიდა, მაგრამ დოდო ანთაძის ეს მოგონებები ყველასაგან გამოირჩევა მასალის სიუხვით, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის სიღრმით. წიგნში იმდენად ვრცელია ანალიტიკური ნაწილი, რომ იგი შეიძლება წმინდა მემუარული ჟანრის ლიტერატურას არც კი მივაკუთვნოთ. „დღეები ახლო წარსულისა" ცოცხალ ფაქტებზე და უშუალო შთაბეჭდილებებზე დამყარებულ ისტორიულ ნარკვევს უფრო უახლოვდება. წიგნის ყოველი ფურცელი ახლო წარსულის ატმოსფეროთი სუნთქავს; აქ არის მშფოთვარე ფიქრები იმ ადამიანისა, რომელსაც მთელი სიცოცხლე თეატრის ბედთან დაუკავშირებია და თეატრის ტკივილი და სიხარული საკუთარ ტკივილად და სიხარულად უქცევია. ავტორი ყოველ ფაქტს შემოქმედებითად აანალიზებს და ესთეტიკურად განაზოგადებს. დოდო ანთაძე ფაქტების ისტორიული შეფასებისას ობიექტურობას არასოდეს ღალატობს, ყველას თავისას მიუზღვავს და არავის უკარგავს წვლილსა და დამსახურებას.

წიგნში მთავარი ყურადღება კოტე მარჯანიშვილს ექცევა, აქ დაწვრილებით ვეცნობით მის პრაქტიკულ საქმიანობას, შემოქმედებითს გეგმებსა და ესთეტიკურ შეხედულებებს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან, როგორც ვთქვით, ქართული საბჭოთა თეატრის შექმნა და მისი ტრიუმფალური გამარჯვებები კოტეს სახელთან არის დაკავშირებული. მარჯანიშვილი იყო არა მარტო იშვიათი ნიჭისა და ფართო დიაპაზონის რეჟისორი, არამედ გასაოცარი ორგანიზატორიც და დიდი პედაგოგი-აღმზრდელიც. ამ მრავალმხრივი ნიჭით მან სწრაფად მოიხვეჭა მთელ რუსეთში დიდებული რეჟისორის სახელი. იგი ყურადღებას იქცევდა არა მხოლოდ უაღრესად მაღალნიჭიერი დადგმებით, არამედ ახალი თეატრების შექმნითაც. მისი დაუშრეტელი და დაუცხრომელი მხატვრული ფანტაზია ყველგან უხვად აფრქვევდა სიკეთეს... დიდი რეჟისორის უკვდავებისათვის მარტო ისიც კმარა, რომ სამოქალაქო ომის ურთულეს პირობებში მან პირველმა შთაბერა განახლების სული უკრაინულ თეატრს. საქართველოში კოტემ ნამდვილად სასწაული მოახდინა და ჩვენს თეატრს ბოლომდე გამოჰყვა მისი შემოქმედებითი პათოსის ეშხი და სილამაზე.

კოტე მარჯანიშვილი წარმატებებს იმით აღწევდა, რომ სპექტაკლებთან ერთად შემოქმედებით კოლექტივს — თეატრს ქმნიდა. მან აღზარდა მეტად ნიჭიერ მსახიობთა მთელი პლეადა, რომელსაც ორმოც წელზე მეტი ხნის მანძილზე ჯერ კიდევ წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენს თეატრში. მარჯანიშვილამდე თითქმის არ გვქონია თეატრალური მუსიკა და დეკორაციული ხელოვნება, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მარჯანიშვილის თეატრი სინთეზური თეატრი იყო და მან თავიდანვე სასცენო ხელოვნებას ყველა დარგის მუშაკები აღუზარდა.

დოდო ანთაძე აღნიშნავს, რომ ყველაზე ნაკლები ღვაწლი კ. მარჯანიშვილს რეჟისურის კადრების აღზრდის საქმეში მიუძღვისო. შეიძლება ამ მოსაზრებაში ბიმართლის ნაწილი იყოს, მაგრამ იგი ბოლომდე სწორი არ არის. მარჯანიშვილი ძალიან ბევრს აკეთებდა ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორების დაწინაურებისათვის. თვით დოდო ანთაძესაც არა ერთი ფაქტი მოყავს იმისა, რომ თავისი დადგმების აფიშებზე ხშირად ახალგაზრდა რეჟისორის გვარსაც ათავსებდა მხოლოდ იმისათვის, რომ რეპეტიციებზე მათ შავი სამუშაოს პროცესში მოიხმარდა ხოლმე. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ წაეხალისებინა იგი და თანაც საზოგადოებაში მისთვის სახელი და პატივისცემა შეექმნა. მარჯანიშვილის მიერ აღზრდილი ზოგიერთი რეჟისორი დღესაც ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა და თავისი წვლილი შეაქვს სასცენო ხელოვნების განვითარებაში. თვით უნიჭიერესი რეჟისორი ალ. ახმეტელი, რომელმაც შემდეგში საკუთარი შემოქმედებითი გზა მონახა, მარჯანიშვილის ნამდვილი „აღმოჩენა" იყო. მართალია, ალ. ახმეტელმა ცოტა უფრო ადრე დაიწყო მუშაობა, ვიდრე კ. მარჯანიშვილი თბილისში ჩამოვიდოდა, მაგრამ ფართო საზოგადოების ყურადღება მხოლოდ მარჯანიშვილთან მუშაობის პერიოდში მიიქცია. ალ. ახმეტელში კოტემ მრავალი ღირსება აღმოაჩინა და ყოველნაირად ხელი შეუწყო ამ ღირსებათა განვითარებასა და სრულყოფას. მარჯანიშვილთან მხარდამხარ მუშაობაში გამოესხა ახმეტელს ის მძლავრი ფრთები, რომლებიც შემდგომში უფრო ლაღად და ფართოდ გაიშალნენ.

არ შეიძლება დავეთანხმოთ „დურუჯის" იდეალიზაციას. მისი მოღვაწეობა კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს. მარტო ის ფაქტებიც, რომლებიც დ. ანთაძეს მოყავს, ნათლად მოწმობს, რომ ეს კორპორაცია ხელს არ უწყობდა შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას. კ. მარჯანიშვილმა მალე იგრძნო, რომ „დურუჯი" ერთგვარ ბორკილს წარმოადგენდა სამხატვრო ხელმძღვანელის თავისუფალი მოქმედებისათვის, მაგრამ თუ ერთხანს მას მაინც მხარს უჭერდა, მხოლოდ იმისათვის რომ ამ კორპორაციაში გაერთიანებული იყვნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც იგი დიდად აფასებდა. „დურუჯი" ცდილობდა თეატრში თავისი ჰეგემონია განეხორციელებინა და თეატრის ხელმძღვანელობისათვის საკუთარი ბუნდოვანი „პრინციპები" მოეხვია თავზე. ორმართველობა თეატრისათვის დამღუპველი იყო. ეს მალე ყველასათვის ნათელი გახდა და ორი წლისთავზე კორპორაცია დაიშალა.

ცალკეული უმნიშვნელო ხარვეზები, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს წიგნში, ჩრდილს ვერ აყენებენ ამ შესანიშნავ ნაშრომს. იგი დაწერილია ფაქტების ცოდნითა და საქმის უსაზღვრო სიყვარულით. „დღეები ახლო წარსულისა" შეიცავს ძვირფას მასალასა და დაკვირვებებს ჩვენი თეატრის ისტორიისათვის. დ. ანთაძის ეს ნაშრომი განსაკუთრებით ძვირფასია ახალგაზრდობისათვის, რომელსაც არ უნახავს და არ განუცდია ქართული საბჭოთა თეატრის დაბადებისა და დავაჟკაცების მღელვარება.

დოდო ანთაძის წიგნის ღირსებას კიდევ უფრო ზრდის ცოცხალი თხრობა და მიმზიდველი ენა. იგი მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს.

# მილიონერი მათხოვრის როლში



კანადაში, ქ. ტორონტოს ქუჩებში მათხოვრის დანახვა არავის გაუკვირდება. მაგრამ ეს ერთი ახლად მოვლენილი მათხოვარი გამოირჩეოდა იმით, რომ მეტად საცოდავად იხვეწებოდა, თავს აბეზრებდა გამვლელებს და ცხარე ცრემლით ევედრებოდა მიეცათ თითო-ოროლა გროში.

მაგრამ ამაო იყო მათხოვრის ხვეწნა; ასმა კაცმა ისე ჩაუარა გვერდით, რომ ზედაც არ შეხედეს. მაგრამ აგერ გამოიარა პორტის მუშა-მტვირთავმა, რომელმაც ექვსი თვის უმუშევრობისა და ულუკმაპუროდ წანწალის შემდეგ, სწორედ იმ დღეებში ძლივძლივობით იშოვა სამუშაო. მტვირთავს შეეცოდა ჩამოფლეთილი მათხოვარი და გაცრეცილი შავი ფული ჩაუდო ხელში. უცებ უცნაური რამ მოხდა: მათხოვარი წამოდგა, გააჩერა მუშა და ხელში ასდოლარიანი შეაჩეჩა. ისევ დაჯდა მათხოვარი თავის ადგილზე, ამის შემდეგ კიდევ ექვსმა გამვლელმა გაიღო მოწყალება და მათაც ჯილდოდ ხუთ-ხუთი დოლარი მიიღეს.

ამ ამბავმა ყურადღება მიიქცია და შეიქნა ქუჩაზე ხალხის ჩოჩქოლი. მალე პოლიციელიც გამოჩნდა და უცნაური მათხოვარი საპოლიციო უბანში წაიყვანა. როცა იქ ვინაობა გამოჰკითხეს და მათხოვარმა თავისი გვარი დაასახელა — პოლიციის უფროსი შეშფოთებული წამოხტა და ბოდიშის მოხდა დაიწყო — მის წინაშე იდგა ცნობილი ტორონტოელი მილიონერი ლესტმანი, რომელსაც ონტარიოს პროვინციაში 28 მაღაზია აქვს გახსნილი.

ეს იყო მილიონერის მორიგი ოინი თუ თავის გართობა. მან გადაწყვიტა გაეგო, თუ რას განიცდის მათხოვარი მოწყალების თხოვნის დროს და როგორ ხვდება ამ თხოვნას გამვლელი. ამიტომ გადაიცვა ძველმანები და დაჯდა ქუჩაში. მილიონერის ეს ოინბაზობა კარგა ხანს იყო კანადის პრესის სენსაციის მასალად.



რიყის მიდამოები. პროექტის ესკიზი.

ცნობილი ქართველი არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი თბილისის მრავალი ნაგებობის პროექტის ავტორია. მის ნამუშევართა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ პროექტი 220-ბინიანი სახლისა სანაპიროზე, პროექტები ამავე შენობის პირველ სართულზე მოთავსებული კინოთეატრ „ნაკადულისა“ და ქორწინების სახლისა, რომელიც სულ მალე გაიხსნება. მასვე ეკუთვნის ბარათაშვილის სახელობის ხიდის, რიყის მიდამოების გაშენების პროექტები და მრავალი სხვა.

შოთა ყავლაშვილი თოთხმეტი წელია მუშაობს ამ სარბიელზე. თავდაპირველად იგი რიგითი არქიტექტორი იყო, ამჟამად კი ხელმძღვანელობს თბილისის არქიტექტურული დაგეგმარების სახელოსნოს. აქ ადგენენ და აზუსტებენ თბილისის დაგეგმარების გენერალურ გეგმას, ცალკეულ კვანძების, მაგისტრალების, რაიონების, ქუჩების, ცალკეული დიდი ნაგებობების პროექტებს.

ჟურნალის ამ ნომერში ვაქვეყნებთ შ. ყავლაშვილის ნამუშევრების რეპროდუქციებს.

ორწინების სახლის ინტერიერი.





ბარათაშვილის სახელობის ხიდი თბილისში.

საცხოვრებელი კვარტალის მაკეტი.



# შ. ყავლაშვილი

ქორწინების სახლი. ფრაგმენტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელოდა. დარბაზში ისეთი ჭედვა იყო, გოგოლამ სანიავოდ გაღებულ ფანჯარასთან თავისუფალი სკამი ვერ იპოვნა. კედელზე მიდგმულ სკამფიცარზე ჩამოჯდა, სახლიდან წამოღებული წიგნი გადაშალა და თვალები უგულისყუროდ სტრიქონებს მიადევნა.

გუშინ ხმა გავარდა, კრებას ჩოხელიც დაესწრებაო, ხალხი სეტყვასავით მოაწყდა კულტურის სახლს. შირაქის ოთხივე ემტეესის ტრაქტორისტები დარბაზში გუნდ-გუნდად შემოდიოდნენ და ყველანი წინა რიგებს ეტანებოდნენ. იყო ერთი ყაყანი და სკამების ხრიგინი.

ამჯერად პატარა პელოც კი არ გამოაკლდა ამ დიდ საზოგადოებას. ძალიან წვრილი და ძალიან მოუსვენარი თვალები ჰქონდა დურგლის მეუღლეს. ამ მელაძუა თვალებს წამითაც ვერაფერს მიაკერებდა. ისე გაფაციცებული იცქირებოდა, თითქოს ეშინოდა, ამ ქვეყანაზე დაუნახავი არაფერი დამრჩესო.

პატარა პელოს რაღაც უცნაური სენი სჭირდა — ყოველ ორსულობაზე მუცელი წაუხდებოდა. გამოკეთდებოდა თუ არა, ძუძუდამწვარი დედაკაცი ორთვალას შეაბამდა და ალავერდის ტაძრისაკენ გაუტევდა — რომელიმე მეზობელი ხატზე უნდა გადაეცა; „თვალი მკრა და მუცელი მომწყვიტაო“.

— გამარჯობა, პელო!

გოგოლამ ღიმილი ვერ შეიკავა და დურგლის მეუღლემ მაშინვე ამოიკითხა, რაც იმ ღიმილში ფარულად ეწერა.

თვალები უფრო დაუპატარავდა.

— რა გიხარია, გენაცვალე! შენს სანახავად კი არ მოვსულვარ! — მკვახედ მიუგო და გოგოლას მედიდურად ზურგი შეაქცია.

უგრეხელიძის ქალმა თავი ჩაღუნა და ჩუმად მიიხედ-მოიხედა. „მადლობა ღმერთს, ამ ჭედვაში კაცმა ვერ დაინახა, როგორ შემატეხა პირში სალამი უზრდელმა დედაკაცმა!“

ერთბაშად ხალხის ქოთქოთი მისწყდა— დარბაზში სიმონ ჩოხელი შემოვიდა, კარებთან მიჭუჭკულ გლეხებს ჩუმად მიესალმა და პირდაპირ სცენისაკენ გაემართა. სანამ იქამდე მიაღწევდა, ქალებმა რამდენჯერმე შეაჩერეს და სიტყვა გაუბეს. ჩოხელს ორი კაცი ახლდა. კომკავშირის მდივანი, — გამხდარი, სუსტი აგებულების ყმაწვილი ირაკლი არაბული და შირაქის უძველესი ემტეესის „წითელი ვარსკვლავის“ დირექტორი ტარიელ მეტრეველი.

წიფლისწყაროში იგი ყველაზე მაღალი, ტანშედგმული კაცი იყო და სწორედ ამიტომ ემდუროდა ბედს ტარიელ მეტრეველი. ნაღვლიანად გაიხუმრებდა ხოლმე, ლი კი ვერ წამოიღო, რაღაც უცნაურმა მღელვარებამ სულთაგან დასცალა... თანაც ისეთი გრძნობა მოერია, თითქოს არჩილმაც იცოდა მისი წუხანდელი სიზმარი თავიდან ბოლომდე.

თავი დახარა, თვალწინ არეულ სტრიქონებს დააცქერდა... უეცრად ის სტრიქონები ერთმანეთში ჩახლართულ ჭიებივით დაიკლაკნენ, გასივდნენ და... გოგოლას თავბრუ დაეხვა, კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

ზარის ხმამ გამოაფხიზლა. თავი ასწია. ძალიან არ უნდოდა კარისაკენ გაეხედა, თვალი მაინც იქითკენ გაექცა. არჩილი ხალხში გზას მიიკვლევდა. ნაცნობ-უცნობები წამდაუწუმ ესალმებოდნენ სახელმწიფო ინსპექტორს და ისიც, როგორც სჩვევოდა, საპასუხო სალამს რიხიანად არიგებდა მარცხნივ და მარჯვნივ.

— არჩილ, ჩვენთან! — დაუძახა დუბოვმა და ხელი დაუქნია.

არჩილმა მოიხედა. სწორედ მაშინ მოატანა თვალი კედელთან მიყუჟულ გოგოლას. მობრუნდა, სკამებს შუა ძლივს გაატანა და უგრეხელიძის ქალთან მივიდა.

— გამარჯობა!

ხარბად შემოევლო გოგოლას მისი ანთებული თვალები, სწორედ ისევე, როგორც წუხელ, სიზმარში... გოგოლამ თვალი ვერ გაუმართა ყანჩაშვილს, მხოლოდ თავი და-



**კონსტანტინე ლორთქიფანიძე**

მხატვარი დინარა ნოდია

მისი ქმარი ნასყიდა გოჩიტაშვილი კარგი დურგალი იყო. ხელებიდან ცეცხლი გასდიოდა, საქმეზე რომ იდგა, მაგრამ რად გინდა, კოლექტივში სახბორეს კარს ვერ შეაკვრევინებდი, — წელიწადში თორმეტი თვე გარე სამუშაოზე დაწანწალებდა.

პატარა პელო ხშირად იტყოდა, შრომადღეებზე მოსაცდენი ქმარი სადა მყავსო.

ალიკუდა ქალი გაზაფხულზე შეატყობდა თუ არა, მოსავალს ცუდი პირი უჩანსო, ნასყიდას საგზალს გაუწყობდა და სახლიდან გააგდებდა. დურგალი კერძოდ მუშაობდა თელავისა და გურჯაანის შინამრეწველებთან. თვითონ პატარა პელო კი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ საკარმიდამო ნაკვეთი შეენარჩუნებინა. გაზაფხულზე „ბიძაშვილ-მამიდაშვილს“ დაიქირავებდა და კოლექტივში თავის მაგივრად ამუშავებდა, ხან კიდევ წიფლისწყაროდან ავადმყოფობის მოწმობას ჩამოიტანდა.

გოგოლას ჩუმად გაეღიმა, პატარა პელო რომ დაინახა. უხდებოდა თუ არ უხდებოდა, ჩაცმა-დახურვა ახალიერზე უყვარდა დურგლის მეუღლეს. დღესაც ტანზე ვიწროდ მოყენებული კაბა ჩაეცვა და იმ სიმაღლე ქუსლებზე შემდგარიყო, სიარულის დროს წელში ორად იკეცებოდა: ამ ვიწრო ტანსაცმელში მეტისმეტად უარშიოდ გამოიყურებოდა ისედაც ფარგასავით ხმელი და მკერდჩარეცხილი ქალი.

* გაგრძელება. იხ. ჟურნ. „დროშა“ № 4, 5.

ჩემი სიმაღლის კაცს ცხოვრება გამწარებული აქვსო.

„ცეკვა მინდა — ვერ მიცეკვია, მაშინვე იტყვიან სილოსის კოშკმა კუნტრუში დაიწყოო!

დათრობა მინდა — ვერ დავმთვრალვარ! მთელი ქვეყანა შეიყრება, ჩემოდენა კაცმა ქუჩაში ბარბაცი რომ დაიწყოსო.

ქალმა პაემანი რომ დამინიშნოს, ვერა და ვერ წავალ. ყველა ღობეზე მაღალი ვარ, ვერსად დავიმალებიო“.

უეცრად გოგოლამ არჩილ ყანჩაშვილი დაინახა. იგი კარებთან იდგა და ზაქარია ნადიბაიძეს ელაპარაკებოდა. აქედან კარგად მოსჩანდა მისი თეთრი კულული და კრივში ძვალგატეხილი, ცოტა გაბრტყელებული ცხვირი. ყანჩაშვილს ჩალისფერი დარაიის კოსტუმი ეცვა, გაქათქათებული და პირწმინდად დაუთოვებული.

მისი დანახვა და წუხანდელი სიზმრის გახსენება ერთი იყო. გოგოლამ სული ვერ მოითქვა, ის ავი ზმანება თვალწინ ისე ცხადად დაუდგა. ტანში უსიამოვნო ჟრუოლამ დაურბინა. ზიზღისაგან ტუჩები მოებრიცა. მაინც არ დაინდო მეხსიერებამ უგრეხელიძის ქალი. გაახსენა, შეუბრალებლად გაახსენა, წუხელ მოძალადეს წინააღმდეგობა რომ არ გაუწია...

„ნეტა არ მოვსულიყავ! წავალ!“ — გაიფიქრა დაზაფრულმა ქალმა. სკამიდან წეუქნია და საცოდავად მოიკუნტა. საიდანღაც შიგნიდან წამოსული მხურვალება ლოყებსა და საფეთქლებზე შემოენთო. სტრიქონები ისევ დაიკლაკნენ, დასივდნენ..

ქალი დაიბნა, რატომღაც წამოდგა და მაშინვე მიხვდა, არ უნდა ამდგარიყო.

„ჩემი სიკვდილი! ეს რა მემართება!“

ისევ დაჯდა, მუხლებზე კაბის კალთა კინაღამ გადაუსკდა, ქვემოთ ისე ჩასწია და ჩაიხვია.

მხარმარცხნივ გოგოლას დისწული უჯდა, პატარა არველოდი. არჩილმა ყმაწვილს მოურიდებლად ზურგზე ხელი წაჰკრა და სკამიდან წამოაგდო. ეწყინა გოგოლას... ყანჩაშვილი გვერდზე ისე უბოდიშოდ მოუჯდა, როგორც სოფლის დარდიმანდი ბიჭები თავიანთ გოგოებს მოუსხდებიან ხოლმე. დისწულს გადახედა. პატარა ბიჭი კედელთან ატუზულიყო და ისე დაბღვერილი იცქირებოდა, გოგოლას გაეღიმა.

„ერთი მტერი კიდევ მოგემატა, ბატონო არჩილ!“ — გაიფიქრა მან.

— თქვენ რამ მოგიყვანათ ამ სიცხეში! — ჰკითხა კაცმა.

გოგოლას თავ-კისერზე შეეფრქვია არჩილის ცხელი სუნთქვა და მზით გაჯერებული დარაიის სურნელება.

არეულად მიუგო:

— მე... ნინია ჩემი დისწულია.

— ჰო-ო! — ყრუდ ჩაიდუდუნა ყანჩა-

შვილმა, — რა წიგნია? — პასუხს აღარ მოუცადა, ქალის კალთიდან წიგნი მოურიდებლად აიღო და გადაფურცლა.

— ქალბატონი ბოვარი. მოგწონთ?

— დღეს გამოვიტანე სამკითხველოდან. — იცრუა გოგოლამ. არ უნდოდა ამ უდიერ კაცთან საუბრის გაგრძელება, ხალხის ყურადღებას მიიქცევს, თორემ ახლავე სხვაგან გადაჯდება.

— წაიკითხეთ და მითხარით, ამართლებთ თუ არა ქალბატონ ბოვარის?

— თქვენ რად გაინტერესებთ ჩემი აზრი?

— ლამაზი ქალის აზრი სიყვარულზე მუდამ საინტერესოა! — წასჩურჩულა არჩილმა.

გოგოლამ ხმა არ გასცა.

— მეტყვით?

— არ ვიცი... ასე მალე ვერ წავიკითხავ. არა მცალია.

გოგოლას თავბრუ ეხვეოდა. ყანჩაშვილის ჩურჩული, მისი თილისმით სავსე თვალები წუხანდელ სიზმარს ყოვლად უსირცხვილოდ აცოცხლებდა.

ზარმა გაიწკრიალა. არჩილი წამოდგა.

— მგონი იწყებენ. აბა, უჩემოდ არ მოიწყინოთ! — გამოთხოვების ნიშნად გოგოლას ხელზე ხელი მოუჭირა და წავიდა.

მზით გაჯერებული დარაიის სუნი დიდხანს არ მოსცილებია უგრეხელიძის ქალს.

ბევრი მწარე სიტყვა გაიგონეს იმ საღამოს გოგოლას დისწულს ნინია მოზაიძეს. გაჰკიცხეს, ხალხში გააწითლეს და შეიძლება დღევანდელი სჯა-ბაასი ამგვარად დამთავრებულიყო, რომ ანაზდად ტარიელ მეტრეველს სიტყვა არ მოეთხოვა.

წიფლისწყაროში ტარიელ მეტრეველმა დიდი მჭევრმეტყველი კაცის სახელი დაიგდო. ქორწილი იყო თუ ქელეხი, უბრალო თათბირი თუ უცხო სტუმრის პატივსაცემად გამართული ნადიმი, პირველი სიტყვა ყველგან და ყოველთვის მეტრეველს უნდა წარმოეთქვა.

მეტრეველმა ზეპირად იცოდა რამდენიმე აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან“, იცოდა აგრეთვე ათიოდე კარგი ქართული ანდაზა. ამ ანდაზებს ტარიელი ძველი ქალამანივით ყველა ფეხს მოარგებდა ხოლმე.

იგი ცოტა მსახიობიც იყო. ლაპარაკის დროს ვითომ უეცრად გული მოუვიდაო, შუბლზე ჩამოშლილ ქოჩორს ხელს აკრავდა და თავმომწონედ შესძახებდა:



— არა თუ?!

მეტსახელების მოყვარულმა ქიზიყელებმა არათუ შეარქვეს სახელგანთქმულ ოქროპირს.

ჩოხელს დღემდე ვერ გაეგო, საიდან გაჩნდა ემტეესში ასეთი დირექტორი. ტარიელი არც ინჟინერი იყო და არც აგრონომი. მაგრამ ეტყობა თავის დროზე ამას ალარავინ მიჰხედა, უთუოდ იფიქრეს — კაცი მთელი სიცოცხლე მუდამ რაღაცას ხელმძღვანელობდა, ხან სასაკლაოს გამგე იყო, ხან აგურხანას უძღვებოდა, ერთხელ სადღაც მილიციის უფროსადაც მუშაობდა; ხელმძღვანელი მუშაკების სიიდან ხომ ვერ ამოვშლითო... ამიტომ დიდი ადგილი სხვაგან რომ ველარ უშოვეს, შირაქის ემტეესი ჩააბარეს.

— ვაი ჩვენი ბრალი! — ჩაილაპარაკა გოგოლამ, როდესაც ტრიბუნაზე მეტრეველი დაინახა.

ტარიელს მაღალ ფარდებში უყვარდა ლაპარაკი და ზოგიერთ სიტყვას ისე უნაიროდ წარმოსთქვამდა ხოლმე, გოგოლას ტანში გააზრიალებდა და იმ სიტყვას სამუდამოდ შეაჯავრებდა.[1] მიუხედავად ამისა, ბევრს მოსწონდა მეტრეველის ოქროპირობა, მეტადრე მოსწავლე ახალგაზრდობის იმ ნაწილს, ქიზიყში ტაშფანდურის ხალხს რომ ეძახიან. მათ ხიბლავდა მეტრეველის სიტყვის გარეგნული ბრჭყვიალი, დარბაზში მის სახელს რომ გაიგონებდნენ, ტაშისცემით ხელებს დაიმტვრევდნენ.

შეიძლება ცოტა საწამლავიც ერია ამ გადაჭარბებულ ტაშისცემაში, მაგრამ მეტრეველის თვალში ყველაფერი რიგზე იყო და კეისარს კეისრისას უზღავდნენ.

— მეგობრებო! — ტარიელმა ხელები ტრიბუნის ძგიდეებზე შემოაწყო, თავი გვერდზე გადახარა, თითქოს ყურს უგდებდა საკუთარი ხმის ჟღერას. — რა ჩაიდინა ნინია მოზაიძემ?! მშობლიური ტრაქტორი მიატოვა და საქნავთის საბარგო მანქანაზე დაბრძანდა! რატომ, ვეკითხები ამ პატიოსან საზოგადოებას! ნავთის წარმოებამ მიიზიდა მისი გული?! არა მეგობრებო, ასეთმა ადამიანებმა მხოლოდ ერთი ანგარიში იციან — რაც შეიძლება მსუქანი ნაჭერი ჩამოათალონ ცხოვრებას... და ეს ხდება იმ დროს,

როდესაც წყნარი ოკეანის ნაპირებიდან
კასპიის ზღვამდე
ჩვენი მშობლიური სამშობლო
შრომითი აღმავლობის ფერხულშია
ჩაბმული
და ამ ფერხულს ვერავინ შეაჩერებს, სანამ ჭალარა
კავკასიონი, სადაც, სხვათა შორის, ჩვენი დიდი ამირანი
იყო მიჯაჭვული...
არა თუ!

მეტრეველმა პირის ქარი გაშალა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელი დააყენა.

არსენა დეისაძე მოხიბლული მისჩერებოდა წიფლისწყაროელ ოქროპირს. ერთი-ორჯერ მეტრეველმა პრეზიდიუმის მაგიდისკენ მოიხედა. არსენამ ხან ღიმილი შეაგება, ხან კიდევ თავი დაუქნია გასამხნევებლად, მერე ველარ მოითმინა და ჩოხელს წასჩურჩულა:

— სიმართლეს ლაპარაკობს!

— არც ასეთი სიმართლე მინდა და არც ასეთი გატყლარჭული ლაპარაკი! — უკმეხად მიუგო ჩოხელმა.

[1] მაგალითად, მზიური, მშობლიური... შრომითი აღმავლობა.

არსენა სახტად დარჩა...

— მე აქ ხმას არ ამოვიღებდი, — განაგრძო მეტრეველმა — რომ იმ კვირას ნინია მოზაიძე წნორში არ მენახა! მანქანა მყუდროში გაეჩერებინა, თვითონ კი სადგურზე დაფუსფუსებდა, წიფლისაკენ მიმავალ მგზავრებს ეძებდა. კომკავშირელი მოზაიძე (კომკავშირელი, ბრჭყალებში! —შესძახა ტარიელმა)—საშოვარზე დადის, ჩვენ კი ხელები აღარ გვყოფნის ყანის გასაჭრელად!

— ხომ გითხარი, ბატონო ტარიელ, რატომ ვიყავი სადგურზე. — დაუძახა ნინიამ.

იგი სადღაც სცენის ახლოს იჯდა, გოგოლა დისწულს ვერ ხედავდა, მხოლოდ დროდადრო მისი წამოძახილი ესმოდა. ხმაზე ეტყობოდა, ნინია უზომოდ ღელავდა. გოგოლა სწუხდა, ვაითუ ჯეელ კაცს ისეთი რამ წამოსცდეს, ხალხს არ მოეწონოს და კალაპოტში ჩამდგარი ნიაღვარი ისევ ნაპირიდან გადმოიქცესო...

„მარტო არ უნდა დამეტოვებინა, მაგრამ რა მექნა! ახლო არ გამიკარა! პატარა აღარ ვარ, ჩემი საქმისა მე ვიციო. მაშინ ის კაციც გვერდზე ვერ მომიჯდებოდა!“ — გაიფიქრა გოგოლამ.

ის კაცი გულიდან ვერ ამოეღო ახალგაზრდა ქალს.

— რატომ იყავი! — კითხვა შეუბრუნა მეტრეველმა.

— თბილისიდან ბიძას ველოდი. ბრიგადირს ვთხოვე და გამიშვა.

— გუშინწინაც ბიძას ელოდი?! — გაისმა დარბაზში მჭექარე ხმა.

ნინია წამოდგა. ეტყობოდა, პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ ხალხს რომ გადახედა, მისი თვალები იმდენ დამცინავ თვალს შეეფეთა, ყმაწვილს გული შეუკრთა, ხმა ვერ ამოიღო. როგორც ჩუმად წამოდგა, ისევე ჩუმად დაეშვა სკამზე.

გოგოლას შვება მიეცა: არეულ-დარეულ პასუხს ისევ გაჩუმება სჯობდა.

— რატომ გაჩუმდი, ნინიავ, შენ თუ მართალი კაცი ხარ! — მეტრეველმა ხმა შეიმაღლა და პრეზიდიუმის მაგიდისაკენ მიიხედა: — მოზაიძე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რომ სხვებმა ჭკუა ისწავლონ და გარე-გარე სიარულს თავი მიანებონ! ჩვენ კი, მეგობრებო, ლმობიერად ვეპყრობით

იმ ადამიანებს,
რომელთა შეგნებაში სდუღს და გადძოდულს
დამპალი კაპიტალიზმის გადმონაშთები! არა თუ?!

მთელი ნახევარი საათი ტარიელ მეტრეველი ამოლებული ხმალივით იდგა ტრიბუნაზე და ნინია მოზაიძის კისერს დასტრიალებდა.

— შენ რას მოითხოვ, ამხანაგო ტარიელ, — დაუძახა დეისაძემ.

„უსინდისო! — გაიფიქრა გოგოლამ: — თავის სათქმელს ავყია მეტრეველს ათქმე-

ვინებს, რომ ხალხში ავკაცის სახელი არ დაიგდოს!“

— ჩამოერთვას საკარმიდამო ნაკვეთი! — უყოყმანოდ მიუგო მეტრეველმა.

გოგოლას ელდა ეცა. ნინიას დედას საკარმიდამო რომ ჩამოართვან, ქვრივმა ქალმა სამი პატარა შვილი რითღა შეინახოს! იმ ნაკვეთში ნინიას დედას საადრეო კიტრი და პომიდორი მოჰყავს. ხენდროც ისეთი მოსდის, პირდაპირ გამოფენაზე შეგიძლია წაიღო. სანამ კიტრი და პომიდორი მამასისხლად ფასობს, ნინიას პატარა ძმები ბალწისაკენ ტყუილად კისერს ვერ მიაბრუნებენ, ხენდროთი პირს ვერ გაისველებენ. საადრეო ბოსტნეული რომ შემოვა, ნინიას დედა ანუკა ნადიბაიძეს ორთვალას გამოართმევს და ყველაფერს უკლებლად წნორში ჩაიტანს. თბილისიდან ჩამოსული ქორვაჭრები წამში დაუცლიან ხელს. მხოლოდ ივლისის დამლევს, როდესაც ბაზარზე კიტრი კიტრის ფასად იყიდება, პატარებს ბალჩაში მაშინღა შეუშვებენ.

ნინიას დედა სოფელში თავჩაღუნული დადის. რცხვენია, რომ გულში ეშმაკი შეუშვა და ვაჭრობა დაიწყო. ნინიას ეხვეწება, ხომ ხედავ, შენი მონაგარი არ გვყოფნის! სანამ ფეხზე ვარ, ერთი შენი ცოლი მაღირსე. სხვა თუ არაფერი, შინ ბავშვებს მაინც მომწყემსავს, მე კი გოგოლასთან ფერმაში ვიმუშავებო...

— სამი ღლაპის ძიძად მე არავინ წამომყვება, დედაჩემო! სხვა გზა უნდა ვეძებოთო, — მიუგო ნინიამ.

კმაყოფილი დეისაძე ზაქარია ნადიბაიძეს მიუბრუნდა.

— შენ რას იტყვი, ზაქრო!

ზაქარიამ ამოიოხრა და ჩოხელს გადახედა. ეტყობა, მის პირისახეზე სათავისო ვერაფერი ამოიკითხა და ისევ ამოიოხრა. მერე წამოდგა და სთქვა:

— კოლმეურნეობა ჩვენი ოჯახია. ვისაც ეს ოჯახი არ უყვარს, რა თქმა უნდა, იმას თავზე ხელს ვერც მე გადავუსვამ, მაგრამ...

— რა მაგრამ?! — დასჭექა იმავე ხმამ, წელან ნინია მოზაიძეს სიტყვა რომ გაუწყვიტა. სცენაზე ასასვლელ კიბეს კოლია დუბოვი მოადგა, მაღლა არ ავიდა, იქვე დაეყუდა და ხმამაღლა სთქვა:

— ტრაქტორი მინდორში უპატრონოდ დააგდო... მეგუთნე მაინც გაეფრთხილებიხა, მივდივარო! საღამოს ამბავი მომიტანეს, ნინია მოზაიძე მირზაანში ვნახეთო! მე მგონია, ჩემი ტრაქტორისტი ტარიბანაზე ყამირს აბრუნებს, ის კი თურმე ამ დროს საქნავთის კანტორაში ზის და ანკეტას ავსებს! ამას ვერავითარი მაგრამ ვერ უშველის, ბატონო ზაქარია!



ძალიან კეთილი კაცი იყო კოლია დუბოვი. უბრალო რამეზე კრიჭაში არავის ჩაუდგებოდა. ამიტომ ხალხი დაენდო ბრიგადირის სიტყვას და თუ აქამდე ზოგიერთები ცოტა ზერელედ უცქერდნენ მოზაიძის დანაშაულს, ახლა ვითარება ერთბაშად შეიცვალა, შეხუთული ჰაერი წყრომით სავსე ხმებმა შეარხია:

— სირცხვილი, ნინიავ!

— კომკავშირელი მაინც არ იყოს!

— ჩამოერთვას საკარმიდამო!

„კარგია, რომ ხალხი დანაშაულს არ გაუჩუმდა“. — ჩაიწერა უბის წიგნაკში სიმონ ჩოხელმა..

გოგოლა გულმოკლული უსმენდა ამ წამოძახილებს. რასაკვირველია, ნინიამ ძალიან დააშავა, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება სხვანაირად დასაჯონ. რაღა მაინცადამაინც საკარმიდამო ნაკვეთს ჩააცივდნენ!

უეცრად ტრიბუნაზე არჩილ ყანჩაშვილი აღიმართა, გოგოლას არ გაუგონია, თავმჯდომარემ როდის გამოაცხადა მისი სახელი და გვარი. არც ის დაუნახავს, სანამ არჩილი ტრიბუნასთან მივიდოდა, მისმა თვალებმა როგორ მოძებნეს ის ადგილი, სადაც უგრეხელიძის ქალი იჯდა.

მზე ჩადიოდა, ფანჯარაში შემოსული დაისის ზოლი ლამაზად ასხივებდა არჩილის შუბლზე ჩამოშლილ თეთრ კულულს.

— ერთ ქვას ესეც მიაყოლებს! — ნაღვლიანად გაიფიქრა გოგოლამ.

მკვახედ დაიწყო სიტყვა არჩილ ყანჩაშვილმა:

—არა, მეგობრებო, ტარიელ მეტრეველის წამალი ჩვენ არ გამოგვადგება. მგელს რა ენაღვლება, ცხვარი თუ ძვირად ღირსო!

— ზოგჯერ სიტყვას დაუფიქრდი, ამხანაგო არჩილ! — ნელი ხმით დაიძახა მეტრეველმა.

არჩილი მაშინვე მისკენ მიტრიალდა.

— რაო? ვერ გავიგონე!

ტარიელმა პირში წყალი ჩაიგუბა. მისი წადილიც ეს იყო, არჩილ ყანჩაშვილს მისი წამოძახილი არ გაეგონა. რა შავქვად უნდოდა სახელმწიფო ინსპექტორთან წალაპარაკება! მაგრამ არც ისვარგოდა, საწყენი სიტყვა მთლად უხმოდ გადაეყლაპა. ამიტომ გამოცდილმა ოქროპირმა ხმა ისე მოზომა, ის წამოძახილი მხოლოდ ჩოხელსა და პრეზიდიუმის წევრებს გააგონა, ვითომ და თავისი კაცური ღირსება დაიცვა.

გოგოლამ ლოყაზე ხელი მიიდო; პირისახეზე ალმური ასდიოდა. „ნუთუ ის კაცი ნინიას გამოესარჩლება! ნუთუ გაბედავს და ყოვლისშემძლე მეტრეველს წინ გადაუდგება...

მტკიცედ, შეუვალად განაგრძო ყანჩაშვილმა:

— შარშან საკარმიდამო ნაკვეთი ჯერ ამაღლებას ბიჭს ჩამოაჭრეს, მერე ლეკაშვილს მიადგნენ და ნახევარიც აღარ დაუტოვეს, აქა-იქა ხალხი ჭკუას ისწავლისო, როგორც აქ პატივცემულმა მეტრეველმა გვითხრა! მერედა ისწავლეს?! თუ პირიქით მოხდა! ოთხივე ემტეესში მუშახელის მისვლა-მოსვლა უფრო გახშირდა! გაიხედავ, დღეს კაცი აქ არის და მინდორს ხნავს, ხვალ კი სადღაც საწყობში გუდურებს დაათრევს! ამხანაგმა მეტრეველმა უნდა გაიგოს, რომ ამ სახადს შიში და ყვირილი ვერ მოერევა! ამხანაგებმა საქმეს ძირში უნდა ჩახედონ, რა მიზეზია, რომ ჩვენი ტრაქტორისტები მაქოსავით გარბიგამორბიან ერთი ადგილიდან მეორეზე?!

— კარგი დამცველი იპოვნეს და რატომ არ ირბენენ! — არ დაუგვიანა პასუხი ტარიელ მეტრეველმა.

ეს ვეება კაცი აღელვებისაგან კანში ვეღარ დატეულა. ცმუკავს, ხან სკამზე წამოიწევა და სცენის წინ ჩარიგებულ ტრაქტორისტებს გადახედავს, ხან კიდევ ოფლისაგან სველ ცხვირსახოცს ჰაერში შეაფრიალებს და ისევ თავ-კისერზე ჩამოისვამს.

მკაფიოდ ისმის მისი სკამის გაბმული ჭრიალი. სწორედ ამ ჭრიალმა უთხრა ყანჩაშვილს, აღელვებულ კაცს სიტყვას ნუ შეუბრუნებო.

არ შეუბრუნა. მშვიდად განაგრძო ლაპარაკი...

ტარიელი კი მოსტყუვდა. რახან მოკამათე გაუჩუმდა, მან ეს ამოცანა უბრალოდ გამოიყვანა, პირში ალის ქარი ჩავუგდე და უკან დავახევინეო. და როგორც ჭკუამოკლე კაცს სჩვევია; ტარიელი ერთბაშად გათამამდა, გულისყური დაჰკარგა და არჩილ ყანჩაშვილს ისეთი რამ წამოსძახა, ხალხი გააცინა.

—შე დალოცვილო, ამდენი თუ იცოდი, მამაშენს ჭკუა ვერ ასწავლე?! ეგ რომელი თავადიშვილი მყავდა, სახელმწიფო მიწები ვილაც-ვილაცეებს რომ დაურიგა!

„თუ გზიდან გადაუხვია და თავის მართლება დაიწყო, ბრძოლას წააგებს!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და არჩილ ყანჩაშვილს შეხედა.

არჩილის პირისახეზე ერთი ხაზი არ შერხეულა. მშვიდად მიუბრუნდა სახეგაბადრულ მეტრეველს და ხმამაღლა უთხრა:

— რა მოგივიდა, ტარიელ, წუხელ ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია!

ხატის ღვინოო! შეიქნა ერთი სიცილი და ჟრიამული. ჩოხელმაც კი ვერ შეიკავა ღიმილი. ფხუკიან მეტრეველს კარგად მოადგა ძველი ხალხური გაქილიკება.

არჩილმა ხალხის გული იმითაც მოიგო, რომ მეტრეველს არ შეეპუა და მუშაობა დაუწუნა. ერთი ამბავი კიდევ მოხდა, რამაც ტრაქტორისტები არჩილისაკენ შემოაბრუნა. როდესაც სახელმწიფო ინსპექტორმა სიტყვა მოითხოვა, ბევრი ფიქრობდა, (და არა მარტო გოგოლა) ახლა იგი მისდგება ნინია მოზაიძეს და გუდად ამოიღებსო.

არა, არჩილ ყანჩაშვილი არ გაჰყვა თათბირის კალაპოტს და წაქცეულს გაბედულად მხარში ამოუდგა. საქციელი მოუწონეს და პასუხად ისეთი წამახალისებელი ჩურჩულ-ბუტბუტი ასტეხეს, რომ ტარიელი უფრო გაიბერა და მისი სკამის კვნესამ ყურთასმენა წაიღო.

ყანჩაშვილმა სთქვა.

— შარშანწინ ჯარიდან რომ დაგვითხოვეს, გზაში ერთი ამხანაგი გადამეკიდა, მალე ჩემი სტანიცა იქნება, გინდა თუ არა, ჩემი სტუმარი უნდა გახდეო.

ასე შორიდან დაიწყო არჩილმა თავისი სათქმელი. მისმა ღუღუნა ხმამ გოგოლას მალე დაავიწყა წელანდელი წყენა. ახლა მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, ნეტა ამ კეთილ კაცს არაფერი შეეშალოს, თორემ მტრისას, თუ ტარიელ მეტრეველი ვინმეს გადაეკიდაო.

სწუხდა და თვითონვე უკვირდა იმ კაცის ავ-კარგი გულთან ასე ახლოს რომ მიჰქონდა.

„ეს იმის ბრალია, ნინიას რომ გამოესარჩლა!“ — გული დაიწყნარა ახალგაზრდა ქალმა.

—ამხანაგს მადლობა გადავუხადე და უარი ვუთხარი, შინ მიმეჩქარება-მეთქი. მაგრამ გაჩერდა თუ არა მატარებელი, მასპინძელმა თვალი ჩაუკრა ჩვენთან ერთად მომავალ კაზაკებს. მტაცეს ხელი და ცივად ჩამომსვეს რომელიღაც ბაქანზე. მთე-

ლი კვირა დავრჩი იმ სოფელში, დიდი პატივი მცეს...

—ზღაპრებისათვის არა გვცალია, ამხანაგო თადია!—დაუძახა ტარიელმა კრების თავმჯდომარეს.

— დაგვაცა, ტარიელ!—მაშინვე შემოსწყრა მეტრეველს მოხუცი ნადიბაიძე.

არჩილმა სთქვა:

— ეს ძველი ამბავი ღლევანდელმა თათბირმა გამახსენა. ჩემი მასპინძლის სოფელში ერთი საქვეყნოდ ცნობილი ემტეესი იყო დაბინავებული, ამხანაგმა მეტრეველმა ალბათ იცის ყუბანის „რთველი"...

— მე ვითომ ვიცი რამე? — შეუღრინა მეტრეველმა.

არჩილმა ჩუმად გაიღიმა და სიტყვა განაგრძო: — ერთ დილას ჩემი მასპინძელი გავიყოლე და სადგურის დასათვალიერებლად წავედი. სამი თუ ოთხი ვეება სახელოსნო ცარიელი დაგვიხვდა, კაცის ბაიბური არსად იყო.

გამიკვირდა.

მინდვრად გახურებული ხვნა-თესვა მიდის, ასი-ორასი მანქანა ერთად მუშაობს... ტრაქტორს სად რა გაუჭირდება, გუთანს სად რა გაუტყდება, — მანქანას სახელდახელოდ როგორღა შეაკეთებენ, როცა სადგურში მორიგე ხელოსნებიც არ არიანმეთქი, ვკითხე დირექტორს.

იცით, რა მითხრა? ჩვენ დიდი ხანია ცალკე ხელოსნები აღარა გვყავსო. აქ ყოველმა კაცმა რამდენიმე ხელობა იცისო. ჩვენი ტრაქტორისტი იმავე დროს კარგი ზეინკალიც არის, კარგი ხარატი, მჭედელი, შემდუღებელი... მანქანებს თვითონვე მართავენ და თვითონვე მკურნალობენო. ახლა თოფი რომ ესროლო, აქედან კაცი ფეხს არ მოიცვლის! ამიტომ ჩვენ პური ბევრად იაფი გვიჯდებაო!

არჩილმა სული მოიბრუნა, გოგოლასკენ მიიხედა...

— ჩვენთან კი რა ხდება, ამხანაგებო! ტრაქტორისტმა მხოლოდ ტრაქტორის მართვა იცის. თავის მანქანას უბრალო საყელურს ვერ გამოუჩარხავს. ხვნა-თესვა რომ მოთავდება, ასეთი ტრაქტორისტი, რა თქმა უნდა, უსაქმოდ რჩება და სამუშაოს სხვაგან ეძებს, თუ სადმე ხელსაყრელი საქმე გამოუჩნდა, უკან აღარ ბრუნდება. მერე ადექი და ეძებე მისი შემცვლელი.

„კარგი ლაპარაკი სცოდნია!" — გაიფიქრა გოგოლამ.

მართლაც, ყანჩაშვილი სიტყვას არ სტკეპნიდა, არც ეძებდა, თითქოს ხალხს დიდი ხნის ნაფიქრსა და ნაგულვებს უამბობდა.

— მე არ ვამართლებ ნინია მოზაიძეს...

— ამართლებ! ცუდ საქმეს აკეთებ! — დაუძახა მეტრეველმა.

— ცუდი საქმე შენ გააკეთე, ამხანაგო ტარიელ! სულ შენი ბრალია, რომ ნინია მოზაიძე სოფლიდან წავიდა.

— რაო! — ერთად წამოიყვირეს მეტრეველმა და მისმა სკამმა.

— მოზაიძე სულ იმას გეხვეწებოდა, დამეხმარე, კურსებზე გამგზავნე, ზეინკლობა მინდა ვისწავლო, რომ მთელი წელიწადი სამუშაო მქონდესო. შენ კი დახმარების მაგივრად მოზაიძეს ერთი ჯაბახანა ტრაქტორი მიუგდე, ნახევარ საათს იმუშავებდა, მერე დადგებოდა,.. დაეხვეოდა სამი-ოთხი ხელოსანი და იყო ერთი ჭაპან-წყვეტა. ეგრე იყო თუ არა, ამხანაგო არაბულო? — მიუბრუნდა არჩილი კომკავშირის რაიკომის მდივანს.

— ეგრე იყო. — მაშინვე დაუდასტურა მან.

— მთელი ეს გაზაფხული ნინია თავჩაღუნული დადიოდა. კაცი არ შეეკითხა, რა მოგივიდაო. განა ნინიას უხარია, რომ დედამისი ბაზრის ვაჭრუკანად გადაიქცა! ხანდახან კაცის გულში თუ არ ჩავიხედეთ, ამხანაგო ტარიელ, ხვალ შეიძლება ამ სოფელში მიწის მუშა აღარ დაგვრჩეს!

— მართალია! — ხმა მიაშველა ჯაო გოჩიტაშვილმა.

— რა არის მართალი, ჯაო! — სწრაფად შეეკითხა მეტრეველი.

როგორც თითქმის ყველა ენაბლუ კაცი, კომბაინერი გოჩიტაშვილი ძალიან წყნარი და მოკრძალებული მოხუცი იყო. კრებაზე ერთ სიტყვას არ იტყოდა, რადგან ენას ძალიან უკიდებდა, რაც არ უნდა ეთქვა, ხალხი მაინც უზაკველად გაიცინებდა.

მეტრეველმაც ამიტომ შეუტია, გოჩიტაშვილს ბლუკუნს დავაწყებინებ და ხალხი გაიცინებსო. სიცილი კი ხალხის წყრომას, რა თქმა უნდა, ცოტათი მაინც გაანელებდა. მაგრამ საოცარი ამბავი მოხდა: გოჩიტაშვილს ერთი სიტყვა არ წაბორძიკებია. რაც უნდოდა, ყველაფერი გულიანად ჩამოკენჭა და ხალხმაც კარგად მოუსმინა. მეტრეველის სკამიც კი გაჩუმდა.

გოჩიტაშვილმა სთქვა:

— წელიწადში სამი თვე ვმუშაობ. სამი თვე. თუ ასე გაგრძელდა, მეც ჩემი გზა უნდა მოვნახო! აი, რა არის მართალი, ამხანაგო.

აღელვებისაგან მეტრეველის სახელი ვერ გაიხსენა და სწრაფად დაჯდა.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**



# ნაპოვნია დაკარგული ეტიუდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1888 წელს თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი ბატალისტი ფრანც რუბო. მას უნდა დაეხატა სურათები ახლად დაარსებული სამხედრო-ისტორიული მუზეუმისათვის. ამ სამუშაოს შესრულებაში რუბოს ეხმარებოდა იმ დროს ჯერ ისევ ახალგაზრდა მხატვარი გიგო გაბაშვილი.

1884 წლის იანვრიდან გ. გაბაშვილი პეტერბურგშია. აქ იგი ემზადება სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად. მან მხოლოდ 1886 წლის თებერვალში შეძლო თავისი ოცნების შესრულება—ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიის თავისუფალ მსმენელად.

გ. გაბაშვილი ამ დროისათვის იმდენად იყო დაუფლებული ხატვის ტექნიკას, რომ აკადემიაში ყოფნის პირველსავე წელს, „ცხენის ეტიუდისათვის" დაჯილდოებულ იქნა ვერცხლის პატარა წამახალისებელი მედლით. ცნობას ამ ფაქტის შესახებ გვაწვდის თვით მხატვრის არქივში შემონახული ოფიციალური საბუთი, გაცემული აკადემიის მიერ.

ამ ცნობას თავიდანვე მიაქციეს ყურადღება მხატვრის ცხოვრებითა და შემოქმედებით დაინტერესებულმა მკვლევარებმა, მაგრამ სამწუხაროდ, ეტიუდის მიკვლევა დღემდე ვერ მოხერხდა. ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულია გიგო გაბაშვილის ალბომი ცხენის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ჩანახატებით. როგორც ჩანს, ახალგაზრდა გაბაშვილს, ეს სავარჯიშოები შეუსრულებია ფანქრით 1884 წლის იანვრიდან სექტემბრამდე, იმ პერიოდში, როცა იგი აკადემიაში შესასვლელად ემზადებოდა; ამას გარდა, საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში მოიპოვება გ. გაბაშვილის მიერ ზეთის ფერებით შესრულებული სხვადასხვა ზომის ცხენის სამი ეტიუდი. მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარი მ. დუდუჩავა თავის მონოგრაფიაში „გიგო გაბაშვილი" მიუთითებს, რომ „შესაძლოა ამ სამი ეტიუდიდან, რომელიმე მათგანი დაჯილდოებულ ეტიუდს წარმოადგენსო".

ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელოვნების მუზეუმში შესაძენად წარმოადგინეს ზეთის ფერებით შესრულებული დიდი ზომის ტილო, რომელიც თაფლისფერ ფონზე მორჩილად მდგომი ცხენის სილუეტს გადმოსცემს. სურათი საგრძნობლად დაზიანებულია, მოხატულობაზე მრავალ ადგილას ნაბზარები გაჩენილა, ხოლო ალაგ-ალაგ, ფერადოვანი შრეც ასცვენია. ზემოთ, ცხენის ზურგის გასწვრივ მოაგურისფერო სალებავით გაკეთებულია ძნელად ამოსაკითხი წარწერა რუსულ ენაზე: „პეტერბურგი. ეტიუდი დაჯილდოებულია წამახალისებელი მედლით. რექტორი შამშინი".

ეჭვი არაა, რომ ჩვენ წინაშეა ცხენის სწორედ ის ეტიუდი, რომელმაც მხატვარს 1886 წლის 5 აპრილს ვერცხლის პატარა წამახალისებელი მედალი მოაპოვებინა. ტილო მხატვრის მიერ შესრულებულია აკადემიის სავალდებულო პროგრამის მიხედვით.

საგულისხმოა, რომ ანალოგიური წასახალისებელი წარწერა აკადემიის რექტორ შამშინს ზუსტად იმავე ხელით გაუკეთებია ცნობილ ქართველ მხატვრის რომანოზ გველესიანის ჩანახატების ალბომშიც, რომელიც ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

გ. გაბაშვილის „ცხენის ეტიუდს", ცხადია, ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ფარდას ხდის დიდი ქართველი მხატვრის ბიოგრაფიის ერთ მომენტს.

**ქეთევან ბაგრატიშვილი**

ხელოვნების მუზეუმის ახალი ქართული და საბჭოთა ხელოვნების განყოფილების გამგე.



## „დაჯექ, დაწერე, დახატე“...

მთელმა ჩვენმა ხალხმა გულთბილად აღნიშნა პაოლო იაშვილის დაბადების სამოცდაათი წლისთავი. მეც მინდა ორიოდე სიტყვით გავიხსენო ეს შესანიშნავი პოეტი, რომელიც ქართველი მხატვრების უახლოესი მეგობარი იყო.

მწერლებისა და მხატვრების მეგობრობას საქართველოში საუკუნეების ისტორია აქვს. ამ ურთიერთ მომიჯნავე პროფესიების ოსტატები მუდამ ახლოს რომ იყვნენ ერთმანეთთან, მუდამ ხელიხელჩაკიდებულნი რომ მუშაობდნენ, ამის დასადასტურებლად საკმარისია გენიალური რუსთაველი გავიხსენოთ; მან ხომ პირდაპირ მიუთითა მხატვარს პოემის რა ადგილას უნდა ჩაერთო მას ტარიელისა და ავთანდილის პორტრეტები; თავი პოემისა „წასვლა ავთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა“ შოთამ ამ სტრიქონებით დაამთავრა:

აქა მხატვარო დახატე
ძმად უმტკიცესად ძმობილნი,
იგი მიჯნურნი მნათობთა,
სხვისა ვერვისგან სწრობილნი.
ორნივე გმირნი, მოყმენი,
მამაცობისა ცნობილნი.

მწერალიცა და მხატვარიც ერთი ოცნების ტყვენი, ერთი ფიქრით გატაცებულნი არიან. ეს ფიქრი და ოცნება მუდამ ხალხსა და სამშობლოს შესტრფის და თავს დასტრიალებს. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა.

პაოლო იაშვილი ამ ძველი ტრადიციის ცოცხალი განსახიერება იყო. ის მუდამ ცდილობდა ერთნაირად გასულიყო ხალხში პოეტის ცოცხალი სიტყვაც და მხატვრის სურათიც; ის თავისი დაუცხრომელი ტემპერამენტის, მომხიბვლელი სიცოცხლისმოყვარეობის, მოსიყვარულე გულის მეოხებით ჰქმნიდა ატმოსფეროს, რომელიც ახალისებდა ყველას, სტიმულს აძლევდა, შთააგონებდა, ახალ საქმეთათვის, წინსვლისათვის აღძრავდა.

პაოლო იაშვილი მთელი გულით, მთელი გატაცებით უმღეროდა განახლებულ საბჭოთა საქართველოს, თავისუფალ შრომას, მოპოვებულს და დამკვიდრებულს მთელი თაობების ბრძოლითა და ტანჯვა-წვალებით. პაოლო იაშვილის ლექსები „ლენინი“, „თივის ურმეული“, „რიონი იცვლის კალაპოტს“ და მრავალი სხვა გამოხატავდნენ ახალი ქვეყნის მშენებლის გულისთქმას. პაოლო მოუწოდებდა ახალი ეპოქის ხელოვანნს:



კაფე „ქიმერიონი“. ნახატი ლ. გუდიაშვილისა.

# ლექსი ნახატივით მღერს

**მოგონება**

**ლადო გუდიაშვილი**

| | |
|---|---|
| დაჯექ, დაწერე, დახატე, | ბუნებამ რომ დაარწიოს |
| რითაც ცხოვრება ივსება, | შენი უბადლო ხელობა |
| მიეც დამშეულ ქაღალდებს | და რომ სიმღერამ გასწიოს |
| საშვილიშვილო თვისება; | დროშების მაგიერობა. |

ასეთი იყო მისი მრწამსი. ის მოითხოვდა, რომ ლექსი დროშასავით მომწოდებელი ყოფილიყო; და ეს ეხებოდა არა მარტო პოეტს, არამედ მთელს ჩვენს ხელოვნებას — ეხებოდა მხატვარს, მუსიკოსს. მსახიობს.

### როგორ მოვხატეთ ქიმერიონის კედლები

1919 წელი იყო. თავის მგზნებარე, შინაგანი ენერგიით სავსე ლექსებს პაოლო იაშვილი ხშირად ქუჩაშიაც კითხულობდა, მაგრამ, ცხადია, მუდამ იმას ნატრობდა ქართველ პოეტებს თავიანთი დარბაზი ჰქონოდათ; მაშინ საქართველოს მწერალთა კავშირსაც არ ჰქონდა თავისი ბინა და პაოლოს ეს ძლიერ აწუხებდა. ბოლოს მოხდა ისე, რომ ჩვენმა პოეტებმა როგორღაც ხელთ იგდეს სარდაფი რუსთაველის თეატრის ქვეშ. აქ გაიხსნა კაფე, რომელსაც სახელად „ქიმერიონი“ უწოდეს. ამიერიდან აქ ეწყობოდა მხატვრულ-ლიტერატურული საღამო-შეხვედრები, მოწყობილი იყო სპეციალური ესტრადა, საიდანაც მწერლები კითხულობდნენ ახალ ლექსებს ან პროზაულ ნაწარმოებებს, აქვე გამოდიოდნენ იმ დროის გამოჩენილი მომღერლები და მოცეკვავეები. საერთოდ ეს კაფე, მეტად თვალწარმტაცი სანახავი იყო. შადრევნებს ირგვლივ, მაგიდებს შორის თავისუფლად დასეირნობდნენ ულამაზესი შველები და ხანდახან სუფრაზე მოტანილ მწვანილსაც წასწვდებოდნენ ხოლმე — ქორფა ბალახი აგონდებოდათ. პაოლო ხომ სახელგანთქმული მონადირე იყო და შველებიც მან ჩამოიყვანა მთებიდან.

კაფესთვის რომ მეტი ეშხი და სილამაზე მიგვეცა, გადავწყვიტეთ მისი კედლები ფრესკული პრინციპით მოგვეხატა. იმ ხანებში თბილისში იმყოფებოდა ცნობილი რუსი მხატვარი სერგეი სუდეიკინი, მან ჯერ რევოლუციამდე დატოვა პეტერბურგი, შემდეგ მსახურობდა არმიაში, ავად გახდა და საქართველოში გამოემგზავრა. იგი დაუახლოვდა ქართველ მწერლებსა და მხატვრებს. ჩვენთან ერთად ატარებდა მთელ დღეებს. ქიმერიონის მოხატვაში იმანაც აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ყველამ გატაცებით დავიწყეთ მუშაობა. სუდეიკინმა მოხატა კაფეს ჩასასვლელი კედელი. მისი თემა იყო — „ქართველი პოეტები“ და ეპიზოდები ძველი თბილისის ცხოვრებიდან. მოპირდაპირე კედელზე მე დავხატე „საქუას დუქანი“, „დარაჯი მელა“. დარბაზის შიდა კედელი დაფარული იყო დავით კაკაბაძის ნახატებით, რომლების თემად გაზაფხული იყო აღებული. შემდგომი კედლები მოხატული იყო კირილე ზდანევიჩის და პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის მიერ. მთელი ეს მხატვრები პაოლომ და ტიციანმა დარაზმეს და აამოქმედეს.

სწორედ იმ ხანებში პარიზში წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ვიზა რატომღაც იგვიანებდა. ერთ დღეს მე და სუდეიკინი ხარაჩოებზე ვიდექით და ვხატავდით. ამ დროს ზემოკარიდან ყვირილი შემომესმა; ხმაზე ვიცანი, ტიციანი იყო:

— ლადო, ჩამოდი დაბლა, რაღაც უნდა გახარო...

მივხვდი, რაშიც იყო საქმე, სუდეიკინმაც მუშაობას მიანება თავი და ტიციანს გასძახა:

— ნუ გვაცდენ ტიციან, გვითხარი რა მოხდა!

— ლადომ წასვლის ნებართვა მიიღო... აბა, ჩამოდით ახლავე დაბლა...

საქმე ის იყო, რომ სუდეიკინიც თხოულობდა ვიზას და იმასაც უგვიანებდნენ. ახლა გული დასწყდა, მაგრამ არ შეიმჩნია, ერთი ეს იყო — ფუნჯი რაღაც გამწარებით გადააგდო ხელიდან და კინაღამ ხარაჩოდან გადმოვარდა. სიტყვით კი არაფერი უთქვამს.

პარიზში ჩემი გამგზავრების ამბავი იმიტომ უფრო გავიხსენე, რომ წასვლის წინ პაოლომ ბევრი საყურადღებო ცნობა მომცა და ბევრი რამ ამიხსნა კიდევაც. მან ჩემზე ადრე იმოგზაურა პარიზში და იქაურ მხატვრებსაც ძალიან კარგად იცნობდა, ერთხანს ლუვრის მუზეუმთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტშიც სწავლობდა. პიკასო, რიბერა, აპოლინერი და სხვები პაოლოს ახლო მეგობრები რომ იყვნენ, ეს კარგად ჩანს თვით მის მშვენიერ მოთხრობაში „ფერადი ბუშტები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზში მალე სუდეიკინიც ჩამოვიდა. ჩემი წამოსვლის შემდეგ ვიზა იმისთვისაც მიეცათ.

## სეკუნდანტების გასაჭირი

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ პაოლო იაშვილი საოცარი სიცოცხლისმოყვარეობით გამოირჩეოდა. სულიერად ლაღსა და გულღიას, მას ძლიერ უყვარდა ხუმრობა; ამის საილუსტრაციოდ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო.

ჩვენს წრეში ხშირად დაინახავდით ერთ კაცს, რომელიც ძლიერ გატაცებული იყო ლიტერატურით. თვითონ მეცნიერი იყო, დოქტორის ხარისხი ჰქონდა (გვარი არ მინდა დავასახელო); ერთხელ ეს დოქტორი საუბარში შეება ერთ იმდროინდელ მწერალს; საუბარი ნელ-ნელა ჩხუბად გადაიქცა, ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ დოქტორმა უთხრა მწერალს.

— შენ უფრო კარგად ლაპარაკობ, ვიდრე სწერ... ამიტომ დემოსთენის გვირგვინი უფრო შეგფერის, ვიდრე ჰომიროსისა...

მწერალმა ეს იწყინა და მიახალა:

— შენ კი არც ლაპარაკი იცი და არც წერა...

ასე შეჰყვნენ და კარგად შეამკეს ერთი-მეორე... მწერალი უფრო ფიცხი გამოდგა და დოქტორს ისეთი სილა გააწნა, რომ ის სკამიდან გადავარდა და თეფშებით სავსე მაგიდაც თან გადაიყოლა. ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით მოხდა. ტიციან ტაბიძემ და კირილე ზდანევიჩმა დოქტორი ფეხზე წამოაყენეს...

ყველა დაბნეული იყო, აღარ ვიცოდით როგორ დაგვეღწია თავი ამ ძალზე უხერხული მდგომარეობისათვის, გაფითრებულმა და შეურაცხყოფილმა დოქტორმა უცებ უბიდან სადარბაზო ბარათი ამოიღო და თავის მოწინააღმდეგეს გადააწოდა, ძველი ტრადიციის მიხედვით ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი მწერალს დუელში იწვევდა...

პაოლომ უცებ იგრძნო მთელი ამ სიტუაციის კომიზმი, მაგრამ ტუჩებზე მომდგარი ღიმილი შეიკავა და მწერალს გადახედა; ის კი ძალზე შემკრთალი ჩანდა და რომ ვერაფერი მოახერხა, გაქცევით უშველა თავს.

მაგრამ პაოლოს რაღა გააჩერებდა!

— რაინდებო! — დაიწყო მან რიხიანად — თუმცა ერთმა მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველი დასტოვა, მაგრამ დუელი აუცილებლად უნდა შედგეს... ხოლო დუელს სეკუნდანტები სჭირდება...

დოქტორის სეკუნდანტებად მან დაასახელა მხატვარი კირილე ზდანევიჩი და ჟურნალისტი კამსკი, ხოლო მწერლის სეკუნდანტებად — თავისი თავი და ამ სტრიქონების ავტორი.

და ბოლოს დაასკვნა:

— დუელი მოეწყობა ნარიყალაზე, დრო — დილის ექვსი საათი და ნოლი წუთი...

მწერალი სამი დღის განმავლობაში სახლში იყო ჩაკეტილი — თურმე სადღაც ეშოვნა სმიტ-ვესონის მარკის მოძველებული რევოლვერი, კედელზე დაემაგრებინა ადამიანის ანატომიური გამოსახულება და ნიშანში ესროდა. როცა პაოლომ სახლში მიაკითხა, მწერალი ლოგინში მწოლიარე დაუხვდა. თურმე ოთახში იმდენი ბოლი დაგროვილიყო იმ გაუთავებელი სროლის შედეგად, რომ მწერალს ყოველ წუთს აცემინებდა ცხვირს და თანაც შიშისა და ნერვიულობისაგან ავად გამხდარიყო. ოთახში შესვლისთანავე პაოლოსაც ცხვირის ცემინება აუტყდა. ამას ყურადღება არ მიაქცია და დაუწყო დარწმუნება ავადმყოფს, რომ თუ დუელზე უარს იტყვის, სამუდამოდ მოეჭრება თავი, ვიდრე არ დაითანხმა, მანამდე თავი არ დაანება.

დანიშნულ დროს პაოლოს მიერ მოწყობილი ამ ოინის მონაწილეებმა თავი მოვიყარეთ ნარიყალას სერზე (ახლანდელ კომკავშირის ხეივანში); აგერ ზდანევიჩი და კამსკი დგანან და იგონებენ, რაც კი ოდესმე წაუკითხავთ დუელებზე, იქვე ქვაზე ზის ტიციანი, უსმენს მათ საუბარს და ეღიმება, მაგრამ არაფერს იმჩნევს, ქვემოდან გაფითრებული ამოდის დოქტორი, ფეხი ეშლება და სიტყვის ამოღებაც უჭირს. სულ მალე პაოლოც გამოჩნდა — იღლიაში ხის ყუთი ამოუჩრია, რომელშიც აწყვია ორი დაჟანგებული, შამილისდროინდელი დამბაჩა... ყველა უკვე აქ არის, მაგრამ მეორე დუელიანტი



ნარიყალაზე. ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი და პაოლო იაშვილი.

არსად ჩანს, ვღელავთ, დრო იწურება... როცა პაოლომ მისი მოსვლის იმედი დაკარგა, თავისი ლომისებური ძალის მქონე ხმით შესძახა:

— მოწინააღმდეგე ლაჩარი აღმოჩნდა, არ გამოცხადდა... თანახმად სადუელო კოდექსისა, სეკუნდანტებმა უნდა ესროლონ ერთი-მეორეს...

როგორც კი ამ სიტყვებს ყური მოჰკრეს, ზდანევიჩმა და კამსკიმ დაფეთებულებმა გაქუსლეს თავდაღმართზე. პაოლომ კი აღმართა დამბაჩა, მოიხადა თავის ფართოფარფლებიანი, ესპანური სომბრეროს მსგავსი შავი ქუდი, ააგდო მაღლა ჰაერში და ესროლა. ტყვიამ ქუდი შუაზე გაგლიჯა. თავდაღმართში გაქცეულ საცოდავ სეკუნდანტებს ეგონათ — ტყვია ჩვენ მოგვაყოლესო, და ორივე გაერთხა მიწას. მე და ტიციანი სიცილით ვიხოცებოდით. დოქტორის სეკუნდანტები ერთხანს გაუნძრევლად იწვნენ, თავები მიწაში ჰქონდათ წარგული, მერე ნელ-ნელა აიხედეს და თვითონაც სიცილი დაიწყეს, მაგრამ ვაი იმ სიცილს!

მთელი ეს კომედია დამთავრდა თეთრ დუქანში, რომელიც იქვე ახლოს, კოჯრის გზის მოსახვევთან მდებარეობდა. პაოლომ ამ ამბავს შესანიშნავი ექსპრომტი უძღვნა და კარგადაც მოილხინა.

# წიგნის გადარჩენა

როგორც ცნობილია, სამამულო ომის წლებში გერმანელმა დამპყრობლებმა ცეცხლს მისცეს სტანიცა ვეშენსკაია და გააპარტახეს მიხეილ შოლოხოვის სახლ-კარი. ვეშენსკაიაში შოლოხოვს უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა და მისგან გადარჩა მხოლოდ ერთადერთი წიგნი. ამ წიგნის თავგადასავალზე მოგვითხრობს მ. პისტოლიაკოვი თავის ნარკვევში — „კომკავშირული კომისარი იბრძვის“, რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ „სმენას“ ფურცლებზე.

ეს ამბავი მოხდა ათას ცხრაას ორმოცდაორ წელს; ჩვენი ჯარები თავდაცვითს ბრძოლებს აწარმოებდნენ დონის მარცხენა სანაპიროებზე, სწორედ ვეშენსკაიას ახლო მიდამოებში. დივიზიის გაზეთის თანამშრომელი გ. ღოლობერიძე ცეცხლის ხაზიდან რედაქციაში ბრუნდებოდა. ამ დროს უეცრად ცაზე გერმანელების თვითმფრინავები გამოჩნდნენ და სეტყვასავით წამოვიდა ყუმბარები. ღოლობერიძემ იქვე ღია ჭიშკარი დაინახა და შევარდა ეზოში. ბომბების აფეთქების გამო რამდენიმე წუთს ირგვლივ ისეთი კვამლი და კორიანტელი იდგა, რომ არაფერი გაირჩეოდა. როცა კვამლი გაიფანტა, ჟურნალისტმა დაინახა ნახევრად დანგრეული სახლი. როდესაც გ. ღოლობერიძემ ირგვლივ მიმოიხედა, იცნო — ეს სახლი მწერალ მიხეილ შოლოხოვისა იყო, სწორედ წინა დღით უჩვენეს; ბომბის აფეთქებით გამოწვეულ ტალღას წიგნები გადმოეფანტა გარეთ. ღოლობერიძემ აიღო ერთი წიგნი, რომელიც აღმოჩნდა პირველი გამოცემა ნ. ოსტროვსკის რომანისა — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. წიგნის ყდაზე დახატული იყო ხიშტი და ხის პატარა ტოტი, თავფურცელზე კი ასეთი წარწერა იყო: „ამხანაგ მიშა შოლოხოვს, ჩემს საყვარელ მწერალს. მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ დიდ წარმატებას „წყნარი დონის“ IV წიგნზე მუშაობის პროცესში. გულწრფელად მსურს თქვენი გამარჯვება. დაე გაიზარდონ და ჩვენთვის გულით საყვარელნი გახდნენ ბოლშევიკი კაზაკები. ხოლო მათ, ვინც მუშების სისხლით მორწყო წყნარი დონის ველები, ჩამოჰხადეთ ყალბი რომანტიკის გვირგვინი. კომუნისტური სალამით ნ. ოსტროვსკი, სოჭა, 1935 წელი, ნოემბერი“.

ღოლობერიძემ ეს წიგნი თან წაიღო. წიგნმა, გვარდიის დივიზიის მებრძოლებთან ერთად, დუნაიმდე მიაღწია. ომის დამთავრების შემდეგ წიგნი გადასცეს მ. ა. შოლოხოვს. გამოირკვა, რომ ეს იყო ერთადერთი წიგნი შოლოხოვის ბიბლიოთეკიდან, რომელიც გადარჩა განადგურებას.

# რას ნიშნავს ადამიანის სახელი

ადამიანის ესა თუ ის სახელი მუდამ რაღაც მნიშვნელობის მქონეა, ან უფრო ზუსტად, მას თავდაპირველად ჰქონდა თავისი აზრი, მნიშვნელობა, რომელიც შემდგომში დავიწყებას მიეცა, ხოლო, ტრადიციის ძალით, სახელი კი დარჩა. აიღეთ, მაგალითად, ჩვენში ესოდენ გავრცელებული სახელი თინა, თინათინი. ჩვენ დღეს დავიწყებული გვაქვს ამ სიტყვის მნიშვნელობა. ადრე კი ასე როდი იყო. ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს ამ სიტყვას:

„თ ი ნ ა თ ი ნ ი სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“.

ამ სახელის შინაარსს განმარტავს დავით გურამიშვილიც:

**საწუთროს მზის თინათინი**
**მოგითხრა რაცა ფერია,**
**სარკის მზის შუქით ციალსა**
**უწოდენ ქართველთ ერია.**

შემდეგ გურამიშვილი ევედრება მზეს:

**თინათინითაც განმათბე,**
**ყინვით ნუ გამაციებო!**

მაშასადამე, თინათინი მზის შუქის ციალი ყოფილა.

ცხადია, განმარტება არ სჭირდება სახელებს — მზია, მზექალა, მზევინარი, მაყვალა, ნათელა, ლალი, ანდა ხევსურეთში შემორჩენილ მამაკაცთა სახელებს — იმედა, დათვია, მგელიკა და ა. შ. მათი მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია.

ამასთან დაკავშირებით, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ცხოველთა სახელების შერქმევა ადამიანებისათვის მარტო ქართულში როდი გვხვდება. მგელიკას სეხნიები არიან ბულგარული ვილკო, გერმანული რუდოლფი (როთერ ვოლფ — წითელი მგელი, ვოლფგანგ — მგლური სვლა, მგლის სიარული); გავრცელებული იყო ეს სახელი რუსულშიც — მეათე საუკუნეში ვლადიმერ კრასნოე სოლნიშკოს ერთ ვოევოდას ერქვა „ვოლჩიი ხვოსტ“.

ამის გარდა, ჩვენში გავრცელებულია სახელები, რომელთა მნიშვნელობა დღეს ბევრმა არ იცის. ზოგი ამ სახელებიდან ძველებრაულია (ბიბლიის გავლენით), ზოგიც ბერძნული და ლათინური ენებიდან მოდის; აქ ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთი სახელის განმარტებას, რომლებიც შეტანილია ლ. უსპენსკის წიგნში „სიტყვა სიტყვების შესახებ“.

აი ეს სახელებიც და მათი მნიშვნელობაც.

აკაკი (ბერძ.) — ნიშნავს კეთილს, უბოროტოს.

ალექსანდრე (ბერძ.) — ადამიანთა დამცველი, მამაცი მეომარი (შეადარე სიტყვასთან „სკაფ-ანდრ“ — ნავი-ადამიანი).

ალექსი (ბერძ.) — დამცველი. „ალექსო“ — მე ვიცავ.

ანა (ებრ.) — მადლი, ბარაქა.

არსენა (ბერძ.) — ვაჟკაცური, გაბედული.

არტემ (ბერძ.) — ჯანსაღი.

ათანასე (ბერძ.) — უკვდავი.

ბართლომე (არამეული) — მოხნული მიწის შვილი, მინდვრის შვილი.

გაბრიელი (ებრ.) — ღვთის მხედარი.

გალაქტიონი (ბერძ.) — რძისა, რძისებური. შეად. ასტრონომიული ტერმინი გალაქტიკა, ე. წ. „რძის გზა“, რომელსაც ქართულში ირმის ნახტომი ეწოდება.

გიორგი (ბერძ.) — მიწის მუშა, მეტად გავრცელებული სახელია; აქედან მოდის ფრანგული — ჟორჟ, ინგლისური — ჯორჯ, პოლონური — ეჟი, ჩეხური — ირჟი, რუსული — გეორგიი, ეგორი, იური.

გერასიმე (ბერძ.) — პატივცემული.

გერმანე (ლათინ.) — მშობლიური, ღვიძლი, ახლობელი.

გრიგოლი (ბერძ.) — მღვიძარე, ფხიზელი.

დავითი (ებრ.) — გულით საყვარელი.

ევგენი (ბერძ.) — კეთილშობილი.

ეკატერინე (ბერძ.) — უბიწო, უმწიკვლო.

ემილიანე (ბერძ.) — ალერსიანი, მხიარული, მოღიმარე.

ვალენტინი (ლათინ.) — ჯანსაღი, ძლიერი. პუშკინი თავის ერთ გმირზე ამბობს: წერილის ბოლოს მიაწერდა ხოლმე — „ვალე“ (ე. ი. კარგად იყავი, ჯანმრთელად იყავი). ამავე ფესვიდან მოდის ქალის სახელი ვალენტინა და კაცის სახელი ვალერიანი.

ვარლამი (ლომის.) — ხალხის შვილი.

ვიქტორი (ლათინ.) — გამარჯვება. ამავე ფესვიდან მოდის ქალის სახელი ვიქტორია.

თამარი (ებრ.) — ლელვის ხე.

იონა (ებრ.) — მტრედი.

კლიმენტი (ლათინ.) — გულმოწყალე.

კონსტანტინე (ლათინ.) — მუდმივი, მყარი, მტკიცე.

ლუკა, ლუკიანე (ლათინ.) — ნათელი, მბრწყინავი.

მაქსიმე (ლათინ.) — უდიადესი.

მარინე (ლათინ.) — ზღვისა, ზღვასთან დაკავშირებული.

მიხეილი (ებრ.) — ღვთის მსგავსი, ღვთაებრივი.

პეტრე (ბერძ.) — ქვა, პეტროგრაფია — მეცნიერება ქვების შესახებ.

რაისა (ბერძ.) — მორჩილი, ადვილად დამთმობი, ნაზი.

ტარასი (ბერძ.) — მოუსვენარი, მოჯანყე, შფოთიანი.

ტატიანა (ბერძ.) — რისიმე მომწყობი, დამფუძნებელი, დამაარსებელი.

ქსენია (ბერძ.) — სტუმარი, უცხო.

მაგალითისათვის ესეც საკმარისია.

რა თქმა უნდა, ეს სახელები გაქართულებულია, და მათში, ხანდახან ფუძე ძნელად-ღა იცნობა. ისინი მტკიცედ არიან შესულნი ყოფაში, საერთოდ ჩვენს ენაში.

# ვახტანგ კოტეტიშვილის ჩანახატები

ვინ მოსთვლის ქართული ხალხური პოეზიის რაოდენ მარგალიტი გამოამზეურა და სამუდამო დავიწყებას გადაარჩინა ცნობილმა მკვლევარმა და ფოლკლორისტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა! განუზომელი და ფასდაუდებელია ღვაწლი, რომელიც მან დასდო ქართული ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეს. 1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან ჩაატარა საცდელ-საჩვენებელი ლექცია და მრავალ სტუდენტს აღუძრა ულრმესი ინტერესი ფოლკლორისტიკისადმი. ამ დროიდან ვახტანგი მარტო აღარ იყო ამ დარგში. თავის სტუდენტებს მან დაავალა ამოეწერათ ხალხური პოეზიის ნიმუშები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან და მუზეუმებში დაცული ხელთნაწერებიდან; მკვლევარი ამითაც არ დაკმაყოფილდა და გადაწყვიტა ცოცხალ მთქმელებთან შეეხვედრებინა თავისი სტუდენტები; 1930 წელს მან განახორციელა კიდეც ეს გეგმა—მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია მესხეთ-ჯავახეთში. შემდეგ, თავის სტუდენტებთან ერთად მოიარა ატენის ხეობა (1933 წ.), თეძმის მიდამოები (1934 წ.), ბორჯომის ხეობა (1936 წ.) და ა. შ. მას თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა შემოვლილი.

ამ ექსპედიციების დროს ვახტანგ კოტეტიშვილმა ახლოს გაიცნო და დაიმეგობრა ხალხური მთქმელები და სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, აუხსნა მათ, თუ რაოდენ დიდი და საპატიო საქმე იყო შეკრება და შესწავლა ხალხური სიბრძნის მარგალიტებისა, რომლებიც უხვადაა მიმობნეული მთელ საქართველოში.

ვ. კოტეტიშვილი დიდად აფასებდა ხალხურ მთქმელებს; იგი თვითონ შესანიშნავი მხატვარი იყო და სოფლად მოგზაურობის დროს აკეთებდა ჩანახატებსაც. აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მთქმელის პ. ლაზარაშვილის პორტრეტი (1926 წ.); პორტრეტი შესრულებულია ფანქრით და ნახშირით. ცხვრის ტყავის დიდი ქუდით შემოსილი მოხუცის ჭმუხ სახეზე ყურადღებას იპყრობენ ფიქრით სავსე თვალები. ეს სუფთა მონახაზებით და მკვეთრი კონტურებით შესრულებული პორტრეტი—ტიპიური გლეხია, რომლის სახეზედაც იგრძნობა იმ გამოვლილი ჭირ-ვარამის კვალი, რასაც „ხხვათა მოჯამაგირობა“ დაამჩნევდა ხოლმე ადამიანს დაღად.

1930 წელს, მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიციის დროს, მესხეთის სოფ. ბოგაში ვ. კოტეტიშვილმა ჩაიწერა მრავალი მასალა და ჩახატა ორი მთქმელის—მავლუდ და შაბანო ზაუტაშვილების პორტრეტები. ეს პორტრეტები შესრულებულია ფანქრით.

ხსენებული ნახატები—ძვირფასი მასალაა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის.

ქართული კულტურის სამსახურისათვის ვახტანგ კოტეტიშვილი ერთნაირად მარჯვედ ხმარობდა თავის მადლიან კალამსაც და ყალამსაც.

მაყვალა ჩაჩხიანი

პ. ლაზარაშვილი.



შ. ზაუტაშვილი.



მ. ზაუტაშვილი.





ალა კუშნირი.



ტ. ზატულოვსკაია.



კ. ზვორიკინა.



მ. რანიკუ.

# ვინ შეხვდება ნონას?

ეს თითქოს გუშინ მოხდა. ოცდაერთი წლის ქალიშვილმა ნონა გაფრინდაშვილმა დიდი ანგარიშით (9:2) სძლია მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვას და მოიპოვა მსოფლიოს პირველი მოჭადრაკის გვირგვინი.

მსოფლიო ჩემპიონი, რა გინდ ძლიერიც არ უნდა იყოს იგი, ვალდებულია სამ წელიწადში ერთხელ დაიცვას თავისი წოდება. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ჩემპიონი თვით არჩევდა თავის მომავალ მეტოქეს (ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად ობიექტური იქნებოდა იგი!) ანდა საერთოდ გამოურკვეველ ვადამდე გადადებდა ხოლმე, მატჩს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1910 წლის შემოდგომიდან მოყოლებული 1921 წლის მარტამდე მსოფლიოს პირველი მოჭადრაკე ემანუილ ლასკერი საერთოდ არ შეხვედრია მატჩში არც ერთ პრეტენდენტს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ, როგორც იქნა, მოაგვარა ეს საჩოთირო საკითხი. ამასთან, მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის სისტემა იმდენად სამართლიანად არის შემუშავებული, რომ ფორმალურად თვით დამწყები მოჭადრაკეებიც კი ინარჩუნებენ უძლიერესებთან ბრძოლის შესაძლებლობებს. ეს ეხება მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლას როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორისაც.

აი როგორი წესით ხდება ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის გამოვლინება: ჯერ ეწყობა ეროვნული ჩემპიონატები ყველა ქვეყანაში. აქ გამარჯვებულები უფლებას იღებენ ითამაშონ ე. წ. „ზონალურ ტურნირებში", რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ეწყობა. ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულნი თავს იყრიან პრეტენდენტთა ასპარეზობაში, სადაც პირველ ადგილზე გამოსულს ენიჭება მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის უფლება.

ახლა უკვე დამთავრდა როგორც ეროვნული ჩემპიონატები, ისე ზონალური ტურნირებიც. 10 სექტემბერს სოხუმში იწყება მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის მეტად საინტერესო ეტაპი . — პრეტენდენტთა ტურნირი, რომელსაც ასეთი ინტერესით მოელის ჭადრაკის სამყარო.

ყოველი ტურნირის წინ ძირითადი საკითხი, რომელიც გულშემატკივრებს აღელვებს, მისი შემადგენლობის საკითხია. ვნახოთ, როგორი შემადგენლობაა სოხუმის ტურნირში: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა (მოსკოვი), საერთაშორისო ოსტატები ვალენტინა ბორისენკო (სვერდლოვსკი), კირა ზვორიკინა (მინსკი), ტატიანა ზატულოვსკაია (ბაქო), ალა კუშნირი (მოსკოვი) და ოსტატი მაია რანიკუ (ტალინი) იქნებიან საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ორგანიზაციის წარმომადგენელნი. უცხოელთაგან სოხუმში ითამაშებენ: საერთაშორისო ოსტატები ვერიცა ნედელკოვიჩი, მილუნკა ლაზარევიჩი, კატერინა იოვანოვიჩი (სამივე იუგოსლავიიდან), ანტონია ივანოვა (ბულგარეთი), მარგარიტა თეოდორესკუ (რუმინეთი), ევა კარაკაში (უნგრეთი), კლარა ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), გიზელა გრესერი, ლიზი ლეინი (ორივე ამერიკის შეერთებული შტატებიდან), ჰუნდსურენ სანდაგდორჯი (მონღოლეთი) და სამხრეთ ამერიკის ზონის წარმომადგენელი (რომლის გვარიც მოგვიანებით გამოირკვევა).

რა თქმა უნდა, ამ მონაწილეთა შესაძლებლობები ერთნაირი არ არის. ზოგი მათგანისათვის თვით პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობაც დიდი პატივია, ზოგი კი შეეცდება პირველი ადგილისათვის ბრძოლასა და ნონასთან შეხვედრის უფლების მოპოვებას.

მიმომხილველთა საერთო აზრით, ძირითადი ბრძოლა პირველი ადგილისათვის საბჭოთა და იუგოსლაველ მოჭადრაკეთა შორის უნდა გაჩაღდეს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ცხრა მონაწილეს შორისაც არ არსებობს სერიოზული განსხვავება. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ბიკოვა, ნონასთან მატჩის წაგების შემდეგ, სულ ორ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდა; შარშან შემოდგომაზე მან ნამდვილი სპორტული კატასტროფა განიცადა: საკავშირო ჩემპიონატში უკანასკნელის წინა ადგილი დაიჭირა. ახლახან, საქართველოს IV ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სოხუმში გაიმართა, ბიკოვას ბოლო ადგილი ხვდა წილად. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ბიკოვა 1962 წელს სამუდამოდ გამოეთხოვა მსოფლიო ჩემპიონობას და მომავალ ასპარეზობაში წარმატების არავითარი შესაძლებლობები არა აქვს.

ფრიად ბუნდოვანია საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონებისა და პრეტენდენტების წინა ტურნირების მონაწილეების — ბორისენკოსა და ზვორიკინას შანსებიც. მათ წარსულში დიდი წარმატებები ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ზვორიკინა 1958 წელს პირველ ადგილზე გამოვიდა პრეტენდენტთა ტურნირში, ბევრი ფიქრობდა, რომ იგი ბიკოვასაც მოუგებდა. მაგრამ 1960 წელს მსოფლიო ჩემპიონთან ბრძოლაში ზვორიკინამ ხასტიკი დამარცხება იგემა — 4,5:8,5. ამ დროიდან მოყოლებული იგი მეტად არათანაბრად თამაშობს. ბორისენკო უკვე ხანდაზმულია; მისი საჭადრაკო ერუდიცია მეტად დიდია, მაგრამ ამ ნიჭიერი მოჭადრაკის შემოქმედებაში უკანასკნელ ხანებში ხშირად ვხვდებით სერიოზულ შეცდომებსაც.

უფრო უკეთესი შესაძლებლობები აქვთ ახალგაზრდა საბჭოთა მოჭადრაკეებს — ზატულოვსკაიას, რანიკუსა და კუშნირს. ზატულოვსკაია თამაშის სტილით ნონას ჩამოგავს. მას სძულს ყაიმები, ამასთან, ბრძოლის მთელი სიმძიმე ბაქოელ მოჭადრაკეს შუა თამაშზე გადააქვს, სადაც ჩინებულად ერკვევა. კარგი კომბინაციური „ხედვა", მაღალი ტექნიკა დაბოლოებების გათამაშებისას, და რაც მთავარია, ნებისყოფის დიდი სიმტკიცე ზატულოვსკაიას უადრესად სახიფათო მეტოქედ ხდის. უკანასკნელ წლებში ზატულოვსკაია კარგი შედეგებით გამოდის აზერბაიჯანის ჩემპიონატებში ვაჟთა შორის. სოხუმში ზატულოვსკაია „გაავებული" ჩამოვა. მან ყველასათვის მოულოდნელად წააგო მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე (2:4) მაია რანიკუსთან.

რანიკუ მეტად თავისებური ნიჭის მოჭადრაკეა; ჯერ კიდევ შარშან იგი პირველთანრიგოსანი იყო, მაგრამ უჩვეულო „ნახტომის" შედეგად მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა. იგი წელს ძალზე ბევრს თამაშობდა. საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ხანებამდე ესტონელ მოჭადრაკეს არა ჰყოლია მწვრთნელი. კითხვაზე, ვინ იყო მისი მასწავლებელი, რანიკუმ მიუგო: „ალექსანდრე ალიოხინი!" გენიალური დიდოსტატის პარტიების ანალიზმა მართლაც ბევრი რამ შესძინა რანიკუს.

ალა კუშნირი საუცხოოდ მომზადებული, ნიჭიერი მოჭადრაკეა; ეს კი არის, რომ მას ზოგჯერ ნებისყოფის სიმტკიცე ღალატობს და წინააღმდეგი არ არის შეხვედრა ყაიმით დაამთავროს. ეს მეტად თვალსაჩინო ნაკლი იქნება სოხუმის ასპარეზობაში, სადაც მხოლოდ პირველ ადგილზე გამოსვლას აქვს ფასი. რა თქმა უნდა, თავისი ნაკლი ნათელია კუშნირისათვისაც, რომელიც ტურნირისათვის მზადების წინ შეეცდება მეტოქეებს სიურპრიზი მოუტანოს.

ანგარიშგასაწევია იუგოსლაველთა „ტრიო". მილუნკა ლაზარევიჩს ნონასთან თანაბარი ანგარიში აქვს (2:2). ესაა შემმართებელი, ენერგიული მოჭადრაკე, რომელიც, როგორც ამბობენ, მხოლოდ „მეტოქის მეფეს ხედავს". ლაზარევიჩს უნარი შესწევს ეფექტურად ჩაატაროს იერიში, მას არ გამოეპარება მხედველობიდან ტაქტიკური კომბინაციების შესაძლებლობაც, მაგრამ არ უყვარს თავდაცვა. მაშინ, როდესაც ინიციატივა მეტოქის მხარეზეა, ლაზარევიჩი საოცრად იბნევა. ლაზარევიჩის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს დაბალი თეორიული მომზადებაც. ის, რაც აკლია ლაზარევიჩს, ყველაფერი აქვს ვერიცა ნედელკოვიჩს: საუცხოო სადებიუტო ერუდიცია, დაცვისას დიდი შეუპოვრობა და გონებამახვილობა, კარგი ტექნიკა და... სრული უქონლობა იმისა, რაც ლაზარევიჩს გააჩნია; ერთი სიტყვით, ლაზარევიჩი და ნედელკოვიჩი ავსებენ ერთმანეთს და მათგან ერთი დიდებული ოსტატი გამოვიდოდა.

თვით იუგოსლაველები დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა კატერინა იოვანოვიჩზე. ეს ის იოვანოვიჩია, რომელმაც მძაფრი კონკურენცია გაუწია ნონას შარშან ბევერვეიკის ქალთა საერთაშორისო ტურნირში. წელს იოვანოვიჩს ამეცადინებს ცნობილი დიდოსტატი ბორისლავ ივკოვი, რომელიც ფიქრობს, რომ ნიჭიერმა ქალიშვილმა უნდა გაასწროს როგორც ლაზარევიჩს, ისე ნედელკოვიჩსაც.

მაინც ვინ შეხვდება ნონას?! ამ საკითხზე წინასწარ პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, ახლა არც ერთ „მისანს" არ შეუძლია. მაგრამ ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას: მომავალი პრეტენდენტი ძლიერი, საშიში მეტოქე იქნება, რადგან მხოლოდ ასეთს შეუძლია ამდენი დაბრკოლების გადალახვა და ნონამდე მიღწევა.

და მაინც ნონას მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები ფრიად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი; ჩვენი ახალგაზრდა ჩემპიონის ბრწყინვალე შედეგები მათ იმედს აძლევს ირწმუნონ, რომ ნონა მომავალ წელს „მოუვლის" პრეტენდენტს. როდესაც ჩვენ სოხუმის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ მის ყველა მონაწილეს და ვკითხეთ, რას უნდა მოველოდეთ მომავალი მატჩისაგან მსოფლიო პირველობაზე, ყველას პასუხი ერთნაირი იყო: „დამშვიდებული იყავით, ნონა ნონად რჩება!"

გ. გამრეკელი





# კერამიკული ნამუშევრები





# ს. სულაბერიძე







ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარს ეწაფებიან.

ფოტო თ. არჩვაძისა

ფუტკრის სადედე.





# დაუჯერებელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტები

## შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე

ამერიკის შეერთებული შტატები. ქალაქი ლორამი, უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური. გაზაფხულის მშვენიერი დღეა, აკაციები თეთრად გადაპენტილან. მეცნიერ მუშაკებს—კორკინსსა და ჯილბერტს მოედანზე გამოჰყავთ გაურკვეველი სპორტული სახის მქონე გუნდები. კალათბურთელები არიან? ფეხბურთელები? არც ერთი და არც მეორე. მაგრამ იმდენი არიან, დათვლაც კი გაუჭირდება კაცს. ეზო-გარემო დიდია და არც ეს სპორტსმენები არიან ბაყბაყდევები. ზედვე ეტყობათ, ერთნი ქართველები არიან, მეორენი იტალიელები.

— ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს. აგერ ბურთი და აგერ მოედანი, — გადაულაპარაკეს ერთმანეთს მეცნიერ მუშაკებმა.

მერე ნიშანი მისცეს და შეჯიბრება დაიწყო.

გაქანდნენ ქართველები და გაჰყვნენ იტალიელები.

გადაიარეს ეზო-მიდამო და მოედვნენ მინდვრებს. ვინ საით გაფრინდა და ვინ საით!

მეორე დღესაც იგივე გაიმეორეს, მესამესაც...

ეს იყო ნამდვილი შეჯიბრება, ნამდვილი ორთაბრძოლა, მაგრამ არა სპორტსმენებს შორის...

ლაპარაკია ქართული და იტალიური ფუტკრების მეცნიერულ შესწავლაზე, რომელსაც ხუთი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ კორკინსი და ჯილბერტი; საქმე ის იყო, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე იტალიურ ფუტკარს, პროდუქტიულობის მიხედვით, პირველი ადგილი ეჭირა მსოფლიოში. და აი, უცებ გამოჩნდა მრისხანე მეტოქე — ქართული მთის ფუტკარი.

დაიწყო შეჯიბრება, ასე ვთქვათ, „ნეიტრალურ სტადიონზე", ამერიკაში, რომელიც ხუთ წელს გაგრძელდა. თაფლის მოსავლის შედარებით მონაცემები ფუტკრის თითო სკაოჯახზე წელიწადში (კილოგრამობით) ასეთი იყო:

1926 წელი: ქართული ფუტკარი — 74,8; იტალიური — 10,2.
1927 წელი: ქართული — 21, იტალიური — 0,68
1928 წელი: ქართული — 42, იტალიური — 21,9.
1930 წელი: ქართული — 145, იტალიური — 85.
1931 წელი: — ქართული — 36,2, იტალიური — 10,8.

შეადარეთ ეს ციფრები ერთი-მეორეს და ნათლად დაინახავთ, თუ როგორ აილო მსოფლიო პირველობა ქართულმა მთის ფუტკარმა.

## ვინ არის პროფესორი მუხური?

ჩხოროწყუს ფოსტამ ამას წინათ საზღვარგარეთიდან ასეთი დეპეშა მიიღო:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ჩხოროწყუს რაიონი. ბატონ პროფესორ მუხურის. მოგესალმებით და მადლობას გიძღვნით ქართული მაღალი მთის დედაფუტკრების ჩუქებისათვის. დოქტორი ჰოშმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა"...

მოხუცი მეფუტკრე ყარამან კვარაცხელია



ალეკო შენგელია
ვასილ გვეტაძე

ფოტო თ. არჩვაძისა.

დეპეშას მალე წიგნიც მოჰყვა, რომელიც გერმანულ ენაზე იყო დაწერილი და შეიცავდა საინტერესო მეცნიერულ დაკვირვებებს ქართულ ფუტკარზე; წიგნს სატიტულო ფურცელზე ეწერა:

„ბატონო პროფესორო მუხური! ქართული მაღალი მთის შეუდარებელი დედაფუტკრების ჩუქებისათვის ტალერმულეს მხარის მუნიციპალიტეტის გურას რაიონის მეფუტკრეობის სასწავლო-საკვლევი სადგური მეგობრულად მოგესალმებათ და გიძღვნით ამ წიგნს. დოქტორი ჰოშმანი".

ვინ არის ეს პროფესორი მუხური, რომელმაც ასე გაითქვა სახელი?! საიდან არ მოდის მადლობის წერილები, ყველგან იციან ეს სახელი, ყველგან, სადაც კი მეფუტკრეობას მისდევენ; მაგრამ დოქტორ ჰოშმანს მცირე შეცდომა მოუვიდა. მ უ ხ უ რ ი პროფესორი კი არა, სოფელი გახლავთ; მისამართი კი სწორად დაუწერიათ გერმანელებს, ეს სოფელი ნამდვილად ჩხოროწყუს მახლობლად მდებარეობს.

მაგრამ არც ისე დიდად შემცდარა გერმანელი დოქტორი — მუხურში ისეთი დიდი საქმეები კეთდება, რომ ეს სოფელი ყველა საპატიო წოდებას შეიშნობდა და დაიმშვენებდა, შესაძლებელი რომ იყოს ასეთი რამ: სოფლისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

მუხური ხობისწყლის ნაპირზეა გაშენებული, იქვე, შემაღლებულ და ფარივით შემოქნეულ ტყიან ფერდობზე, აკაციებსა და წიფლებს შორის მოწყობილია ქართული მთის ფუტკრის საჯიშე მეურნეობა. ეს მეურნეობა პატარა, მყუდრო სოფელს მოგვაგონებს და სკები საოცრად ჰგვანან დაბალ კოლხურ ოდებს. სკებზე ფუტკრები დაფუსფუსებენ. ფუტკრებივით ფუსფუსებენ ადამიანებიც, გულისყურით უვლიან და პატრონობენ ამ დიდ ჯალაბს.

ამ მეურნეობას ათასამდე ძირი ფუტკრის საჯიშე ოჯახი აბარია. აქ გამოჰყავთ ქართული დედაფუტკარი — მშვენიერი დედოფალი, რომელმაც უამრავი თაყვანისმცემლები გაიჩინა, როგორც ჩვენში, ისევე უცხოეთში.

სპეციალისტებმა კარგა ხანია შეამჩნიეს, რომ ამ დედოფლის შთამომავალთ გაცილებით უფრო გრძელი ხორთუმი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე დანარჩენ სხვას.

დაინტერესდნენ საქმის მცოდნენი, ადგნენ და ასჯერ და ათასჯერ აზომაწონეს ყველა ჯიშის ფუტკრის ხორთუმი.

და აი, რა გამოირკვა:

რიაზანის ფუტკრებს 5,81 მილიმეტრი ხორთუმი აღმოაჩნდათ. სპარსეთის ფუტკრების ხორთუმმა 6,86 მილიმეტრს მიაღწია. კრაინის (ავსტრია) ფუტკრის ხორთუმი 6,59 მილიმეტრზე დადგა. ხოლო ქართული ფუტკრის ხორთუმმა 7 მილიმეტრს კიდეც გადააჭარბა.

სწორედ მაშინ იყო საქვეყნოდ რომ განაცხადა განთქმულმა მეფუტკრემ კ. გორბაჩოვმა: „კავკასიური ფუტკარი მსოფლიოში ცნობილი და შეუდარებელიაო".

იმ დღიდან მოყოლებული დღე ერთია და ათი მოთხოვნა მოდის ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, დანიიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ეგვიპტიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ბალტიისპირა ქვეყნებიდან. მოთხოვნას თან ერთვის თავაზიანი ბარათი: პატივი დაგვდეთ და ქართული დედაფუტკარი მოგვაშველეთო. რომელი ქვეყნისა და მხარის მეფუტკრეები გნებავთ, რომ არ იწერდნენ მუხურის დედაფუტკრებს!

## დედოფლის ოცი გადია

მუხურელმა ქალიშვილმა რაისა ანთიამ ფრთხილად ამოიღო სკიდან უჯრებად დაყოფილი ცვილის ჩარჩო. დახედა და უმალ შეამჩნია: ჩარჩოს ერთ განაპირა უჯრედში სადედე კვერცხები დაედო დედაფუტკარს. რკინის წკირით კვერცხები უჯრიდან ამოალაგა და სადედე ბუდეებში მოათავსა.

ორიოდე დღე და ამ ბუდეებში ახალი დედაფუტკრები გამოიჩეკებიან, დაიზრდებიან და თვითონაც ოჯახებს შექმნიან. ანდა, ვინ იცის, იქნებ იმ დედოფლის ბედი ერგოთ წილად, აგერ, სკიდან რომ ამოჰყავთ და საფრანგეთში გასაგზავნად ამზადებენ.

უბრალო საქმე ხომ არ არის დედოფლის გამგზავრება. ოცი გადია მაინც დასჭირდება.



იწევა. რომელიღაც მუშაფუტკართაგანი შუა სკაში ფრთებს აქნევს, რა ხრის და იქნებ ჰაერი გავაგრილო, დედაბატონი სიცხემ არ შეაწუხოსო. ზოგი ფუტკარი ფიჭას შესევია და ისეთი გულისყურით აშენებს, თვალში შუქი ჩაგიდგება.

მრავალი სკის გარეთაა გასული, ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ მიმოფრენს და სათაფლე ნექტარს აგროვებს. მოაქვს წყალი და ამზადებს ჭეოს.

მთელ ოჯახს ეს სათნო და გამრჯე ქალიშვილები ართობენ, ახარებენ და ახალისებენ. ხელგამომავალი დიასახლისებივით ტრიალებენ მუშაფუტკრები სკაში და წუთით წათვლემის დროც არ აქვთ.

და რა საბრალონი ხდებიან მაშინ, როცა ფრთები უზიანდებათ, ტანზე ბუსუსები შემოეცლებათ, უძლურდებიან და შრომა აღარ შეუძლიათ. ამ ყოფაში ჩავარდნილი მუშაფუტკარი „სულის ამოსვლის დროს“ თვითონვე გრძნობს, და ოჯახიდან გადის მისთვის, რომ სკის გარეთ მოკვდეს.

## ფუტკრებივით გამრჯე ადამიანები

ჯერ ისევ მუხურში ვიყავით, როცა მეურნეობის დირექტორმა იროდი თოლორდავამ, ასე ვთქვათ, საიალაღოდ გაამზადა ყველაფერი — ფუტკრები საავარაკოდ ლებარდეში უნდა წავიყვანოთო.

მეფუტკრეებმა ჩინებული თადარიგი დაიჭირეს.

ცხვარი რომ ცხვარია, ერთი ადგილიდან მეორეზე მისი გადარეკვაა ზოგჯერ საძნელო. ფუტკარზე რაღა ითქმის. გაუწყრები თუ მოეფერები, ხელს აუქნევ თუ კომბალს!

ამ მეურნეობას ათასი ძირი სკაოჯახიდან სამას ორმოცდაათი სქურში უდგას. სქური ცნობილია თავისი მინერალური წყლით და ჯანსაღი, შემრგო ჰაერით. ამ სოფლის ყვავილოვანი ველ-მინდვრები ფუტკრისათვის პირდაპირ მისწრებაა.

ნაშუადღევს ამოვედით აქ. საფუტკრის ჭიშკარში პირველი რაისა ანთია შევიდა; შევიდა ისე, როგორც საკუთარ სახლში: მოეფერა, მოეალერსა ფუტკრებს და მათაც თითქოს გაუგეს, — მიუხვდნენ მოსიყვარულე მომვლელსა და მზრუნველს.

სოფელ მუხურს ხობისწყალი შუაზე სჭრის.

ზაირა გახარია და შახი თოლორდავა.

„დედოფალს“ ათავსებენ ამ პატარა სკა-ფოსტაში.





ჩუმსა და სათნო სახის გოგონას ზაირა გახარიას სამგზავრო ფანერის ყუთი მოაქვს. რაისაც აქ გაჩნდა. გასაგზავნად არჩეულ ფუტკარს ფრთებში ხელი წაავლო და სკა-ფოსტის კარში შესვა. მერე კარს მარცხენა ხელის ცერი დააჭირა და მარჯვენა ხელი ორივე ფრთაში ჩასჭიდა მუშაფუტკრებს მშვენიერი დედოფლის მხევლებს. ერთმა მხევალმა მხევლობა იუკადრისა და ქალიშვილს შხამიანი ნესტარით გაუმასპინძლდა, ის ფუტკარი უკანვე ამოიყვანა რაისამ, უისროა და მალე მოკვდებაო.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი: ფუტკარი თვითონ ძალზე კეთილია და სხვისგანაც სიკეთეს მოითხოვს, ამიტომაც არის, რომ მეფუტკრენი მუდამ სათნო, მშვიდი და თაფლივით ტკბილი ადამიანები არიან.

ღვინის მოყვარული კაცი ფუტკრებს ჭირივით ეჯავრებათ. მაგარი სასმელების სუნს შორიდანვე გრძნობენ. ერთი მეფუტკრე დამთვრალიყო და სკასთან მისულიყო, ფუტკრის მთელი ჯარი ცხვირ-პირზე წამოსეოდა და ის ცოდვიშვილი რუმბივით გაებადათ.

აი, პრო...განდაც ასეთი უნდა!

ისევ ჩვენს დედოფალს დავუბრუნდეთ. ამრიგად ოცი მხევალი უბოძეს დედოფალს, ოცივე დარჩეული მუშაფუტკარი, შემდეგ „პაკეტი“ დაიხურა და „ქართველი დედოფალი“ გაუყვა შორეულ გზას.

## ამ ფუტკრის მადლმა

ქართველი გლეხკაცი ისევე დაიფიცავდა ხოლმე ფუტკარზე — ამ ფუტკრის მადლმაო, როგორც მარჩენალ ლაბა ხარზე. იგი ისევე ეალერსებოდა ფუტკარს, როგორც სამამულე რქას, ისევე ახარებდა თაფლიანი გეჯისათვის თვალის შევლება, როგორც თონიდან ამოყრილი შოთის დანახვა.

„ესე საკვირველი არს; ესრე ძნელი გესლი აქვსთ და ერთმანეთს არას ავნებენ, შაშარი უპყრიათ და სიტკბოსა მისცემენ, ესრე საშიშრათ მრისხანენი სიმშვიდით და სიწყნარით მოთავსდებიან და საყვარლად მეგობრობენ“, ასეა ნათქვამი „ქილილა და დამანაში“ მუშაფუტკრების შეხმატკბილებულ ცხოვრება-საქმიანობაზე.

პირდაპირ გასაოცარი ამბები ხდება ფუტკრის ოჯახში: აი, ჩვენ სკასთან ვდგავართ და ვაკვირდებით: ერთი რომ უმცროს დობილ-ძმობილებს ევლება თავზე, მეორე მშობელ დედას უვლის. მესამე კართან დგას და მორიგეობას

რაისას ოჯახი თავიდანვე ფუტკრის იმედით იყო. მის მამას ეზოში ორიოდე სკა ედგა, და პატარა გოგონამ სწორედ მაშინ შეიყვარა ფუტკარი. ცოტა რომ წამოიზარდა, ფუტკრები ისე დასდევდნენ უკან, როგორც ხელმადლიან დიასახლისს წიწილები.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე აქეთ მოაშურა კომკავშირელმა ზაირა გახარიამაც და მალე მეფუტკრის თანაშემწე გახდა. რაისამ უფროსი დობა გაუწია. ეს იყო 1958 წელს, ამ ექვსი წლის წინათ. ჩუმი, უსიტყვო ქალიშვილია ზაირა. სწავლის გასაგრძელებლად ემზადება. სად? შეკითხვა არც არის საჭირო: რასაკვირველია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. დაუსწრებლად ისწავლის და სოფელსაც გამოადგება.

ახალგაზრდა მეფუტკრე შახი თოლორდავა მართლაც ეშხიანი და შახიანი ყმაწვილია. სიტყვაც დაეჯერება და საქმეც. ხელგამომავალსა და მშრომელს, უსაქმოდ დგომა სასჯელად მიაჩნია. საბჭოთა არმიის რიგებში ვაჟკაცად გამოზრდილი სოფელს დაუბრუნდა და საფუტკრეში ათენ-აღამებს.

ზოოტექნიკოსი ხარიტონ სორდია საფუტკრის სული და გულია. გაჭირვების ტალკვესიო, რომ იტყვიან, ამ კაცზეა ზედგამოჭრილი. როგორც ყველა პატიოსანი მეფუტკრე, ალალია და გულში ჩამხედვარი.

ჩვენში ხშირად გამოდის კრებულები, მიძღვნილი ხან ისტორიის, ხან ფილოსოფიის საკითხებისადმი, მაგრამ კრებული, რომელიც მთლიანად შეეხებოდეს ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხებს, ჯერ არ გვინახავს (აქ, ცხადია, მხედველობაში არ ვღებულობთ საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილ კოლექტიურ კრებულებს). ამიტომაც მკითხველი მეტი ინტერესით იღებს ხელში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულს (ლიტერატურის თეორიის განყოფილების შრომები), რომელშიაც ჩვენი ლიტერატურული და ესთეტიკური აზროვნების მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია აღძრული.

ესთეტიკურ აზროვნებას საქართველოში მუდამ დიდი ტრადიცია ჰქონდა. ამ ტრადიციას აგრძელებენ დღევანდელი ჩვენი მკვლევარები, რომლებიც თამამად ჰკიდებენ ხელს ესთეტიკური აზროვნების კარდინალური საკითხების გადაჭრას. ამ სფეროში ბევრი რამ საყურადღებო გამოქვეყნდა, ეს ითქმის კერძოდ მამია დუდუჩავას „ხელოვნების ესთეტიკური არსის შესახებ", რომლითაც ზემოხსენებული კრებული იხსნება.

ავტორი ამ ნაშრომში ეხება ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულების საკითხს სინამდვილესთან და ვრცელი ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ ხელოვნების ესთეტიკური არსი წარმოადგენს მხატვრული შეთხზვის, მხატვრული შემოქმედების პროცესის სპეციფიკური ბუნების უმაღლეს გამოხატულებას. სინამდვილის მშვენიერება ხელოვნებაში ისახება როგორც საგნებისა და მოვლენების ერთ-ერთი მხარე (ნიშანდობლივი თვისება) და როგორც შემოქმედებითი ესთეტიკურის (ხელოვნების ესთეტიკური არსის) საფუძველი. ამ თვალსაზრისით, ცხოვრების ყველა მხარე და ბუნების ყველა ქმნილება, პრინციპულად, ერთი და იგივე მნიშვნელობის მასალაა მხატვრულის, ესთეტიკურის შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით მაკბეტის ცოლიც და კორდელიაც ერთნაირად მშვენიერია; სინამდვილეში ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ ხელოვნებაში, როგორც ილია ამბობდა, „ძულებაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სძრავს, ერთი ბოროტის უარყოფის გზით და მეორე სათნოების დამტკიცებით".

მკითხველი ამ წიგნში ინტერესით წაიკითხავს ბენო დოხორჯგინიძის ნაშრომს „ცნებისა და სახის შედარებითი ანალიზი". ავტორი, მარქსისტულ-ლენინური ასახვის თეორიის საფუძველზე ახდენს ცნებისა და სახის (ე. ი. თეორიულ-აბსტრაქტულისა და მხატვრულ-ესთეტიკურის) შედარებითი ანალიზს, გვიჩვენებს ცნებისა და სახის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს. რაც მთავარია, ავტორი ცდილობს არა მარტო დააყენოს საკითხი მხატვრული სახის ცნებასთან მიმართების შესახებ, არამედ მისცეს ამ კვლევა-ძიებას კონკრეტული შინაარსი და განსაზღვროს მხატვრული სახის სპეციფიკურობა.

კრებული, როგორც თემატიკის, ისე აღძრული საკითხების აქტუალობისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა. ამ მხრივ, გარდა ზემოჩამოთვლილი ნაშრომებისა, უნდა დავასახელოთ ნ. ჭოლოკავას „მხატვრული წარმოსახვის საკითხისათვის", გივი ლომიძის „კომედიის ჟანრობრივი თავისებურების ზოგიერთი საკითხი", აკაკი ხინთიბიძის „ქართული ლექსის კლასიფიკაციისათვის", თამარ ღვინიაშვილის „რამდენიმე შენიშვნა ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების შესახებ", გივი მიქაძის „ქართული სონეტისათვის", ნ. ალანიას „დავით კლდიაშვილის იუმორი" და სხვ.

კრებულს ბოლოს დართული აქვს განყოფილება „პოლემიკა", რომელშიაც მოთავსებულია მ. დუდუჩავას და ბ. დობორჯგინიძის წერილები.

თ. ბრძოლიშვილი

ამ მეურნეობას კარგა ხანს სათავეში ედგა ტრიფონ გაბარია, ფუტკრისა ავიც ესმოდა და კარგიც.

...იმ უბედურ დილას საშინელი წვიმა წამოვიდა, ცამ პირი მოიხსნა. ხობისწყალი წამოიქოჩრა და ყალყზე შედგა. მოდიდდა და გაავდა. საფუტკრე ამ მდინარის მარცხენა ნაპირზეა. მოდიდებულმა წყალმა ფუტკრებით გატენილი ხუთი თუ ექვსი სკა დაითრია.

ამის დამნახველ მეფუტკრეს ნაპირზე რაღა გააჩერებდა. მკლავი გაშალა და გადარეულ ტალღებში შეცურდა. ნაპირისაკენ გამოიტანა სკები, ფუტკარი გადარჩა. მეფუტკრე კი დაიღუპა. დაიღუპა ვაჟკაცურად, თავისი საქმის ბოლომდე ერთგული და უღალატო.

გულდასაწყვეტია და დასანანებელი, რომ ეს ამბავი მეფუტკრე კაცისა, დღემდე შეუქებელი დარჩათ მეგრულ ჩონგურებს...

მუხურელ მეფუტკრეებთან ვართ. სქურის მიდამოებს გავყურებთ და გვახსენდება, რომ ხობისწყლის ხეობის ტყიანი ფერდობები ქართული მთის ფუტკრის უძველესი ბუდე და სამშობლოა. სწორედ აქედან წამოვიდა ეს საუცხოო ჯიში და მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეს მოედო.

ანტიკური ეპოქის ერთი მწერალი აღნიშნავდა: კოლხეთში დაუშრეტელი წყაროები ჩქეფს, ღვინის, რძისა და თაფლის წყაროებით. დღეს ამ წყაროს პატრონები — ჩვენი შესანიშნავი ადამიანები არიან, კეთილი, გულდია, გამრჯე, დაუცხრომელი ადამიანები; მეფუტკრეობა ჩვენი სოციალისტური მეურნეობის მნიშვნელოვანი უბანია. დასაბამიდან მისდევს ქართველი კაცი ამ საქმეს, მაგრამ არასოდეს მეფუტკრეობას ისეთი ფართო მასშტაბები არ ჰქონია, როგორიც ჩვენს დროში. ამ საქმეს ჰყავს თავისი ენთუზიასტები, რომლებიც ღირსეულად უდგანან მხარში ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანებს და ამრავლებენ საქვეყნო დოვლათს.



ლია ასათიანი



შენ აქ არ იყავ,
უცებ მოვარდი
მთიელი მხედრის
რიხით, ჯირითით.
გზად წამოლეკე
ღვარი ქვა-ღორღის,
მოგყვა კალმახი,
სავსე ქვირითით.
შენ თან ჩამოგყვა
ექო კლდეების,
გუგუნი ტყის და
ხმა უჩვეულო
ხევთა სიმღერის.
შენ მოიტანე
ნაზი სილურჯე,
ფერი ცისა და
პოეტთა ფერი.

როცა იორე
და დაივაკე,
გადმოიარე
ბორბალოს ქედი,
მოეჭერ თბილისს,
ეძგერე სამგორს
და დაუკოცნე
დამწვარი მკერდი.
შენ სულ ჩვილი ხარ
და შენ სიღრმეში
არ ჩაძირულა
დიოსკურია,
კავკასიონის
შვილი ხარ მაგრამ,
ისე შორსა ხარ,
ისე ბარში ხარ,
როცა ირმის ჯოგს
წყალი სწყურია—
შენ ნაპირს ვეღარ
მოეშურება.

შენ სულ ნორჩი ხარ,
შენი სხეული
არ დაუსერავს
ბერძენთა არგოსს
თავის ფერდებით.
არ გეხლებიან
მკერდზე წვიმის წინ,
არც თოლიების
თეთრი გუნდები
ზარით, ვედრებით,
არც დელფინები.
შენ პატარა ხარ,
მაგრამ ავდრის წინ
ხანდახან ისე
აილრინები,
რომ აგემღვრევა
ლურჯი თვალები
და ათასობით
გრძელი ნაოჭი
განიერ შუბლზე
დაგეფინება...
ბევრ მდინარის
ნორჩი ქმნილებავ,
შენზე არ თქმულა
მითი არცერთი,
შენს უფსკრულებში
არ ცხოვრობს ღმერთი
პოსეიდონი,
მაგრამ მითად ეს
დარჩება მგონი:

როცა პირველად
შემოაგელვე
შენი ტალღების
თეთრი რაშები,
როცა პირველად
გალოკე მიწა,
მიწა ხრიოკი
სამგორის ველის,
ხალხი ტყესავით
შემოფენოდა
კალაპოტს გათხრილს
საკუთარ ხელით;
იყო ფერხული
გაჩაღებული,
შენს ფსკერზე მაშინ
ზღვათა კენჭებზე
არანაკლები
მოსჩანდა ხალხთა
ფეხთ ნაკვალევი...

მთიდან მოვარდი
და თან ჩამოგყვა:
წიფლის და მუხის
ხშირი ფოთლების
ჩუმი ჩურჩული,
მყინვარის ცრემლი,
ხმები კლდეთა და
ხევთა სიმღერის.
შენ უნაზესი
მოგყვა სილურჯე,
ფერი ცისა და
პოეტთა ფერი.

დაე, ამყვავდეს
შენი წყალობით
ქართლის ეს მხარეც,
იხაროს ახლად
ფეხადგმულმა
ნორჩმა ნერგებმა.
შენ ნაპირებზე
ადამიანის
ყოველ ნაკვალევს
გამოეგებოს
თითო მცენარე:
ხე, ბალახი თუ
უხვი ყვავილი;
და სილურჯესთან
ერთად გარს ვერტყას
ირგვლივ სიმწვანე,
ცა, მზე და ჩრდილი.





ფოტო ლ. თურქიასი

# სლავა მეტრეველი

## გურამ ფანჯიკიძე

„ბუენოს აირესში, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა არგენტინის ეროვნულ ნაკრებთან, — იგონებს სლავა მეტრეველი, — ჩემს წინააღმდეგ გამოიყვანეს ფიზიკურად ძლიერი მცველი ვიდალი. მაგრამ პირველსავე წუთებში შევატყე, რომ მე იგი სისწრაფეში ჩამომივარდებოდა. ეს მოქმედებას მიადვილებდა. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფინტით ვიდალი რამდენჯერმე უკან მოვიტოვე. არგენტინელი ამან ძალზე გაანერვიულა. ერთხელ, როცა ვორონინისაგან ბურთი მივიღე, ფლანგისაკენ დავიძარი. ახლომახლო არავინ იყო. მე პარტნიორებს დაველოდე და ნელნელა უკან დავიხიე. ვიდალი წინ მედგა, მაგრამ თავდასხმას ვერ ბედავდა. მე რომ იგი მომეტყუებინა, გარღვევისათვის თავისუფალი ადგილი მრჩებოდა. ეტყობოდა, რომ იგი ვიღაცას დაზღვევაზე ელოდა. მაგრამ მომხმარე არ ჩანდა, მაშინ მე მოძრაობა დავიწყე. არგენტინელები დარწმუნდნენ, რომ გადაცემას არ ვაპირებდი. სწორედ ამ დროს სახიმ ვალენტინ ივანოვი მიატოვა და მეგობრის დასახმარებლად ჩემსკენ გადმოინაცვლა. ამავე დროს, ისიც შევამჩნიე, რომ პონედელნიკი საჯარიმო მოედანზე შეიჭრა. მაგრამ მას ფეხდაფეხ დელგადო მიჰყვა. დადგა გადაცემის მომენტი, მე მაინც ვარჩიე ბურთი თავისუფლად მდგომი ივანოვისათვის გადამეცა. მაგრამ პონედელნიკი ოსტატურად ამოტრიალდა და აკრობატული ნახტომით ბურთი ბადეში გაახვია.

ზუსტად რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ფანდზე ისევ წამოვაგე არგენტინელები. თავისუფლად ისევ ივანოვი დარჩა და ბურთის ჩაწოდება არ დამიყოვნებია, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელის დარტყმული ბურთი არგენტინელთა მეკარე რომამ თავგანწირული ნახტომით მოიგერია".

სლავა მეტრეველი უნაკლოა ტაქტიკურ ბრძოლაში. ეს არა ერთხელ აღუნიშნავთ ფეხბურთის სპეციალისტებს. მისი ინტუიცია, მოედნის ხედვა და სწრაფი აზროვნება, მსოფლიოს რომელსაც გინდათ, ფეხბურთელს დაამშვენებდა. მაგრამ საფეხბურთო ტაქტიკის გენიოსიც რომ იყო, არაფერი არ გამოგივა, თუ არა გაქვს ბრწყინვალე ტექნიკა, უდიდესი ფიზიკური მონაცემები, თუ ბურთს არ ფლობ ისე, როგორც შენს ორგანულ ნაწილს.

სლავა მეტრეველი რომ ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელია, ეს არავისათვის ახალ ამბავს არ წარმოადგენს. იგი ბურთს იოლად იღებს და ამუშავებს, უნაკლოდ ასრულებს გადაცემას ძალზე რთული მდგომარეობიდანაც კი. თბილისელთა მარჯვენა გარემარბი შესანიშნავად ფლობს ცრუ მოძრაობას. ჩვენი მაყურებლები არა ერთხელ დარწმუნებულან, თუ რა თავისუფლად მოუტყუებია მას ერთი, ორი და ხშირად სამი მცველიც კი.

სლავა მოწინააღმდეგის კარს ძირითადად ფლანგიდან უტევს, მაგრამ მას არც ცენტრიდან შესვლა უჭირს. სხვათა შორის, სლავა მეტრეველი თავდაპირველად ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა, ხშირად მარჯვენა შუამარბის როლშიც გამოდიოდა. როცა იგი „ტორპედოში" ჩაირიცხა, პირველად მაშინ გამოიყვანეს მარჯვენა გარემარბად. სლავას ძალზე უყვარდა ცენტრში თამაში, მაგრამ იგი თვითონაც მალე დარწმუნდა, რომ მისი მონაცემები გარემარბის ფუნქციებს უფრო შეეფერებოდა.

სლავას სიმაღლეა 172 სანტიმეტრი, წონა კი 67-68 კილოგრამი. იგი საკმაოდ მსუბუქია, მაგრამ ძალზე ღონიერი და მაგარი მუხლი აქვს. როცა სლავა მოედანზე დარბის, შორიდანაც იგრძნობა თუ როგორ მსუბუქად დაახტება და დახტის. იგი მეტად მოქნილია და სხარტი. სლავა სიმაღლეზე ხტომაში აღწევს ფეხბურთელისათვის სარეკორდო ზღვარს. იგი თავისუფლად ევლება თამასას, რომელიც 170-175 სანტიმეტრის სიმაღლეზე ძევს. სიგრძეზე ხტომაშიც სლავას ვერავინ ეცილება პირველობაში, იგი ექვს მეტრზე ხტება.

მეტრეველი ძალზე სწრაფი ფეხბურთელია. დიდი სისწრაფის გარეშე დღეს არ არსებობს მაღალი კლასის ფეხბურთელი, მით უმეტეს — გარემარბი. 100 მეტრის გასარბენად სლავას 11,2 სეკუნდი სჭირდება. იგი ძალზე მაღალ შედეგებს აჩვენებს მოკლე დისტანციებზე — 60 მეტრს გარბის 6,8 სეკუნდში, 80 მეტრს — 8,9 სეკუნდში. ასეთია მისი მაჩვენებლები ჩვეულებრივი მძლეოსნური ვარჯიშების დროს. მაგრამ სულ სხვაა სისწრაფე ფეხბურთის თამაშის პერიოდში. აქ ფეხბურთელს ემატება ბურთი, მას გზას ულობავს მცველი, იგი სირბილის დროს თავის ყურადღებას ბევრ რამეზე ანაწილებს, რაც ფეხბურთის რთული ბუნებითაა გამოწვეული. სლავა მეტრეველისათვის თითქოს არ არსებობს ეს დაბრკოლებები, იგი მოედანზე ქარივით დანავარდობს, თავისუფლად და ძალდაუტანებლად ახდენს თავისი „სიჩქარეების" რეგულირებას. იგი ძალზე სწრაფია მოკლე დისტანციებზე და აქვს შესანიშნავი ვირაჟი.

— სისწრაფეს თანამედროვე ფეხბურთში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს თუ გარემარბი ხარ, — ამბობს სლავა მეტრეველი, — არა გაქვს სისწრაფე, არა ხარ გარემარბი.

ერთხელ სლავას ყოფილ თანაგუნდელს — ლეონიდ ოსტროვსკის ველაპარაკე. „ — მეტრეველი სირბილის დროსაც კი ცბიერია, — მითხრა მან,— სლავა ჩემი თანაგუნდელია და მის წინააღმდეგ მარტო საწვრთნელი ვარჯიშების დროს მითამაშნია, მაგრამ მაინც ბევრი სიმწარე მახსოვს მისგან. სლავას ყოველთვის ახლოდან ვეთამაშებოდი. ერთხელ მან უკან დაიხია და მეც მოედნის ცენტრამდე ჩავყევი. უეცრად მან ბურთი მიიღო და უდიდესი სისწრაფით ჩვენი საჯარიმო მოედნისაკენ გაიჭრა. იმავე წუთში უკან დავედევნე. იგი ბურთით მიჰქროდა, მე კი უბურთოდ. უპირატესობა ჩემს მხარეს იყო და სლავას საჯარიმო ხაზის მახლობლად წამოვეწიე. როგორც კი გავუსწორდი, ბურთის წასართმევად მოვემზადე. სლავა თითქოს ამ მომენტს ელოდებოდა, მან მოულოდნელად „ჩართო" თავისი უკანასკნელი სიჩქარე და მთელი ოთხი მეტრით მომიტოვა უკან.

სლავა მეტრეველი შიშხანე მოწინააღმდეგეა მსოფლიოს რომელიც გინდათ უძლიერესი მცველისა. ეს მან არა ერთხელ დაამტკიცა ინგლისისა თუ საფრანგეთის, არგენტინისა თუ ურუგვაის, ჩილისა თუ ჩეხოსლოვაკიის სახელგანთქმული ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშის დროს.

ჩვენ არა ერთხელ ვყოფილვართ მოწმე თუ რა არასპორტული მეთოდებით ცდილობენ სლავა მეტრეველის შეჩერებას, როცა უმწეონი არიან გაუმკლავდნენ მის თავბრუდამხვევ ილეთებს. ჩილის მსოფლიო ჩემპიონატზე, როცა იუგოსლავიელმა მცველებმა ველარაფერი გააწყეს სლავას წინააღმდეგ, მუშტი-კრივზე გადავიდნენ და თვალი დაუზიანეს.

— როცა ჩვენ მონტევიდეოში საპასუხო ვიზიტით ჩავედით, — იგონებს სლავა მეტრეველი, — ურუგვაელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, რევანში აეღოთ მოსკოვში დამარცხებისათვის. მე პირველი წუთებიდანვე გამიჭირდა. ჩემი „დარაჯი" დე-სოუზა გვერდიდან არ მშორდებოდა და ძალიან უხეშად მეთამაშებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც იოლად ვატყუებდი მას. მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. აი, ბურთი მივიღე, მცველი მოვატყუე, უკან მოვიტოვე და საჯარიმო მოედანზე შევიჭერი. დე-სოუზა უკანიდან წამომეწია და ისე მაგრად მკრა ზურგში ხელი, რომ მიწას დავენარცხე. საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მერე ექიმიც შევამჩნიე. იძულებული გავხდი მოედანი დამეტოვებინა.

ერთხელ სლავას ვკითხე, ჰქონია თუ არა ისეთი მომენტები, როცა უგრძვნია პროფესიული მოწყენილობა.

— არასდროს, — მიპასუხა მან, — ფეხბურთელის ცხოვრება ძალზე მძიმეა... მთელი სიჭაბუკის პერიოდში, მაშინ, როდესაც ახალგაზრდას ყველაზე უფრო უჭირს თავისი ნებისყოფის დამორჩილება, ფეხბურთელმა თავისი ცხოვრება მკაცრ რეჟიმში უნდა მოაქციოს. ჩვენ ნახევარჯერ სახლში არა ვართ. ძალზე მომაბეზრებელია სისტემატური მოგზაურობა და თვითმფრინავის აფრენის მოლოდინში გატარებული საათები და ხშირად დღეებიც, სასტუმროებში მყუდროებას მოკლებული ცხოვრება და რესტორნის სტანდარტული სადილები, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი წუთი, როცა მეგრძნოს, რომ მომწყინდა ფეხბურთელობა.

უფეხბურთოდ სიცოცხლე ვერც კი წარმომიდგენია, რაც დრო გადის, თანდათან უფრო ვგრძნობ, თუ რა ძნელია, ფეხბურთთან გამოთხოვება. როგორც კი თამაშს ველარ შევძლებ, აუცილებლად მწვრთნელი ვიქნები... მახსოვს, სულ პატარა ბავშვი ვიყავი, მაშინ სოჭის მეექვსე ქართულ სკოლაში ვსწავლობდი, როცა მამამ ბურთი მიყიდა. ბურთს ხელი დავავლე და ეზოში გავიქეცი. მთელი დღე ფეხბურთს ვთამაშობდი, გვიან, როცა დაბნელდა და სახლში დავბრუნდი, ვახშმისათვის მაგიდას მივუჯექი, ბურთი კალთაში მედო. დასაძინებლად რომ დავწექი, გამტვერილი ბურთიც ლოგინში ჩავიწვინე. მას შემდეგ ჩვენი მეგობრობა სულ იზრდება და იზრდება...

ბავშვობაში ჩემი სათაყვანებელი ფეხბურთელი იყო დემენტიევი. სახლი სავსე მქონდა მისი სურათებით. ვოცნებობდი გავმხდარიყავი ისეთი ფეხბურთელი, როგორიც დემენტიევი იყო.

იმ მცველებს შორის, რომელთა წინააღმდეგაც სლავა მეტრეველს უთამაშნია, ყველაზე ღირსეულად მას იუგოსლავიელი იუსუფი მიაჩნია. ამჟამად საბჭოთა ფეხბურთელთა შორის იგი უძლიერესებად თვლის ვიქტორ პონედელნიკს, ვალერი ვორონინსა და გივი ჩოხელს. ვიქტორ პონედელნიკი მას მიაჩნია მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად. სხვათა შორის, აქვე მინდა მოვიგონო ერთი შემთხვევა. მე დავესწარი მატჩს სტოკჰოლმში შვეციისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის ევროპის თასზე. ეს შეხვედრა, როგორც ყველამ იცის, დამთავრდა ფრედ — 1:1. შვედებმა ჩემზე მეტად დიდი შთაბეჭდილება დატოვეს. საბჭოთა გულშემატკივრებს შორის, რომლებსაც ბედნიერება გვქონდა გვენახა ეს მატჩი, გარკვევით ვერავინ ამბობდა, თუ მოსკოვში ვის დარჩებოდა გამარჯვება. თამაშს მერე, მე ვესაუბრე ჩვენს ფეხბურთელებს — ვორონინს, ივანოვს, ჩისლენკოსა და მალაფეევს.

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება. იხ. ჟურნ. „დროშა" № 5, 6.

# როგორ ჩნდებიან ცხელი წყაროები

ვინ არ მოუხიბლავს თბილისის გოგირდოვან წყლებს?

რომელი მოგზაური არ განუცვიფრებია ბუნების ამ სასწაულს?

შორეულ საუკუნეებს რომ არ გავყვეთ, მარტო პუშკინი გავიხსენოთ: ასეთი დიდებული რამ არსად, არასოდეს არ მინახავსო, — წერდა იგი.

ბუნებრივია, რომ ადამიანის წინაშე იჭრება კითხვა — საიდან მოდის თბილი და ცხელი წყაროები, როგორ ჩნდებიან ისინი? სად დგას და რა ცეცხლი უნთია ქვეშ იმ „უზარმაზარ ქვაბს", რომელშიაც ბუნება, ჩვენდა სასიკეთოდ, ამ წყალს ათბობს?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მანამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის წყაროები განეკუთვნებიან თერმული წყლების რიცხვს. წყაროს თერმული ეწოდება ისეთ შემთხვევაში, როცა მისი საშუალო წლიური ტემპერატურა აღემატება იმ მიდამოების საშუალო წლიურ ტემპერატურას, სადაც ეს წყაროები ამოჩქეფს.

თბილისის წყლების ტემპერატურა 33-50 გრადუსია.

მაგრამ საქართველოში ამაზე უფრო ცხელი წყლებიც არის. სოფელ ხორგაში ბურღვის საშუალებით ამოიღეს 85 გრადუსიანი წყალი, სოფ. ცაიშში კი —81 გრადუსიანი.

ცხელ წყლებს შეხვდებით დედამიწის ყველა კუთხეში. მათი ტემპერატურა ხან 100 გრადუსსაც კი აღემატება. იტალიაში არის ისეთი წყარო, რომლის ტემპერატურა 300 გრადუსია. ჩრდილო კავკასიის ცალკეული წყაროების ტემპერატურა 170 გრადუსს აღწევს.

ცხელი წყაროები, ჩვეულებრივ, სამკურნალო წყლებია, რადგან მათში გახსნილია სხვადასხვა მინერალები ან შეიცავენ გაზებს. ზოგიერთ ცხელ წყალში ისეთი რაოდენობით არის ესა თუ ის ქიმიური ელემენტი, რომ იგი გამოიყენება ამ ქიმიური ელემენტის მისაღებად. მაგალითად, ჩელეკენის (თურქმენეთი) ცხელი წყლებიდან ქარხნული წესით იღებენ იოდსა და ბრომს. ამავე ელემენტებს შეიცავენ ფერგანის არტეზიული აუზისა და კავკასიის (კერძოდ, საქართველოს) ცხელი წყლებიც. ჩვენს წყლებში არის გოგირდიც.

თერმული წყაროები უდიდესი რაოდენობის სითბოს გამოყოფენ. საბჭოთა კავშირში ამჟამად ცნობილ თერმულ წყლებს წლის განმავლობაში წიაღიდან ამოაქვთ იმდენი სითბო, რამდენიც შეუძლია მოგვცეს 150 მილიონ ტონა მაღალხარისხოვანმა საწვავმა. ამ სითბოს დიდი ნაწილი ტყუილუბრალოდ იკარგება, ნაწილს კი იყენებენ სახლების გასათბობად, ორანჟერეების მოსაწყობად, ელექტროენერგიის მისაღებად და ა. შ. ჩვენში პირველი გეოთერმული ელექტროსადგური აშენებულია კამჩატკაზე.

ცხელი წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი ვულკანურ რაიონებშია თავმოყრილი, ამიტომ მკვლევართა ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ ისინი იუვენური ანუ ვულკანური წარმოშობის წყლებია. მათი აზრით, მაგმას (მიწის სიღრმეში არსებული გავარვარებული, გამდნარი და გაზებით მდიდარი ნივთიერება) წიაღიდან, სხვა გაზებთან ერთად, ამოაქვს წყლის ორთქლი, რომელიც მიწის ქერქის ზედა ფენებში ცივდება, წყლად იქცევა და ცხელი წყაროების სახით გვევლინება.

მეცნიერთა მეორე ჯგუფის აზრით, ცხელი წყაროები, თუ მთლიანად არა, მეტწილად მაინც წარმოშობილია ქანების პორებითა და ნაპრალებით მიწის ქერქში ჩასული თოვლისა და წვიმის წყლისაგან, ე. ი. ისინი ატმოსფერული ანუ ვადოზური წარმოშობისა არიან. დადგენილია, რომ მიწაში სიღრმის მატების შესაბამისად, ყოველ 33-35 მეტრზე, ტემპერატურა ერთი გრადუსით მატულობს. თეორიული გამოთვლებით ატმოსფერულმა წყალმა მიწის ქერქში შეიძლება ჩააღწიოს თორმეტი კილომეტრის სიღრმეზე (უფრო ქვევით, მაღალი ტემპერატურისა და დიდი წნევის გამო, ქანებში ან არ არის სიცარიელე და წყალს არა აქვს საშუალება იმოძრაოს, ან წყალი ორთქლად იქცევა და ზევით ამოდის). მაშასადამე, საკმარისია ატმოსფერული წყალი სამი-ოთხი კილომეტრის სიღრმეზე ჩავიდეს, რომ იგი 100 გრადუსზე მეტად გათბეს. ცხადია, ასეთი წყალი მიწის ზედაპირზე გამოსვლისას ცხელი იქნება.

მიწის ქერქში არსებული ატმოსფერული წყალი შეიძლება გაცხელდეს წყლისშემცველ ქანზე მაგმის მოქმედებითაც. მაგმის ტემპერატურა 1.200-1.500 გრადუსია. იგი მიწის ქერქში ნელა ცივდება და ათბობს ირგვლივ მდებარე ქანებს და წყალსაც. ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ ვულკანური ამოფრქვევების დროს წყლის ორთქლისა და ვულკანური რაიონების ცხელი წყაროების მეტი ნაწილი იუვენური წარმოშობის კი არა, არამედ მაგმის გავლენით გახურებული ატმოსფერული წყალი იყოს. ამიტომ დღეს იუვენური წყლის არსებობა კითხვის ქვეშ დგას, თუმცა მთლიანად უარყოფილი არ არის, რადგან შესაძლებელია მაგმას მიწის სიღრმიდან მართლაც ამოჰქონდეს გარკვეული რაოდენობის წყალი.

ამრიგად, ცხელი წყაროების წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ წყლების უმეტესი ნაწილი ვადოზური წარმოშობის არის და მისი გამოლევა არ შეიძლება, რადგან დანაკლისი ყოველთვის ივსება ატმოსფერული ნალექებით.

დოც. გ. გუჯაბიძე

# მოკლედ უცხოეთში

### მანქანა აწყობს... გაზეთს

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტად საინტერესო ცდა ჩაატარეს. გაზეთის მასალების აწყობა მიანდეს გამომთვლელ მანქანა „იმბ-1620"-ს. მანქანა ერთდროულად ოც ლინოტიპზე მუშაობდა. იგი იცავდა აბზაცებს, ითვალისწინებდა სიტყვის გადატანას, საჭიროების შემთხვევაში გადადიოდა სხვა შრიფტზე და ა. შ.

მანქანამ საათში თორმეტი ათასი სტრიქონი ააწყო.

### მიზანში მოარტყა

ერთმა სტოკჰოლმელმა ბიზნესმენმა ამას წინათ გადაწყვიტა გახუმრებოდა თავის ნაცნობებს, რომლებიც ქალაქში კეთილსინდისიერი ადამიანების რეპუტაციით სარგებლობდნენ.

ბიზნესმენმა მეგობრებს შემდეგი შინაარსის ანონიმური დეპეშა გაუგზავნა: „ყველაფერი გამომჟღავნდა. სასწრაფოდ გაიქეცით".

ამ დეპეშის მიღების შემდეგ ყოველი ექვსი საქმოსნიდან ხუთი კაცი იმავე დღეს გაიქცა საზღვარგარეთ.

### ნილაბი ხოცავს მიკრობებს

როგორც ცნობილია, ოპერაციის დროს ქირურგები სახის ქვედა ნაწილზე დოლბანდს იფარებენ, რათა ამოსუნთქულ ჰაერში მყოფი მიკროორგანიზმები ავადმყოფის ჭრილობაში არ შეიჭრნენ. ამას წინათ სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მიკროორგანიზმების თითქმის 90 პროცენტი მაინც აღწევს დოლბანდში გაძრომას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყეს ახალი ნილბების გამოყენება, რომლებიც მინის სიფრიფანა ქსოვილისაგან არის დამზადებული. ქსოვილში დროდადრო გაატარებენ ხოლმე ელექტროდენს, რომელიც მიკრობების 99 პროცენტს ხოცავს.

უნგრელმა სწავლულებმა გამოთვალეს, რომ ადამიანი ყოველდღიურად საშუალოდ ორი საათი ლაპარაკობს. თუ ამ საათებს შევკრებავთ, დავინახავთ რომ ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე დაახლოებით სამი წელი ლაპარაკობს განუწყვეტლივ.

* * *

ოფიციალური ცნობების მიხედვით, დასავლეთ გერმანიაში, ოჯახებიდან ყოველწლიურად ათი ათასი ქალიშვილი გარბის. მათი საშუალო წლოვანება არ აღემატება 16-17 წელს. ქალიშვილების მიზანია ფათერაკების ძიება და მდიდარი საქმროების ძებნა.

* * *

საფრანგეთის ქალაქ მეცის პოლიციამ ამას წინათ დააპატიმრა მძარცველთა ბანდის მეთაური ვინმე რენე ფარნიე. როგორც შემდეგ გამოირკვა, ფარნიეს სამი უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, იგი ფილოსოფიური ფაკულტეტის ყოფილი დოცენტია.

* * *

ინგლისელმა ფინანსისტმა ჯერი გრინმა 80 ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა... ძაღლისათვის საცხოვრებელი სახლის ასაგებად. მდიდარ ფინანსისტს გადაწყვეტილი აქვს, კიდევ ერთი მილიონი სტერლინგი დახარჯოს ამ სახლის მოსაწყობად.

* * *

რურის „ფოლადის მეფის" ჰაინ ფონ ტისენის მეუღლემ ერთი თვის მანძილზე აზარტულ თამაშში წააგო... 45 მილიონი მარკა. ამ ფულის მისაღებად 250 მუშამ თავდაუზოგავად უნდა იმუშაოს 25-30 წელი.

* * *

სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ რემინგტონზე მბეჭდავი მემანქანის თითები დღის განმავლობაში დაახლოებით 20 კილომეტრამდე მანძილს გადის.

* * *

ამერიკელმა სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ავტომანქანების კატასტროფის 2,7 პროცენტი ღრუბლიან დღეებში ხდება. 3,5 პროცენტი — თოვლის დროს, 8,9 პროცენტი — წვიმაში, 84,9 პროცენტი კი მოწმენდილ ამინდში.

* * *

ამას წინათ მეშვიდედ გათხოვდა ამერიკის მსხვილი უნივერსალური მაღაზიების მფლობელი 57 წლის ბარბარა ჰატონი. სენსაციის მოხდენის მიზნით იგი ქორწილზე ფეხშიშველი მივიდა, მისი მეუღლე პრინცი დოან ჩამპასაკი კი თეთრი წინდების ამარა ესწრებოდა საქორწილო რიტუალს.

* * *

იავაში ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაქორწინებას გადაწყვეტს, მოვალეა სათანადო ორგანიზაციაში, თაგვის ოცდახუთი კუდი წარადგინოს ნებართვის მისაღებად. ასეთი უცნაური წესი იმით არის გამოწვეული, რომ იავაში სწრაფად მრავლდებიან თაგვები და ხელისუფლება ყოველგვარი მეთოდით იბრძვის მათ მოსასპობად.

* * *

ოლიმპიურმა კომიტეტმა იაპონიიდან მიიღო სამი მილიონი თხოვნა სტადიონებზე შესასვლელი ბილეთების მისაღებად. კომიტეტის გადაწყვეტილებით, იაპონელი მაყურებლებისათვის გამოყოფილი ბილეთები ლატარიის წესით გათამაშდება.

* * *

საბჭოთა კავშირში დაიწყო საქალაქთაშორისო საუბრის დროს სპეციალური ტელეეკრანების გამოყენება. სხვადასხვა ქალაქებში მყოფი მოსაუბრეები ტელეეკრანზე ნათლად ხედავენ ერთმანეთის გამოსახულებას.

* * *

საბჭოთა კავშირში დღეისათვის 63 ენაზე გამოდის 5.181 დასახელების გაზეთი. გაზეთების საერთო ტირაჟი 88 მილიონს შეადგენს.

# კენგურუ



როდესაც ევროპელები პირველად ჩავიდნენ ავსტრალიაში, იქ მათ დაინახეს ერთი მეტად არაჩვეულებრივი ცხოველი. იგი ორ ფეხზე დადიოდა, მუცელზე დიდი ჩანთა ჰქონდა და ამ ჩანთაში ჩვილი უჯდა. „რა არის ეს?“ —ჰკითხეს ევროპელებმა კუნძულის შავ მობინადრეებს. „კენ-გუ-რუ“, — უპასუხეს მათ და ამ დროიდან ცხოველს კენგურუ შეარქვეს.

განვლო რამდენიმე წელმა. ევროპელებმა შეისწავლეს ავსტრალიელი ტომების ენა და შეიტყეს, რომ „კენ-გუ-რუ“ ნიშნავს: „არ მესმის რას ამბობთ“.

# იუმორი



— თქვენი გამოჯანმრთელებისათვის საჭიროა მტკიცე რეჟიმი დაიცვათ. გაემგზავრეთ სოფელში, ადრე დაიძინეთ, მეტწილად ბოსტნეულით იკვებეთ და დღეში მხოლოდ ერთი სიგარეტი მოსწიეთ.

ერთი თვის შემდეგ პაციენტი კვლავ მივიდა ექიმთან.

—ყველა დარიგებას პირნათლად· ვასრულებდი, ექიმო, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენმა რჩევამ კინალამ გამათავა: ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ჩემს ასაკში პაპიროსის წევის დაწყება.



თეატრალური კრიტიკოსის გვერდით კოპწია ქალი იჯდა, რომელიც გაუთავებლად ტრაბახობდა თავისი ლიტერატურული ცოდნით.

სპექტაკლის დაწყების შემდეგ კრიტიკოსმა ჰკითხა ქალს:

—ეს იამბებია?

—სამწუხაროდ, ვერც მე ვხედავ შორს!—მიუგო ქალმა.

გერმანულიდან თარგმნა ლ. ხელაძემ



ტედი—გამიგონე ნედ, შარვლის ჯიბეში ასი დოლარი რომ გქონდეს, რას იფიქრებდი?

ნედი—ვიფიქრებდი, რომ სხვისი შარვალი მაცვია.



დედა — დონალდ, მეორედ აღარ იხმარო ეგ სიტყვა!

დონალდი—კი, მაგრამ დედიკო, ამ სიტყვას შექსპირი ხმარობს.

დედა—ამის შემდეგ აღარასოდეს ითამაშო მაგ შექსპირთან.

ინგლისურიდან თარგმნა
მ. თაქთაქიშვილმა.

# უნდა ეზიაროთ კულტურას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად სინათლე გადაიწვა და ჩემი ოთახი წყვდიადში გაეხვია. საბედნიეროდ, ჩემს ახლოს ცხოვრობს ელექტრომონტიორი პეტრიკე. სრულიად ჩვეულებრივი, წვრილი მავთულით მან რამდენიმე წუთში დამიბრუნა ესოდენ საჭირო სინათლე. და განა მარტო სინათლე? დამუნჯებული რადიომიმღები კვლავ ამეტყველდა და იქიდან უხვად გადმოიფრქვა ვიოლინოს ხმები. ჩემდაუნებურად გავიფიქრე: ეს პეტრიკე შესანიშნავი ადამიანი ყოფილა. მან თითქოს სახლში დამიბრუნა, კვლავ მომასმენინა პაგანინი, უკვდავი მუსიკოსი, რომლის შესახებაც მას შეიძლება არაფერი სმენია; გავიფიქრე თუ არა ეს, მონტიორს ვკითხე:

— პეტრიკე, იცი ვინ არის პაგანინი?

— ვიცი, — მომიგო მან, — კომპოზიტორია. რატომ მეკითხებით?

— იმიტომ, რომ დღეს უბრალო მონტიორიც უნდა ეზიაროს მსოფლიო კულტურის საუნჯეს. ნუთუ შენ ვერ გრძნობ ამ ხმებში გენიოსის ბრწყინვალებას?

— ამაზე სჯობს სხვა ვინმეს ჰკითხოთ.

— ეჰ, პეტრიკე, ჯერ კიდევ ღარიბი ყოფილა მარაგი შენი კულტურისა! მე მინდა დაგიმტკიცო, რომ შენც შეგწევს უნარი შეიგრძნო და გაიგო დიდი ხელოვნება. აი მაგალითად, შენ კარგად მიხვდი, რომ ეს ნაწარმოები პაგანინმა დაწერა, მაგრამ ცნობილია შენთვის, თუ რა ინსტრუმენტზე სრულდება იგი?

— ვიოლინოზე.

— ყოჩაღ! იქნებ ისიც მითხრა, თუ ვინ უკრავს ასე შესანიშნავად?

— მე!..

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვა, გაისმა მუსიკის უკანასკნელი აკორდები, რომლის შემდეგ დიქტორმა გამოაცხადა: „თქვენ მოისმინეთ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტის ტრანსლაციის ჩანაწერი“.

წასვლისას პეტრიკემ ხელი გამომიწოდა და მითხრა;

— აუცილებლად მოისმინეთ ხვალინდელი გადაცემა.

— რატომ?

— პაგანინის კონცერტს გადმოსცემენ, რომელიც ასე ძალიან გიყვართ. დღეს მოცარტი იყო...

პოლონურიდან თარგმნა შ. ამირანაშვილმა

გარეკანის პირველ გვერდზე: კონცერტი საამქროში. დირიჟორი ა. ბალანჩივაძე, ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.
მესამე გვერდზე: ხევსური ქალიშვილი. ფოტო ს. სულავასი. მეოთხე გვერდზე: ფუტკრების ქალაქი. ფოტო თ. არჩვაძისა.


რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი,
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII-64 წ. გამოშვ. № 68, ქაღ. ზომა 70×108[1]/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 1716, უე 04474

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.


ეროვნული
ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა